ახალგაზრდა ადვოკატები

ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა



არის სამართლიანობა, არის მშვიდობა!

„ახალგაზრდა ადვოკატების“ 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

გუნდი

არჩილ კაიკაციშვილი - ხელმძღვანელი
მარიამ ასანიშვილი - სადამფუძნებლო საბჭოს წევრი
ლიზა ზუხბაია – იურისტი, პროექტის PR მენეჯერი
კალე ურიდია – იურისტი/საერთ. ურთიერთობის მენეჯერი
ქეთი თანდაშვილი – იურისტ-კონსულტანტი
გიორგი ტარტარაშვილი – იურისტ-კონსულტანტი
სოფიო ჭელიძე – იურისტი (28.09.2021 – 30.09.2022)
გერდია ჯაჯანიძე – იურისტი (06.03.2020 – 30.09.2022)
მარიამ ხიზანიშვილი - ფინანსური მენეჯერი
ანა კიკნაძე - მრჩეველთა საბჭო
გექა ჯავახიშვილი - მრჩეველთა საბჭო
ია გოგნაძე - მრჩეველთა საბჭო

საქართველო, თბილისი
ორგანიზაციის ტელეფონი: (995 32) 290 78 77, 599 29 12 02

Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com
www.barristers.ge

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2022

„ახალგაზრდა ადვოკატები“ – ჩვენი მომავალი მშვიდობაზე დგას, მშვიდობა უკრაინას და მშვიდობა საქართველოს

ძვირფასო მეგობრებო,

ჩვენი ისტორიისა და ყოველდღიურობის გათვალისწინებით, დღეს მშვიდობას, თანადგომას და ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას, ალტერნატივა არ გააჩნია. ჩვენ ვერ ვიარსებებთ ცივილიზებული სამყაროსთან ინტეგრაციის გარეშე და ვერ გადავარჩენთ ეროვნულ სუვერენიტეტს კარჩაკეტილობით. დაუნდობელმა ომმა უკრაინაში არამხოლოდ ქართული საზოგადოებისთვის გახდა ცხადი, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას დემოკრატიული წესრიგი, არამედ პატარა ქვეყნები და მათი მოსახლეობა. საქართველოც ასეთი გამოწვევის წინაშეა. ამ გამოწვევებს კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ქვეყნის შიგნით პოლარიზაცია, პოლიტიკური რყევები, ვარიაციები სტრატეგიულ პარტნიორებთან, ომსა და მშვიდობას შორის გაუთავებელი პარალელები, არადა ომის, ნგრევის, ადამიანური მსხვერპლის შედეგები, შეუძლებელია ჩვენი მეხსიერებიდან გაქრეს და მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოს ანაბარად დარჩეს.

უკრაინაში მიმდინარე ომი თავისუფალი სამყაროსთვის, დემოკრატიისთვის და ბოროტების წინააღმდეგ ომია. საქართველო, თავისი შეწირული გმირებით, ამ ბრძოლის განუყოფელი ნაწილია. ჩვენი სოლიდარობაც დასაფასებელია და ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვის ფარგლებიც. კარგად უნდა დავფიქრდეთ, ჩვეული ემოციებისა და ზედაპირული მსჯელობების ნაცვლად, თუ რას ნიშნავს და რა შედეგების მომტანია, არამხოლოდ ქვეყნისთვის, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის ოჯახისთვის – „ომში წასვლა“ და „ომში მონაწილეობა“. ამიტომაც, უკრაინის მიმართ პოლიტიკური, სამართლებრივი, ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მხარდაჭერა უნდა გაგრძელდეს. ჩვენი აფხაზი და ოსი თანამოქალაქეები უნდა დარწმუნდნენ, რომ განვითარება, შესაძლებლობები და მომავალი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაშია, საიდანაც გზა გეოგრაფიულადაც დასავლური და ევროპულია. ამ შანსს ისევ ომით ვერ მივაღწევთ.

ჩვენც, თავისუფალი პროფესიის ადამიანები, თავისუფალი საზოგადოების წევრები, ამიტომაც მეტს ვითხოვთ ჩვენი პოლიტიკოსებისგან, პარტიებისგან, ქვეყნის საშინაო და საგარეო მიმართულებებზე პასუხისმგებელი სუბიექტებისგან. ბოლო წლებმა, განსაკუთრებით კი ეროვნული მნიშვნელობის მქონე საკითხებზე წარმართულმა დისკუსიებმა თვალსაჩინო გახადა, რომ საზოგადოება პოლიტიკაში ახალი სახეების მოლოდინშია, პოლიტიკური კლასი შესაცვლელია, ანტიპარტიული განწყობები აფერხებს დემოკრატიულ პროცესს და არ ქმნის პოლიტიკური კონკურენციის შესაძლებლობას. არ არსებობს თავისუფალი ფული, რომელიც ახალი პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერების სარბიელზე შემოსვლას მოემსახურება. საზოგადოებაც, ამ წრეში, ალბათ დიდხანს იმოძრავებს და თუკი მოქალაქეების უმრავლესობა გადაწყვეტს, რომ დინამიური განვითარება სჯობს რადიკალურ ცვლილებებს, ასეც იქნება.

როცა ვფიქრობდით, თუ რა უნდა ყოფილიყო ჩვენი ჟურნალის 2022 წლის გამოცემის მთავარი სათქმელი და ფოტო-ისტორია, ბობოქარი წელიწადის რთული მოვლენების კვალდაკვალ, გაგვახსენდა მწერალი გურამ გეგეშიძე და მისი შთამბეჭდავი წიგნი „ნათლისქრობა“, რაც რეალურად და ირიალურად მიესადაგება ჩვენი ეპოქის გამოძახილებს. ჟურნალის ფოტო, ერთგვარად გადმოსცემს დროსა და ომს შეწირული ადამიანების ისტორიებსა და ბედს. ჯერ პანდემიით, შემდეგ უკრაინაში სასტიკი ომის შედეგები ერთიანად მძიმეა და თანაგრძნობის გამომწვევი თითოეული ჩვენთაგანისთვის. ჩვენი ფიქრები, ჩვენი თანადგომა და ჩვენი მხარდაჭერა ამიტომაც ორგანული და ერთადერთია.

დიდება და გამარჯვება უკრაინას!

დიდება და გამარჯვება საქართველოს!

მშვიდობა, სიკეთე და იმედი მოეტანოს 2023 წელს!

არჩილ კაიკაციშვილი,

ორგანიზაციის ხელმძღვანელი
24 დეკემბერი, 2022

„ახალგაზრდა ადვოკატები“ –

2022 წელი, ორგანიზაციის გუნდისთვის არაერთი აქტუალური საკითხების შექმნითა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებისთვის გამორჩეული საქმეების წარმოებით იყო დასამახსოვრებელი. ორგანიზაცია აქტიურ პოზიციას გამოხატავდა უკრაინაში რუსეთის მიერ გაჩაღებული ომის შედეგად საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების მიმართ. საჯარო განცხადებები შეეხებოდა რუსული კაპიტალის შემოდინებაზე მორატორიუმის შემოღების აუცილებლობას, ჰააგის სასამართლოში რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების წინააღმდეგ საქართველოში ომის დანაშაულებების მტკიცებულებებად გამოყენებას, საზოგადოების ინფორმირებას, თუ რატომ არის შეუძლებელი საქართველო ნეიტრალურ სახელმწიფოს გამოცხადდეს. ორგანიზაციამ აქტიური პოზიცია გამოთქვა საქართველოს ევროკავშირის წევრობის განაცხადზე, შეუერთდა საზოგადოებრივ დისკუსიას, რომელიც შეეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების საკითხს საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტს წარუდგინა 1 საკანონმდებლო წინადადება, რომელიც შეეხებოდა უკრაინელი ობოლი, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვების საქართველოში მინდობით აღზრდაში მიღების საკითხს, რაც საბოლოოდ განხილული იქნა და პარლამენტი, ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადებაზე დაყრდნობით, კანონში ცვლილების შეტანის გარეშე, ინიციატივის განხორციელებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაწილეობით დასთანხმდა.

2022 წელს, ორგანიზაციის გუნდისთვის აქტუალური გახდა ისეთი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების შესწავლა და კვლევა, რომელიც შეეხებოდა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, სამედიცინო დაწესებულებებში გადაცდომებსა და ექიმის პასუხისმგებლობებზე არსებული მდგომარეობა, სტატუსშეჩერებული სტუდენტების უფლებრივი მდგომარეობა, საქართველოში ბინადრობის გაცემის წესთან და შედეგებთან არსებული მდგომარეობა, სამოქალაქო თავდაცვისუნარიანობა, საოჯახო დავების სტატისტიკა და საქორწინო კონტრაქტების მიმართ პირთა დამოკიდებულება და სხვა. ცალკე უნდა გამოიყოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში არსებული გამოწვევების, არსებული რეალობის ანალიზისა და ტენდენციების საკითხებზე მომზადებული კვლევა, რომელიც ფართო განხილვის საგანი გახდა და წარედგინა საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, რათა კანონში დაგეგმილი ცვლილებები სიღრმისეული შესწავლის შედეგად განახორციელონ. ორგანიზაციის, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება აღმოჩნდა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს საქმიანობის შესწავლა. წლის მანძილზე, საჯარო განცხადებები შეეხებოდა არამხოლოდ სააგენტოს მუშაობის კანონშეუსაბამო გამოვლინებებს, არამედ ცალკეული ადმინისტრაციული მოხელეების ფარულ გარიგებებსა და მიკერძოებულ გადაწყვეტილებებს. საზოგადოება, ამ კუთხით გაეცნო ახალგაზრდა კომპოზიტორის – ცოტნე ზედგინიძის საქმეს და სააგენტოს მუშაკების მხილებას არასრულწლოვანთა ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც სასამართლოების მკაცრი შეფასების საგანიც გახდა.

2022 წელს, ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი იყო მართლმსაჯულების საკითხებზე ყურადღების დათმობაც. მაგალითად, გამოქვეყნდა შესწავლის შედეგები, რომელიც შეეხებოდა მოსამართლეთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის ხარჯ ეფექტურობას.

მოძრაობის, შედეგების კიდევ ერთი წელი

ორგანიზაციამ განცხადება გააკეთა საზოგადოებრივი დისკუსიის ფორმატის შექმნაზეც, სადაც სასამართლოს კრიტიკული გადაწყვეტილებების პროფესიული ანალიზი დაიწყება. ორგანიზაცია აქტიური იყო წარდგენის პროცესშიც, რა დროსაც, პარლამენტს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად არჩევისთვის შესთავაზა ლია მუხაშავრიას, რუსუდან კვინიკაძისა და გიორგი გზობავას კანდიდატურა. ალბათ, ცალკე აღნიშვნის ღირსია ორგანიზაციის სამართალწარმოების პროცესი და სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებიც. სტატისტიკამ აჩვენა, რომ 2022 წლის მანძილზე, ორგანიზაციის წევრებმა 339 სასამართლო სხდომა ჩაატარეს, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ჩვენთვის სტრატეგიული სამართალწარმოება პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩვენი ჩართულობა თანაბრად აქტიური იყო სახელშეკრულებო, შრომითი, საოჯახო კატეგორიის დავებში. წარმატებით დასრულდა სისტემური დანაშაულის საქმეებზე სამართლიანობის აღდგენის პროცესი – ქონება დაუბრუნდა პირვანდელ მესაკუთრეს, სახელმწიფომ ერთ შემთხვევაში აღასრულა მორალური და მატერიალური ზიანი. სრულიად უნიკალური აღმოჩნდა ორგანიზაციის სამართალწარმოება გერმანულ სასამართლოსთანაც, რა დროსაც ქართველმა ქალმა შვილზე დაკარგული მეურვეობა დაიბრუნა. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, აგრეთვე სამშენებლო ინდუსტრიაში 6-წლიანი დავა დაასრულა და შექმნა პრეცედენტი – დამარცხებული გამარჯვებულს ნახევარ მილიონზე მეტს გადაუხდის.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს განათლების უფლების დარღვევასთან არსებული დავების შედეგები. 2022 წელიც ორგანიზაციისთვის განათლების უფლებებზე მუშაობის წელი გახლდათ. ჩვენს ანგარიშზეა წარმატებული სასამართლო გადაწყვეტილებები სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის უკანონო გადაწყვეტილებებზე, კერძო სკოლისთვის აღდგენილი ავტორიზაცია, დიპლომის აღიარებასთან არსებული სამართალწარმოება, თსუ-ის მეცნიერ-თანამშრომლების უფლებრივი მდგომარეობის ადვოკატირება. ამდენად, ჩვენ ამ პროცესს მომავალშიც გავაგრძელებთ. ამასთან, ცალკე უნდა აღინიშნოს ორგანიზაციის მიერ დასრულებული პროექტი: „ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში ჰააგის კონვენციის მიხედვით“, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში, 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტი სამი მიმართულებისგან შედგებოდა: 1. ბენეფიციარების უფასო იურიდიული მომსახურება, 2. პროექტის ფარგლებში სამოქალაქო ცნობიერების კამპანიის მომზადება და 3. იურიდიული სფეროს წარმომადგენლების გადამზადება საქართველოში კონვენციით გათვალისწინებული დავების წარმართვის დროს, რაც მაღალი გამოხმაურებით შესრულდა.

2022 წელს, ორგანიზაცია გახდა არასამთავრობო ორგანიზაციების მსოფლიო ასოციაციის (WANGO) სრულუფლებიანი წევრი, ხოლო საქართველოში მინიმალური ხელფასის საკითხზე წარდგენილი ხედვის გამო, „პასუხისმგებლიანი ბიზნესი 2022“-ის ფარგლებში, დეკემბრის თვეში დაჯილდოვდა. 2022 წელს, ორგანიზაციას საქმიანობის 10 წელი შეუსრულდა, თუმცა ობიექტური მიზეზის გამო, ვერ შევძელით ამ თარიღის სათანადოდ აღნიშნვა – რუსული ეკონომიკური ექსპანსიის პირობებში, ჩვენი სამუშაო სივრცე გაიყიდა, აღმოვჩნდით პრობლემის წინაშე, გადავედით ონლაინ რეჟიმზე, მოგვიწია საქმიანობის დღის წესრიგის ცვლილება. ჩვენი გუნდი ამ პრობლემის გადაჭრაზე მუშაობს და ორგანიზაცია ყველას მადლობას გადაუხდის, ვინც გვაგრძნობინა სოლიდარობა და მხარდაჭერა.

მთელი წელი საზოგადოებისთვის

იანვარი, 2022 – ორგანიზაცია სამართალდამცავების მიერ არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფაქტს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ დანაშაული კიდევ ერთხელ მიუთითებდა სავალალო მდგომარეობაზე – საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, ბავშვები საქართველოში კვლავ დაუცველია. ორგანიზაციამ დაგმო ერთ-ერთ მეტრო-სადგურში მომხდარი შემთხვევა, მოითხოვა კანონის სრული მოცულობით აღსრულება და ისაუბრა არასრულწლოვანის მიმართ სახელმწიფოს დაცვის ვალდებულებებზე. ორგანიზაციამ მოუწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვნის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების დაცვისკენ. გავრცელებული კადრები, ცხადყოფს ერთ-ერთი სამართალდამცავი პირის მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტს, რაც ეჭვგარეშე ამტკიცებდა, როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურად არასრულწლოვნის მიერ განცდილ ფიზიკურ და მორალური ტკივილს. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, შემთხვევის შემსწრე მეორე სამართალდამცავის მიერ ძალადობის ფაქტის მიმართ გამოვლენილი გულგრილი დამოკიდებულება. ვინაიდან არასრულწლოვანი იყო შშმ პირი, საჭიროა სახელმწიფოს დაუყოვნებლივ დაეწყო მოქმედება დანაშაულის შედეგების აღმოფხვრის მიმართულებით და მოეხდინა არასრულწლოვნის სამედიცინო რეაბილიტაციის პროცესიც.

ორგანიზაციამ განცხადება გააკეთა თბილისის საქალაქო ცენტრის მხარდაჭერის, სასამართლო -სამოქალაქო დავების და აღსრულების განყოფილების სოციალური მუშაკის და ამავე განყოფილების უფროსი სოციალური მუშაკის, უკანონო ქმედებების, ფარული გარიგებების, ინტერესთა კონფლიქტისა და სავარაუდო კორუფციის ფაქტებზე. ორგანიზაცია განაცხადა, რომ სოციალური მუშაკების უკანონო საქმიანობას და თვითნებობებს მოქმედი პროკურორის მფარველობამდე მივყავართ, რომელმაც საკუთარი სახლი სიძეს ბებიისგან ბავშვების განცალკევების გამოყენებისთვის დაუთმო. აღნიშნული საქმე, ფართო საზოგადოებისთვის ახალგაზრდა კომპოზიტორის საქმის სახელწოდებითაა ცნობილი, რომელიც საერთო სასამართლოებში 2022 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით მიმდინარეობდა და ორგანიზაციამ შესძლო მხილების დადასტურება, სასამართლოებმა კი მიიღეს კანონიერი გადაწყვეტილება და უპირატესობა იქნა მინიჭებული ბავშვების საუკეთესო ინტერესებისთვის.

თებერვალი, 2022 – ორგანიზაციის განცხადებები შეეხებოდა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მისამართით არსებული სხვადასხვა სამართლებრივი პრეტენზიის არსებობას. კერძოდ, ორგანიზაციამ საჯარო განცხადების ფარგლებში აღნიშნა, რომ ე.წ. ზრუნვის სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მონაწილეობით, გაყალბდა სასამართლოს სააღსრულებლო ფურცლის ოფიციალური ტექსტი და ე.წ. ზრუნვის სააგენტომ მხარეს მოსთხოვა იმ მოქმედებების შესრულება, რომელიც მხოლოდ დავის მონაწილე ერთი მხარის ინტერესებს ერგებოდა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ე.წ. ზრუნვის სააგენტოსა და უშუალოდ სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, მონაწილეობით, სასამართლოს გადაწყვეტილებების შეცვლის შემთხვევები, პირველი არ არის. ეს მოხელე, თავისი მანერული განმარტებებით, აღნიშნულს ყოველთვის უკავშირებდა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. სინამდვილეში, ეს მოხელე და მასზედ

მთელი წელი საზოგადოებისთვის

რწმუნებული დეპარტამენტი ასეთი ფორმებითა და საშუალებებით ცდილობს არასასურველი მხარეების მიმართ უკანონო და დანაშაულებრივი ღონისძიებების გატარებას, შემდეგ კი სხვებისთვის გადაბრალებას, რომ მან არაფერი იცოდა. ე.წ. ზრუნვის სააგენტოში ამ თვითნებობის შესახებ იციან, მაგრამ სავარაუდო კრიმინალზე ხელის დაფარება ხდება.

ორგანიზაციამ კიდევ ერთი საჯარო განცხადებით მოითხოვა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ქ. თბილისის საქალაქო ცენტრის უფროსის, ნინო ბუჩუკურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, გიორგი კუპრეიშვილის, თბილისის საქალაქო ცენტრის მხარდაჭერის, სასამართლო-სამოქალაქო დავების და აღსრულების განყოფილების სოციალური მუშაკის მარიამ ცხვედიანისა და ამავე განყოფილების უფროსი სოციალური მუშაკის, ნინო იობაშვილის, აგრეთვე ფსიქოლოგ ხატია ნადარეიშვილის კვალიფიკაციისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების გასაჯაროება, სადაც განიმარტა, რომ არსებობს არაოფიციალური ცნობები დასახელებული პირების კანონის მოთხოვნათა მიმართ შეუსაბამობით საქმიანობაზე, რაც უმძიმესი შედეგებით აისახებოდა ბენეფიციართა მიმართ მომსახურებასა და გამოქვეყნებული დასკვნების კომპეტენციაზე.

ორგანიზაციამ განცხადება გააკეთა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც შეეხებოდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის შინაგანაწესში განხორციელებული სადავო ცვლილებების კანონიერად მიჩნევას. ორგანიზაცია ასაბუთებდა, რომ ცვლილებებით დასაქმებულ პირთა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები გაუარესდა. სასამართლოს განმარტებით, შინაგანაწესში შესული ცვლილებების მოქმედება, თითოეული შემთხვევის დროს, ინდივიდუალურად უნდა გადაწყვეტილიყო. არსებული ჩანაწერები კი თანასწორუფლებიანობის პრინციპის დარღვევას არ იწვევდა, თუმცა საქმის სრული შინაარსობრივი მხარის მხედველობაში მიღებით, შეიქმნა გონივრული ვარაუდის საფუძველი, რომ საზოგადოებრივი ადვოკატების უკანონო დევნა და დასჯა წაახალისდა.

მარტი, 2022 – ორგანიზაციამ საჯარო განცხადება გააკეთა საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის წარდგენის ფაქტზე და ამ მოვლენას ზეპარტიული უწოდა. ორგანიზაციის განმარტებით, საქართველო სწორ დროსა და შექმნილ ვითარებაში აკეთებდა განაცხადს ევროკავშირის წევრობაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია საზოგადოებას დროული და საჭირო ინფორმაცია მიწოდებოდა ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შემდგომ პროცედურებზეც, რათა შექმნილიყო სწორი აღქმები და მოლოდინები. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს, რაც სრულად ასახავს მოსახლეობის ნებას გახდეს დემოკრატიული ქვეყნების ღირსეული და სრულუფლებიანი წევრი.

ორგანიზაციამ საჯარო განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრისა და ფართომასშტაბიანი ომის შედეგად, საქართველოს მთავრობას, მიზანშეწონილია, რუსული კაპიტალის შემოდინებაზე დაესვა მორატორიუმის საკითხი და განსაზღვრულიყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების გადაადგილებაზე სამართლებრივი სტატუსი. მართალია, მორატორიუმი ზღუდავს თავისუფალი ვაჭრობის, გარიგებებისა და ეკონომიკური ბრუნვის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, თუმცა მორატორიუმის მი-

მთელი წელი საზოგადოებისთვის

ზანი დროებითი ღონისძიებების გატარებაა, რათა არ მოხდეს გაცილებით მეტი საყოველთაო სიკეთისა და დაცული სფეროს – უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესების ხელყოფა. საქართველოს, ამ კუთხით გააჩნია გამოცდილება, რა დროსაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისება შეიზღუდა (2013-2014 წლები).

ორგანიზაციამ საჯარო განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ჰააგის სასამართლოს რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების წინააღმდეგ ორდერის მიღებაში საქართველოში ომის დანაშაულების მტკიცებულებებიც დაეხმარებოდა. უკრაინაში რუსეთის ინტერვენციისა და განვითარებული მოვლენების შესაბამისად, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში (Iჩჩ) უკვე დაიწყო გამოძიება სავარაუდო ომის დანაშაულის ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე, რომლის ფარგლებშიც, რუსეთის მოქმედი პრეზიდენტის, რუსეთის სხვა მაღალი პოლიტიკური და სამხედრო პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა საქართველოში, 2008 წელს ჩადენილი სავარაუდო ომის დანაშაულზე არსებულ საგამოძიებო მასალებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია.

ორგანიზაცია გამოეხმაურა ეროვნულ დონეზე წარმოებულ დისკუსიას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების მთავრობის მხრიდან განსხვავებულ გაგებას თუ შეფასებას შეეხებოდა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ევროპული ქვეყნის მეთაურებთან და ევროპული გაერთიანების უფლებამოსილ პირებთან შეხვედრები საქართველოს კონსტიტუციის დარღვევად ვერ შეფასდება. პრეზიდენტის ინსტიტუტი კონსტიტუციური ორგანოა, საქართველოში ყველა კონსტიტუციურ ორგანოს კი აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება მათი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროკავშირსა და ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. პრეზიდენტი იმყოფებოდა პარიზსა და ბრიუსელში, საჯარო განცხადებები კი, შეეხებოდა უკრაინასთან და მოლოდვასთან ერთად, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მნიშვნელობას. ამდენად, სამწუხაროა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებაზე სამართლებრივი პროცესი პოლიტიკური პროცესის ნაწილი გახდა, რაც საქართველოს აზიანებს.

ორგანიზაცია გამოვიდა საკანონმდებლო წინადადებით, სახელმწიფოს და ეკლესიას უკრაინელი ობოლო, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვები, მინდობით აღზრდაში მიეღო.

აპრილი, 2022 – ორგანიზაციამ გააკეთა საჯარო განცხადება და აღნიშნა, რომ საქართველოს ნეიტრალურ სახელმწიფოდ ყოფნის საკითხზე საზოგადოებრივი და პოლიტიკური დისკუსია მთავარ აქცენტებს იყო მოკლებული, რადგანაც ისეთ საფრთხილო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თემაზე, როგორიც ქვეყნის ნეიტრალიტეტია, დასაბუთებული არგუმენტაციის დეფიციტი ან პოპულისტური განცხადებები ჭარბობდა. ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების საფუძვლიანი ანალიზი, ადგილს აღარ ტოვებს პოლიტიკური სპექტრი ან საზოგადოებრივი ჯგუფების რაღაც ნაწილი, ისევ ნეიტრალიტეტის გამოცხადების უპირატესობაზე მსჯელობდნენ. არსებობს სამი მთავარი სამართლებრივი მიზეზი, რაც საქართველოს ნეიტრალურ სახელმწოფოდ გამოცხადებას შეუძლებელს ხდის – პირველი – ნეიტრალიტეტის მოსურნე სახელმწიფო უნდა იყოს ერთიანი, მის ტერიტორიაზე არ უნდა იყოს განთავსებული სხვა სახელწმიფოს სამხედრო დანაყოფები თუ შეიარაღება, მეორე – უმნიშვნელოვანესი

მთელი წელი საზოგადოებისთვის

ფაქტორია საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.“ არსებული ჩანაწერი ნიშნავს იმას, რომ ყველა კონსტიტუციური ორგანო ვალდებულია გააკეთოს ყველაფერი, რათა საქართველო გახდეს ნატო-სა და ევროკავშირის წევრი და მესამე – ნეიტრალიტეტისთვის აუცილებელია გახლავთ აღიარება მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან. ნეიტრალიტეტის გამოცხადება მოითხოვს პოლიტიკურ მხარდაჭერას და შესაბამისს გარანტიებს. ჩვენ შემთხვევაში, წარმოუდგენელია, რომელიმე ქვეყანა საქართველოს ნეიტრალიტეტის გარანტად იქნეს დასახული. სომხეთს და აზერბაიჯანს საკუთარი ტერიტორიული კონფლიქტი აქვთ. თურქეთი, მართალია ნატო-ს წევრია, მაგრამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რეგიონში რუსეთის შესაძლებლობებს ყოველთვის ყურადღებით აკვირდება და მასთან ღია დაპირისპირებას არ მოახდენს. რჩება რუსეთის ფედერაცია, რომელიც საქართველოს ნეიტრალიტეტის გარანტად – განხილვას არ ექვემდებარება.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, რომლის თანახმადაც აღმოჩნდა, რომ თბილისში, 62 სოციალური მუშაკიდან, 26 სოციალურ მუშაკს აკადემიური ხარისხი არ გააჩნია, სააგენტო კი ბიოგრაფიებს მალავს. ორგანიზაციამ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის აღსრულებისა და მოთხოვნების შესაბამისი გადაწყვეტილებების შეფასების მიზნით, 22 შეკითხვით მიმართა, რომელიც შეეხებოდა სოციალური მუშაკის სამსახურში მიღების, დაწინაურებისა თუ პასუხისმგებლობის საკითხების დადგენას, კვალიფიკაციის ხარისხს, კონკურსების გამჭვირვალობას, თვითშეფასების პოლიტიკას, სტრატეგიული დოკუმენტების შინაარს, საჩივრების მიმღებლობის ხარისხს, სოციალური დაცვის გარანტიებსა და სააგენტოს ბიუჯეტის მიზნობრიობას. ორგანიზაციის შეფასების ინტერესი ქ. თბილისის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული მდგომარეობის შემოწმება წარმოადგენდა.

მაისი, 2022 – ორგანიზაციამ განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების საზოგადოებრივი კონტროლის მიზნით სადისკუსიო ფორმატს შექმნიდა, რომლის მიზანიც – გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის, სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდის, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესში არსებული მიდგომების, მართლმსაჯულებაზე შესაძლო გავლენების კვლევისა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოკიდებულებების შეფასება წარმოადგენდა. ორგანიზაცია განმარტავდა, რომ ბოლო წლებში, სულ უფრო მეტი კრიტიკა ისმოდა სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებებისა და მოსამართლეთა საქმიანობის მიმართ. სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან. მართლმსაჯულების მიზანია დარღვეულ უფლებებში მოქალაქეების თუ იურიდიული პირების აღგენა. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს „საქართველოს სახელით“, რაც გულისხმობს მის მიმართ ინსტიტუციური, ხოლო მართლმსაჯულების განმახორციელებელი მოსამართლის მიმართ – ინდივიდუალური ნდობის საჭიროებას. ამგვარი ნდობის ჩამოყალიბების ეფექტური საშუალება მიღებული გადაწყეტილების კანონიერება, დასაბუთებულობა და პროცესის გამჭირვალობაა, ვინაიდან პრო-

მთელი წელი საზოგადოებისთვის

ცესში წარმოშობილი ნებისმიერი პასუხგაუცემელი კითხვა ბადებს საფუძვლიან ეჭვს, როგორც ინტიტუტის, ასევე მოსამართლის მიუკერძებლობისა და დამოუკიდებლობის მიმართ. ამ მიმართულებით, ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა და ფორმატის განხორციელება 2023 წლიდან იგეგმება.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მონიტორინგის შედეგები, რომელიც „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შემდეგ, აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებზე დამოკიდებულ პირთა შესახებ მონაცემთა ბაზაში მონაცემების მდგომარეობას, კანონის ეფექტიანობას და არსებული ხარვეზებს შეეხებოდა. ორგანიზაციის შეფასებით, კანონი ფუნქციური აღმოჩნდა, დამოკიდებულ პირთა შესახებ მონაცემთა ბაზა, 1 თვის მონაცემის გათვალისწინებით კი – საგანგაშო. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ კანონის ამოქმედებიდან 1 თვეში, თამაშ დამოკიდებულთა ბაზაში 518 მოქალაქე დარეგისტრირდა.

ივნისი, 2022 – ორგანიზაციამ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სფეროში, პაციენტის უფლებების ინტერესიდან გამომდინარე, არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში, სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან გადაცდომის ფაქტებზე, ბიუჯეტის სასარგებლოდ 3,465.100 ლარი იქნა გადახდილი, ხოლო პაციენტის მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა დაეკისრა – 543 ექიმს, რაც სფეროში არსებულ ვითარებას, თავისი გამოწვევებით, კრიტიკულს და საგანგაშოს ხდის.

ორგანიზაციის კიდევ ერთი მონიტორინგის შედეგები შეეხებოდა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე შესწავლის შედეგებს, რომელიც მოიცვა პანდემიამდე, პანდემიის პერიოდსა და ამჟამად არსებული მდგომარეობის ანალიზი. ორგანიზაციის ინტერესის საგანს წარმოადგენდა დაედგინა, 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის მდგომარეობით, რა ობიექტური რეალობის წინაშე დადგა საქართველოს განათლების სისტემა, რამდენმა სტუდენტმა შეძლო განათლების მიღება და რამდენ სტუდენტს მოუწია უარი ეთქვა სწავლის გაგრძელებაზე. შესაბამისად, შეეჩერებინა სტუდენტის სტატუსი, რა მიზეზები იქნა დასახელებული განათლების მიღების ხელმისაწვდომობაზე ნებსით და უნებლიეთ უარის თქმის შემთხვევებში, რა პრევენციული ღონისძიებები დაგეგმა და განახორციელა განათლების სისტემამ პანდემიის პერიოდში უწყვეტი განათლების უფლების რეალიზებისთვის, რა როლი შეასრულა სახელმწიფომ სწავლის საფასურის შემცირების ან გადავადების კუთხით. ამასთან, ორგანიზაციის ცალკე ინტერესს წარმოადგენდა სახელმწიფოს ჩართულობის იდენტიფიცირება, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს, უკრაინიდან იძულებით გადაადგილებული პირების საქართველოს განათლების სისტემაში მიღებასა და სასწავლო პროცესში ინტეგრაციის უზრუნველყოფას შეეხებოდა. ფართო შესწავლამ აჩვენა, რომ საქართველოში განათლების ხელმისწავდომობის საგანგაშო მაჩვენებელია – ბოლო 4 წელში, ერთხელ მაინც 97,048 სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი.

ივლისი, 2022 – ორგანიზაციამ წარმოადგინა შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც შეეხებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამით გამარჯვებული პროექტ: „ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში ჰაგის კონვენციის მიხედვით" ფარგლებში, განხორციელებულ ღონისძიებებს. საქართველო, „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალა-

მთელი წელი საზოგადოებისთვის

ქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებიდან პირველი აღმოჩნდა, რომელმაც კონვენციიდან წარმოქმნილი უფლებების ადვოკატირება გადაწყვიტა. წარმოდგენილი პროექტი, სახელმწიფოსა და მესამე სექტორს შორის, იქცა კარგი ინსტიტუციური თანამშრომლობის მაგალითად. შესაბამისად, პროექტი ეროვნულ დონეზე წარმოადგენდა პირველ შესაძლებლობას და მექანიზმს, რომელიც ორიენტირებული იქნა იურიდიულად მოწესრიგებული გარემოს შექმნასა და ცნობიერების ამაღლებაზე, რამაც საქართველოს, როგორც რეფორმატორ ქვეყანას, მნიშვნელოვანი ღირსება შესძინა. პროექტი სამი მიმართულებისგან შედგებოდა: 1. ბენეფიციარების უფასო იურიდიული მომსახურება, 2. პროექტის ფარგლებში სამოქალაქო ცნობიერების კამპანიის მომზადება და 3. იურიდიული სფეროს წარმომადგენლების გადამზადება საქართველოში კონვენციით გათვალისწინებული დავების წარმართვის დროს. პროექტის განხორციელების მანძილზე, იურიდიული კონსულტაცია გაეწია სამ ბენეფიციარს, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება საერთო სასამართლოებში განხორციელდა 2 ბენეფიციარის შემთხვევაში. ამასთან, პროფესიული გადამზადების ტრენინგში, წინასწარ ხელისწავდომი რეგისტრაციის ფორმით, მონაწილეობა მიიღო 19-მა იურისტმა. აქედან 12 გახლდათ პრაქტიკოსი ადვოკატი. ტრენინგის თემას წარმოადგენდა: „როგორ წარვმართოთ საქართველოს სასამართლოში კონვენციის ფარგლებში არსებული დავები: ტექნიკა და პრაქტიკა”. შეხვედრაზე გაზიარებული იქნა გამოცდილება, რომელიც არსებობს კონვენციის დავების წარმართვასთან საქართველოში, ასევე გაცნობილი იქნა საკანონმდებლო ჩარჩო და კონვენციის მოქმედების ფარგლები, საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ევროსასამართლოს პრაქტიკა. გაიცა სერთიფიკატი და ტრენინგში მონაწილე პირების შესახებ სია გადაიგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, როგორც კონვენციის განსაზღვრულ ცენტრალურ ორგანოსთან საქართველოში, რათა ხელი შეეწყოს საქართველოში კონვენციიდან წარმოშობილი დავებში გადამზადებული ადვოკატების/იურისტების ბაზის ფორმირებას.

ამასთან, ორგანიზაციამ დამატებით საჯარო ყურადღება დაუთმო საერთო სასამართლოებში მიმდინარე ახალგაზრდა კომპოზიტორის საქმეს, რომელიც მამის საწინააღმდეგოდ დასრულდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნა. ამასთან, დასახელებული რეზონანსული დავის ფარგლებში, ორგანიზაციამ დამატებითი მამხილებელი მასალა წარმოადგინა, რომელიც შეეხებოდა ე.წ. ზრუნვის სააგენტოს ადმინისტრაციული მოხელეების ფარულ გარიგებებსა და შეთანხმებებს.

აგვისტო, 2022 – ორგანიზაციამ საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში არსებული გამოწვევების, არსებული რეალობის ანალიზისა და ტენდენციების საკითხებზე კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რაც საავტორო უფლებების ასოციაციებთან და აღრიცხვის სისტემასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების შესწავლას შეეხება. კვლევის ინტერესი განაპირობა, ერთის მხრივ სამართლის სფეროში საკითხზე მიმდინარე დისკუსიამ, მეორეს მხრივ საერთო სასამართლოებში არსებული დავების სიმრავლემ და კანონმდებლობის ანალიზმა. დოკუმენტი მოიცავს აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციებით სარგებლობის პრაქტიკა და მომსახურებით კმაყოფილების შესწავლა, საავტორო უფლებების დაცვის მნიშვნელობა და დამოკიდებულებები, მონაცემთა შედარება. შესაბამისად, კვლევის მიზანია, წინასწარი განწყობების ნაცვლად,

მთელი წელი საზოგადოებისთვის

დემოკრატიულ საზოგადოებაში, საკითხთან მიმართებით, ხელი შეუწყოს ობიექტური შეხედულებების გაჩენას და ჯანსაღ დისკუსიას, რათა ავტორს და შემსრულებელს, ბიზნესს და მომსახურების სფეროს ჰქონდეს დაცულ სამართლებრივ გარემოსა და კონკურენტულ ურთიერთობებში განვითარების შესაძლებლობა.

ორგანიზაციამ რეგიონული კონფლიქტებისა და შეიარაღებული, საბრძოლო მოქმედებების განახლების პროცესში, საქართველოს წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების მხედველობაში მიღებით, სამოქალაქო თავდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა და სამართლებრივი შესაძლებლობები შეაფასა. შესწავლის შედეგად, მთლიანობაში, ორგანიზაცია დადებით შეფასებას აძლევს სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის საფუძვლებს და დამატებით ყურადღებით დაუთმობს იმ აუცილებელ საჭიროებებს, რომელიც მზარდი საფრთხეების პროცესში, სამოქალაქო თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და მოქალაქეების ინფორმირების გაზრდას შეეხება. კერძოდ, საუბარია დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზებისა და სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო თავდაცვის სფეროს სტრუქტურირებად კატეგორიად ჩამოყალიბებაზე, რათა გაიზარდოს უსაფრთხოების საკითხებზე ცოდნის გაზიარების, საზოგადოების გადამზადებისა და სამართლებრივი ინფორმირების ხარისხი.

ორგანიზაციამ აგრეთვე გამოაქვეყნა მუდმივი, დროებითი, უვადო და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვების გაცემის / გაცემაზე უარის თქმის, ბინადრობის ნებართვების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებისა და მისი შედეგების თაობაზე შესწავლის შედეგები, რომლის თანახმადაც დგინდება, რომ საქართველომ, ბოლო 15 თვის განმავლობაში, რეგისტრირებული 4472 მოთხოვნიდან 3978 ბინადრობის ნებართვა გასცა.

სექტემბერი, 2022 – ორგანიზაციამ კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც შეეხებოდა მოსამართლეთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მდგომარეობაზე შესწავლის შედეგებს. ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა, სახელმწიფო თუ რამდენი მოსამართლის მიმართ ახორციელებდა ღირსეული ცხოვრების პირობებით უზრუნველყოფას — საცხოვრებელი ფართის დაქირავებას, რომელი მოსამართლეები, სად სარგებლობენ სახელმწიფოს მხრიდან დაქირავებული ფართით, ჰქონდა თუ არა ადგილი სახელმწიფოს მხრიდან მოსამართლის მიმართ ღირსეული ცხოვრების პირობებით უზრუნველყოფისთვის, საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის ან/და დროებით სარგებლობაში გადაცემის ფაქტს ადგილი და ყოველთვიურად, რა ხარჯს შეადგენდა მოსამართლის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. შესწავლამ აჩვენა, რომ სახელმწიფო 43 მოსამართლის საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის, წელიწადში, 313,620 ლარს ხარჯავს.

ორგანიზაციამ შეისწავლა საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში, განქორწინებისა და საოჯახო ხელშეკრულებების რეგისტრაციის მდგომარეობასთან დაკავშირებით, არსებული მდგომარეობა და აღნიშნა, რომ მზარდი განქორწინების მონაცემთან ერთად, მზარდია წყვილს შორის საქორწინო ხელშეკრულების დადების სურვილი და ინსტიტუციური კულტურა. შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში, ბოლო სამ წელიწადში, 33,400 წყვილი განქორწინდა, 205 შემთხვევაში კი საქორწინო კონტრაქტი დაიდო.

ოქტომბერი, 2022 – ორგანიზაციამ საქართველოს სახალხო დამცველის არჩევის მიმდინა-

მთელი წელი საზოგადოებისთვის

რეობა, გამოწვევები შეაჯამა და აღნიშნა, რომ არსებობდა რეალური საშიშროება, რომ ომბუდსმენის მომავალი ინსტიტუტი პოლიტიკურ მხარედ გადაქცეულიყო. ტენდენციები, რომელიც გამოიკვეთა და არსებობს, ობიექტურ შეფასებებს მოითხოვს, რათა საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე შერჩეული იქნეს დამოუკიდებელი კანდიდატი. სწორედ დამოუკიდებელი კანდიდატის შერჩევის შემთხვევაშია შესაძლებელი, სახალხო დამცველის ინსტიტუტი გახდეს ეფექტიანი და მას შესწევდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობაზე კონტროლი. არსებული ვითარება, საიმედო დასკვნების შესაძლებლობას არ იძლევა. საქართველოს სახალხო დამცველის შერჩევა ხდება პოლიტიკური პარტიების შეთანხმებების და განწყობების შესაბამისად. შერჩევის პროცესის ფორმალურად ღია და საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული გამჭვირვალე წესების მიუხედავად, საქართველოს ახალი სახალხო დამცველი მმართველ პოლიტიკურ ძალასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის ძალთა გადანაწილების შედეგი იქნება. ევროკავშირის მიერ დამოუკიდებელი კანდიდატის შერჩევის მითითების ქვეშ მთლიანად მოხდა ომბუდსმენის ინსტიტუტის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენება, რამაც არსებითად ზიანი მიაყენა საზოგადოების ნდობას კონსტიტუციური ორგანოს სამომავლო საქმიანობის მიმართ და გაურკვეველი რჩება ვის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული საქართველოს სახალხო დამცველი 2022 წლის დეკემბრიდან – წარმდგენი პარტიების, ხელისუფლების თუ სამოქალაქო საზოგადოების წინაშე. საბოლოოდ, ორგანიზაციის პროგნოზები გამართლდა – პოლიტიკურმა ძალებმა ვერ შესძლეს კონსესუსის მიღწევა და ახალი სახალხო დამცველის 2022 წლის დეკემბერში არჩევა. შესაბამისად, პროცესი 2023 წლისთვის გადაიდო, რაც, თავის მხრივ, მოსალოდნელია, რომ ახალი წესით აირჩეს.

ნოემბერი, 2022 – საქართველოს პარლამენტი, ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადებაზე დაყრდნობით, კანონში ცვლილების შეტანის გარეშე, უკრაინელი ობოლი, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვების საქართველოში მინდობით აღზრდაში მიღებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილების საკითხად განიხილავს და პარლამენტი მიუთითებს, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მიხედვით, სამინისტროს უფლება აქვს დადოს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება იმ საკითხებზე, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება. მართალია, პარლამენტმა მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიიჩნია „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანა, უკრაინელი ობოლი, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვების საქართველოში მინდობით აღზრდაში მიღების რეგულირებას შეეხებოდა, მაგრამ მოცემული საკითხის რეგულაცია მთლიანად დაუქვემდებარა საქართველოს მთავრობის სამინისტროს პასუხისმგებლობას და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მიხედვით, დასაშვებად მიიჩნია შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. ორგანიზაცია, სწორედ დაფიქსირებული საზოგადოებრივი შეხედულებების შესაძლებლობების პრაქტიკულ მდგომარეობაზე აკეთებდა აქცენტს და განმარტავდა, რომ არასრულწლოვნის შვილად აყვანა დაკავშირებულია რთულ პროცედურებთან, რომელიც რეგულირდება „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. იმისათვის, რომ შვილად აყვანა საქართველოს მოქალაქემ კანონიერად

მთელი წელი საზოგადოებისთვის

შეძლოს, მნიშვნელოვანია იგი ინფორმირებული იყოს შვილად აყვანის/მინდობით აღზრდის კანონმდებლობით დადგენილ წესზე, პირობებზე და მოსალოდნელ შედეგებზე. ორგანიზაცია, საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის ფარგლებში, გააგრძელებს საკითხზე მუშაობას საქართველოს მთავრობასთან და მის სამინისტროსთან დიალოგის კუთხით. ორგანიზაციამ საკანონმდებლო წინადადებით საქართველოს პარლამენტს 2022 წლის აპრილში მიმართა.

ორგანიზაციის საჯარო განცხადებები, აგრეთვე შეეხებოდა წარმოებაში არსებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისთვის მნიშვნელოვან საქმეებზე სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების შეფასებას და ანალიზს. კერძოდ, თბილისის სააპელაციო პალატამ ახალგაზრდა კომპოზიტორი საქმეზე, არ დააკმაყოფილა არასრულწლოვნების კანონიერი წარმომადგენლის – მამის სააპელაციო საჩივარი აღმზრდელი ბებიის მიმართ დამცავი ორდერის გამოცემის, შვილების 9 თვის განმავლობაში ბებიის საცხოვრებელი სახლიდან განცალკევების, მოქმედი ნათესავი პროკურორის ოჯახში განთავსებისა და ბავშვების ბებიასთან კომუნიკაციის შეზღუდვის მოთხოვნით. შესაბამისად, უცვლელი დარჩა საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. აგრეთვე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სააქციო საზოგადოება „მრეწვრკინიგზა“ 2012 წლამდე მოქმედი ხელისუფლების პირობებში წართმეულ 6448.00 კვ.მ, 10705.00 კვ.მ, 46621.00 კვ.მ უძრავ ქონებებზე ერთადერთ მესაკუთრედ ცნო და სახელმწიფო დასახელებული ქონებების უკანონო მფლობელად აღიარა. სასამართლომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უძრავი ქონებების ნამდვილი მესაკუთრისთვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში დაბრუნება დაავალა, რითაც პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოში სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრები. ამასთან, კიდევ ერთ საქმეზე, რომელიც ფიდუციური მოვალეობის დარღვევას შეეხებოდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ კომპანიის პარტნიორებს შორის წარმოშობილ დავაზე, კომპანიის წინაშე ზიანის არსებობის ფაქტის შეფასების დროს, მოქმედი და ყოფილი დირექტორის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასმის საკითხზე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, რითაც კომპანიის წინაშე ყოფილი დირექტორის ფიდუციური მოვალეობის (კონკრეტულად, „ზრუნვის მოვალეობის“) დარღვევა არ დაადგინა. ორგანიზაციისთვის, სამივე დავას სტრატეგიული სამართალწარმოების მნიშვნელობა გააჩნდა.

დეკემბერი, 2022 – საქართველოს პარლამენტმა ორგანიზაციის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად არჩევისთვის წარდგენილ კანდიდატებს მოუსმინა. დეპუტატის შეკითხვებს ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილმა სამმა კანდიდატმა უპასუხა. სამივე მათგანი იურისტი და მდიდარი გამოცდილების მქონე პირები არიან: ცნობილი უფლებადამცველი და ევროსასამართლოს ექსპერტი, ქალბატონი ლია მუხაშავრია, იუსტიციის სფეროში პრაქტიკოსი სპეციალისტი ქალბატონი რუსუდან კვინიკაძე და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი, სისხლის სამართლის სპეციალისტი ბატონი გიორგი

მთელი წელი საზოგადოებისთვის

გზობავა. მთლიანობაში, პროცესმა აჩვენა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია ვერ შეთანხმდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის საერთო კანდიდატებზე. ხუთი წევრის პოზიციაზე, მთლიანობაში, პარლამენტში განაცხადი შეტანილი 32 კანდიდატს აქვს. ოფიციალური განცხადებით, მმართველი პარტია მზად იყო 32-დან 16 კანდიდატურიდან შეერჩია მისაღები კანდიდატი, თუმცა ოპოზიცია ამ 16 კანდიდატიდან არცერთის მიმართ მხარდაჭერას არ გამოთქვამდა. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად არჩევის პროცესი 2023 წლისთვის გადაიდო.

ორგანიზაციამ საჯარო განცხადებები გააკეთა სამედიცინო შეცდომებიდან წარმოშობილ დავებზე და საზოგადოებისთვის ცნობილი გახადა ფაქტები, რომელიც შეეხება პლასტიკური, ესთეტიკური ქირურგიისა და დერმატო-კოსმეტოლოგიის საერთაშორისო კლინიკების ქსელის საქართველოს წარმომადგენლობის – „ტოტალ შარმისა“ და კლინიკის ექიმ კონსტანტინე სულამანიძის წინააღმდეგ პრეტენზიებს. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ სულ უფრო მეტი პაციენტი გამოთქვამს უკმაყოფილებას კლინიკისა და ამავე კლინიკის ექიმის მიმართ, მას შემდეგ, რაც ორგანიზაციამ საჯარო ადვოკატირების პროცესში საზოგადოებისთვის დაზარალებული მომხმარებლების ისტორიები და წარმოებული დავების თაობაზე განცხადება გააკეთა. ორგანიზაციას არაერთი მომხმარებელი დაუკავშირდა, რომელმაც განმარტა, რომ სამედიცინო შეცდომების შემდგომ, კომპანიამ უზრუნველყო გადახდილი თანხების უკან დაბრუნება, რითაც სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაზე უარი იქნა ნათქვამი. ორგანიზაცია, მკაცრი და სავალალო ფაქტების მიუხედავად, კვლავ ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ პატივს სცემს კლინიკის საქმიანობას და ამ კლინიკაში დასაქმებულ თითოეულ ექიმს, გვაქვს რწმენა, რომ როგორც კლინიკას, ასევე კონსტანტინე სულამანიძეს ჰყავს მადლიერი პაციენტები, მაგრამ თითოეული შემთხვევა, რომელიც პრეტენზიის სახით იარსებებს, რომელიც დოკუმენტურად წარმოდგენილია, მოითხოვს სამართლებრივ შეფასებას და არა საზოგადოებრივი განხილვების ფორმატში დარჩენას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ორი საქმის ადვოკატირებაც და განსაკუთრებული ყურადღება იურიდიული დახმარების მოთხოვნით მომართვიანობას 2023 წელსაც დაეთმობა.

ორგანიზაციამ საჯარო განცხადება გააკეთა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება თანამდებობიდან ამავე ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის სპეციალისტის (II კატეგორია) გათავისუფლების თაობაზე. საქმეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა მუშაკის ხანგრძლივი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს. სასამართლომ უარყო დასაქმებულის ხანგრძლივი შრომისუუნარობის არსებობა და გაიზიარა მომჩივანის პოზიცია, რომ კანონის ჩანაწერი – შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ნორმის არსიდან გამომდინარე, უნდა განმარტებულიყო არა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ, გაგებულ იქნას, როგორც სამუშაო დღეები.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი თავს დაესხა სუვერენულ უკრაინას. ომის შედეგები სავალალოა და ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს მთლიანად მსოფლიოს. უკრაინის გამარჯვება ყველას მიზანია.

მსოფლიოს დედაქალაქები უკრაინიდან დევნილებს ვერ აუდის.

ზელენსკი – თავისუფალი სამყაროს ლიდერი და მეომარი.

უკრაინელი ჯარისკაცები – უკრაინული თავგანწირვის საიდუმლო.

მსოფლიო საზოგადოების პროტესტი ბოროტების და ტირანიის წინააღმდეგ.

ეპოქის დასასრული – ექიმებმა დაადგინეს, რომ დიდი ბრიტანეთის დედოფლის გარდაცვალების მიზეზი ასაკია. ბრწყინვალე ეპოქის შემქმნელი მონარქი მსოფლიოში.

სკანდალებს შეწირული დიდი ბრიტანეთის ყველაზე პოპულარული პრემიერი ჯონსონი.

ილონ მასკის ფილოსოფია – დაეუფლა ტვიტერს, დაითხოვა თანამშრომლები, ტრამპს აღუდგინა ქსელზე წვდომა.

მასშტაბური გამოსვლები ირანში და „ზნეობის პოლიციის“ გაუქმების გადაწყვეტილება.

ხორვატია – ფეხბურთში 2022 წლის ჩემპიონი და მესის ბრწყინვალება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ წლის რჩეული ბრენდი - „Etiquette“

აკეთე სიყვარულით და იდექი იმ ტრადიციაზე, რაც მხოლოდ შენია. ეს ღვინის ბრენდ „Etiquette“-ის შექმნის მთავარი იდეაა. ნაფიქრი მალევე იქცა საქმედ და ღვინის ქვეყნის რვაათასწლიანი ისტორიის უწყვეტ ჯაჭვს, ხუთი წლის წინ, საოჯახო მარნის მიერ წარმოებული ქვევრის ღვინოებიც შეემატა (ქისი, ხიხვი,რქა წითელი, საფერავი, პინო).

ტრადიციული ტექნოლოგიით დაყენებულმა ქვევრის ღვინომ მომხმარებლის მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა. „Etiquette“-ის ღვინოების განსაკუთრებულობა და წარმატება მის გემოვნებით თავისებურებაშია. სავენახე მიწის ადგილმდებარეობა, ქვევრში ღვინის დაყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, მწარმოებლის კეთილსინდისიერება და ცოდნა, ღვინოს განსაკუთრებულ გემოვნებით და სამკურნალო ღირებულებას სძენს. მოგიწოდებთ, გააგრძელოთ ქართული ღვინის უნიკალური ისტორია „Etiquette“-ნ ერთად და გაეცნოთ ბრენდის შესახებ ინფორმაციას შემდეგ ვებ-გვერდზე: www.etiquette.ge, იქონიოთ კონტაქტი ბრენდის ავტორებთან +995 599 999 119, ddzagania@gmail.com დადარ წმუნდეთ „Etiquette“-ისგა მორჩეულობაში.

ჩვენ გვსურს პროფესიულ საზოგადოებას და არამხოლოდ მათ გავაცნოთ „Etiquette“, როგორც ღვინის ბრენდი და ბრენდის შემქმნელებს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ არამხოლოდ ღვინის ტრადიციების მიმართ აღდგენილი და გამოხატული პატივისცემისთვის, არამედ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობისთვის. ორგანიზაცია, უკვე წლებია კარგად იცნობს „Etiquette“-ის გუნდს და მათი შესაძლებლობების დამფასებელია. ამიტომაც, აღმასრულებელმა გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება ორგანიზაციის წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე, ჯილდო: „წლის საუკეთესო მომსახურებისთვის“, სწორედ ქართული ღვინის ბრენდისთვის – „Etiquette“-სთვის გადაგვეცა. ორგანიზაცია, ამ ჯილდოს თანამშრომლობის პროცესში ან საზოგადოებრივი მაღალი ნდობის პირობებში, ყოველწლიურად სხვადასხვა შემოქმედებით ჯგუფს ან ბრენდს გადასცემს. „Etiquette“-მა მიღებული ჯილდო ორივე კომპონენტით დაიმსახურა. მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობასთან ერთად, ორგანიზაციის 2022 წლის შემაჯამებელი ღონისძიების ნომინანტებს საჩუქრად სწორედ „Etiquette“-ის „ქისი“ და „ხიხვი“ გადაეცათ. ორგანიზაცია ამ ინსტიტუციური თანამშრომლობისთვის ბრენდის შემოქმედებით გუნდს უხდის მადლობას.

ცნობისთვის: ორგანიზაციის სპეციალური ნომინაცია – წლის საუკეთესო მომსახურებისთვის, 2021 წელს გადაეცა – სასტუმრო: „Shota Rustaveli boutique hotel“-ს, 2019 წელს – სასტუმრო: „Wyndham Grand Tbilisi“-ს, 2018 წელს – სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს, 2017 წელს – გამომცემლობას: „წიგნები ბათუმში“, 2016 წელს – „საქართველოს რკინიგზას“, 2014 წელს კი – „საქართველოს ფოსტას“.

Etiquette

საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის წარდგენა ზეპარტიული მოვლენაა

ორგანიზაცია მიესალმება საქართველოს მთავრობის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და ვიზა-ლიბერალიზაციის შემდგომ, ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის წარდგენა არამხოლოდ ევროინტეგრაციის გზაზე არსებითი ხასიათის ნაბიჯია, არამედ ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების გარანტიებისთვის პოლიტიკურ, სამართლებრივ და ინსტიტუციურ დამატებით გარანტიებს ქმნის.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს, რაც სრულად ასახავს მოსახლეობის ნებას გახდეს დემოკრატიული ქვეყნების ღირსეული და სრულუფლებიანი წევრი. საქართველოს წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებდა ქვეყნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს, საფუძვლიანად უნდა იქნეს აღმოფხვრილი, რათა რეალობა გახდეს მიზნის მიღწევის შანსი.

საქართველო სწორ დროსა და შექმნილ ვითარებაში აკეთებს განაცხადს ევროკავშირის წევრობაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია საზოგადოებას დროული და საჭირო ინფორმაცია მიეწოდოს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შემდგომ პროცედურებზეც, რათა არსებობდეს სწორი აღქმები და მოლოდინები. მართალია, ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს განაცხადის შემდგომ განმცხადებელი ქვეყნის სხვადასხვა სფეროში არსებული შედეგების შეფასებას, განაცხადის წარდგენა არ გულისხმობს ევროკავშირის წევრობის უფლების დაუყოვნებლივ მიღებას, მაგრამ პოლიტიკური გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელია, საგამონაკლისო გადაწყვეტილების მიღება. მაგალითად, რუმინეთისა და ბულგარეთის სახელმწიფოების შემთხვევაში, მხედველობაში იქნა მიღებული საერთაშორისო მოვლენებისა და საფრთხეების კონტექსტი, რის შედეგადაც, ევროკავშირის პოლიტიკური გადაწყვეტილებით, დასახელებული ქვეყნები ევროგაერთიანების წევრები გახდნენ, თუმცა სინამდვილეში, არც ბულგარეთი და არც რუმინეთი, ევროკავშირის მიერ შეფასებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, მიღების მომენტში, ვერ აკმაყოფილებდნენ. უკრაინასთან ერთად, დღესდღეობით, ასეთი პოლიტიკური შანსი გააჩნია საქართველოს და მოლდოვას. შესაბამისად, სამივე ქვეყანამ უკვე გააკეთა ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია.

საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის წარდგენა ზეპარტიული მოვლენაა, რასაც ქვეყნის შიგნით, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო პარტიების კონსოლიდაცია, დემოკრატიული რეფორმების გაგრძელება და საზოგადოების ერთიანობა უნდა მოჰყვეს. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ევროინტეგრაციის გზაზე ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის წარდგენით, იზრდება, როგორც მთავრობის, ასევე პოლიტიკური პარტიების ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, რაც განუხრელად საჭიროებს ძალისხმევას.

ჰაგის სასამართლოს რუსეთის წინააღმდეგ საქართველოში ომის დანაშაულების მტკიცებულებებიც დაეხმარება

რუსეთ-უკრაინის, ისევე, როგორც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების დროს, რუსეთის მხრიდან ომის დანაშაულის მკაფიო ფაქტები იკვეთება, რაც ერთობლიობაში, საკმარისი მტკიცებულებებია ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ (Iჩჩ) აქტიური მოქმედებები განახორციელოს და რუსეთის ფედერაციის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა გამოაცხადოს.

უკრაინაში რუსეთის ინტერვენციისა და განვითარებული მოვლენების შესაბამისად, ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში (Iჩჩ) უკვე დაიწყო გამოძიება სავარაუდო ომის დანაშაულის ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე, რომლის ფარგლებშიც, რუსეთის მოქმედი პრეზიდენტის, რუსეთის სხვა მაღალი პოლიტიკური და სამხედრო პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა საქართველოში, 2008 წელს ჩადენილი სავარაუდო ომის დანაშაულზე არსებულ საგამოძიებო მასალებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია.

როგორც ცნობილია, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის ფარგლებში, პროკურორის ოფისი იძიებს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ ორი ტიპის დანაშაულებს: ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულსა და ომის დანაშაულს. სწორედ ანალოგიური საფუძვლით დაიწყო გამოძიება უკრაინის შემთხვევაშიც. რუსეთს, უახლესი ცნობებით, ბრალი ედება ბავშვთა სახლისა და საბავშვო ბაღის დაბომბვაში, ასევე, ვაკუუმ ბომბების გამოყენებაში.

საქართველოს შემთხვევაში, იმისათვის, რომ საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულიყო და მტკიცებულებები მოეძიათ, რაც საქმის დასაშვებობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, 8 წელი აღმოჩნდა საკმარისი. შესაბამისად, 2016 წლის იანვრიდან, პროკურორის მიმართვის საფუძველზე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაიწყო გამოძიება და 2022 წლის დეკემბერში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა კარიმ ასად ახმად ხანმა საჯაროდ განაცხადა, რომ დასრულებულად გამოაცხადა 2008 წლის რუსეთ- საქართველოს ომის საქმის გამოძიება. ამასთან, კარიმ ხანი განმარტავს, რომ „მუშაობა საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებით არ დასრულებულა. ჩემი ოფისი აგრძელებს და გააგრძელებს თავისი ძალისხმევის მიმართვას დაპატიმრების ორდერის ადრესატების სამართალში მისაცემად.“ რაც შეეხება უკრაინის მაგალითს, განსახილველ შემთხვევაში, დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობით, მსოფლიოს 38-მა ქვეყანამ, მათ შორის, საქართველომ მიმართა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების დაწყების მოთხოვნით, რამაც კანონით განსაზღვრული პროცედურები, დროში დააჩქარა - სასამართლომ მყისიერად დაიწყო გამოძიება.

მიზანშეწონილია, რუსული კაპიტალის შემოდინებაზე დაისვას მორატორიუმის საკითხი

ორგანიზაცია, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების გარანტიებისთვის პოლიტიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციური დამატებითი გარანტიების შექმნის მიზნით, მთავრობას და პარლამენტს მოუწოდებს, საჭირო, თანაზომიერი და მყისიერი ზომები იქნეს მიღებული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისა და იურიდიული პირების გამოხატულ ინტერესებზე, რუსეთ-უკრაინის საომარო მოქმედებების კვალდაკვალ, მაღალი ინტენსივობით მოხდეს საქართველოში უძრავი ქონების შეძენა, კაპიტალის დაბანდება, გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმება თუ საზღვრის კვეთა საცხოვრებელი მიზნებისთვის.

ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად, საჭიროა მორატორიუმის შემოღება და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მთელი რიგი ღონისძიებების ამოქმედება. **მართალია, მორატორიუმი ზღუდავს თავისუფალი ვაჭრობის, გარიგებებისა და ეკონომიკური ბრუნვის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, თუმცა მორატორიუმის მიზანი დროებითი ღონისძიებების გატარებაა, რათა არ მოხდეს გაცილებით მეტი საყოველთაო სიკეთისა და დაცული სფეროს - უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესების ხელყოფა.**

საქართველოს, ამ კუთხით გააჩნია გამოცდილება, რა დროსაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისება შეიზღუდა (2013-2014 წლები). ამდენად, მნიშვნელოვანია რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებების პარალელურად, საქართველოში უძრავი ქონების შეძენისა თუ ეკონომიკური აქტიურობების კონტროლის მიზნით, სახელმწიფომ დაბალანსებული პოლიტიკა აირჩიოს და დროებითი სამართლებრივი რეჟიმი შემოიღოს.

ამასთან, მნიშნელოვანია სახელმწიფომ მეტი ყურადღებით და სიფრთხილით მოეკიდოს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიერ საზღვრის კვეთას და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მთელი რიგი ღონისძიებები ამოქმედდეს. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს პოლიტიკა არ უნდა იყოს დისკრიმინაციული და მიდგომა სრულად უნდა პასუხობდეს თავისუფალი მიმოსვლისა და გადაადგილების ევროპულ და ეროვნულ კანონმდებლობას. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია განჭვრეტადი და ცხადი იყოს რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში საქართველოში შემოსული პირების სამართლებრივი სტატუსი და მდგომარეობა. კანონი შესაძლებელს ხდის და მიზანშეწონილია ასეთი პირების მიმართ გაიცეს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს იმ პირთა მიმართ საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმა, რომლებსაც გადაკვეთილი აქვთ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. საზღვარი ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე გააჩნიათ ეკონომიკური საქმიანობა.

სამი სამართლებრივი მიზეზი, რაც საქართველოს ნეიტრალურ სახელმწოფოდ გამოცხადებას შეუძლებელს ხდის

რთული გეოპოლიტიკური სიტუაციის პარალელურად, საქართველოში აქტუალური გახდა ქვეყნის ნეიტრალიტეტზე მსჯელობა. არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ უნდა გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი, არ ჩაერიოს განვითარებულ მოვლენებში და იყოს პასიური დამკვირვებლის როლში. მნიშვნელოვანია, არსებული დებატების სამართლებრივ ჭრილში შეფასება. კერძოდ, არსებული საკანონმდებლო რეგულაციები და პოლიტიკური რეალობა აძლევს თუ არა სახელმწიფოს საშუალებას გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი ან საერთოდაც, აქვს თუ არა იდეას სამართლებრივი პერსპექტივა.

ნეიტრალიტეტის გამოცხადება რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხთანაა დაკავშირებული, რომლის კუმულატიურად არსებობაა აუცილებელი, რათა სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტი იყოს ქმედითი:

პირველი – ნეიტრალიტეტის მოსურნე სახელმწიფო უნდა იყოს ერთიანი, მის ტერიტორიაზე არ უნდა იყოს განთავსებული სხვა სახელწმიფოს სამხედრო დანაყოფები თუ შეიარაღება. ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტზე მეტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. საქართველოში მოქმედებს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ". ოკუპირებულ რეგიონებში განთავსებულია რუსული სამხედრო ქვედანაყოფები, რაც ნეიტრალიტეტის გამოცხადებას შეუძლებელს ხდის. ამ კონტექსტის უგულვებელყოფის შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი მის სამართლებრივ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, რაც პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო საკუთარი ნებით უარს ამბობს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე.

მეორე – უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად." არსებული ჩანაწერი ნიშნავს იმას, რომ ყველა კონსტიტუციური ორგანო ვალდებულია გააკეთოს ყველაფერი, რათა საქართველო გახდეს ნატო-სა და ევროკავშირის წევრი. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის ძალებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ნატო-ს სამშვიდობო მისებსა და სხვა წვრთნებში, რათა ქვეყნის სამხედრო მზაობა დაუახლოვდეს ნატო-ს სტანდარტებს. შესაბამისად, ამ კუთხითაც შეუძლებელია საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის ამოღება, ეს კი თავშივე შეუძლებელს ხდის ნეიტრალიტეტის გამოცხადებას.

მესამე – ნეიტრალიტეტისთვის აუცილებელია გახლავთ აღიარება მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან. ნეიტრალიტეტის გამოცხადება მოითხოვს პოლიტიკურ მხარდაჭერას და შესაბამისს გარანტიებს. მაგალითაც, როგორც ეს შვეიცარიაშია. შვეიცარიის ნეიტრალიტეტის გარანტად მეზობელი სახელმწიფოებიც არიან წარმოდგენილი. ჩვენ შემთხვევაში, წარმოუდგენელია, რომელიმე ქვეყანა საქართველოს ნეიტრალიტეტის გარანტად იქნეს დასახული. სომხეთს და აზერბაიჯანს საკუთარი ტერიტორიული კონფლიქტი აქვთ. თურქეთი, მართალია ნატო-ს წევრია, მაგრამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რეგიონში რუსეთის შესაძლებლობებს ყოველთვის ყურადღებით აკვირდება და მასთან ღია დაპირისპირებას არ მოახდენს. რჩება რუსეთის ფედერაცია, რომელიც საქართველოს ნეიტრალიტეტის გარანტად – განხილვას არ ექვემდებარება.

საქართველო, სამართლებრივი თვალსაზრისით, ნეიტრალური სახელმწიფო ვერ გახდება. დღეს ამის შესაძლებლობას არ იძლევა – არც კანონმდებლობა, არც ტერიტორიული მთლიანობა და არც გეოპოლიტიკური განწყობა. პოლიტიკოსებმა ამ თემაზე სპეკულაცია უნდა შეწყვიტონ, რადგანაც საქართველოს ნეიტრალიტეტის საკითხი არ გამომდინარეობს ეროვნული ინტერესებიდან.

პარლამენტმა უკრაინელი ბავშვების მინდობით აღზრდაში მიღება, კანონში ცვლილების გარეშე, ჯანდაცვის სამინისტროს დაავალა

საქართველოს პარლამენტი, ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადებაზე დაყრდნობით, კანონში ცვლილების შეტანის გარეშე, უკრაინელი ობოლი, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვების საქართველოში მინდობით აღზრდაში მიღებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილების საკითხად განიხილავს და პარლამენტი მიუთითებს, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მიხედვით, სამინისტროს უფლება აქვს დადოს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება იმ საკითხებზე, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება.

მართალია, პარლამენტმა მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიიჩნია „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანა, უკრაინელი ობოლი, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვების საქართველოში მინდობით აღზრდაში მიღების რეგულირებას შეეხებოდა, მაგრამ მოცემული საკითხის რეგულაცია მთლიანად დაუქვემდებარა საქართველოს მთავრობის სამინისტროს პასუხისმგებლობას და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მიხედვით, დასაშებად მიიჩნია შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

კერძოდ, პარლამენტის პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ **„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის“ (N11634, 31.12.2021წ.) დანართი N2-ის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის“, „მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამისა“ და „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ მოსარგებლეები, გარდა საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისა, არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც. ამრიგად, მინდობით აღზრდაში შესაძლებელია განთავსდეს უცხო ქვეყნის, მათ შორის უკრაინის მოქალაქეც. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მიხედვით, სამინისტროს უფლება აქვს დადოს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება იმ საკითხებზე, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება, ბავშვზე ზრუნვა და მასთან დაკავშირებული საკითხები კი შედის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციაში. აქედან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობით, სამინისტროს აქვს უფლება გააფორმოს მსგავსი საერთაშორისო ხელშეკრულებები კანონში ცვლილების შეტანის გარეშე.**

ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადების თანახმად, საკითხის აქტუალობა გამოიწვია უკრაინაში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა და

ქართულ საზოგადოებაში გაჩენილმა მოთხოვნილებამ, რომ უკრაინელი ობოლი, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვების შვილება შემდგარიყო. საკითხის სამართლებრივმა შესწავლამ აჩვენა, რომ „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი საერთაშორისო შვილად აყვანის პროცედურების განხორციელების შესაძლებლობებს, ფაქტობრივად, გამორიცხავდა. კერძოდ, კანონის ჩანაწერით, შეუძლებელი ხდებოდა უკრაინელი ბავშვების შვილად აყვანა, **მაგრამ კანონის და დამატებითი სამართლებრივი პროცედურების წარმოების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდებოდა მინდობით აღზრდის ინსტიტუტის ამოქმედება,** სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო შვილად აყვანის სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით უკრაინასთან, რომელიც ჰააგის კონვენციის მონაწილე არ არის, შესაბამის ორგანოსთან ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება და საბრძოლო მოქმედებების შედეგად ობოლო, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვები, განსხვავებული საჭიროების მქონე არასრულწლოვნების საქართველოს სახელმწიფოს მიერ მინდობით აღზრდაში მიღება. **სწორედ ამ მიმართულებით საკითხის გადაჭრას დაეთანხმა საქართველოს პარლამენტი.**

საკითხის განხილვის პროცესში, მხედველობაშია მისაღები ორი სამართლებრივი გარემოება; პირველი - უკრაინის სახელმწიფომ საომარი მდგომარეობის გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება გაშვილების პროცედურების შეჩერებაზე, მეორე გარემოება კი შეეხება იმ ფაქტს, რომ უკრაინა არ არის „ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფო.

სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში შეუძლებელი ხდება საერთაშორისო შვილად აყვანის პროცედურების განხორციელება. კერძოდ, უკრაინელი ბავშვების შვილად აყვანა, **მაგრამ კანონის და დამატებითი სამართლებრივი პროცედურების წარმოების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება მინდობით აღზრდის ინსტიტუტის ამოქმედება,** სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო შვილად აყვანის სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით უკრაინასთან, რომელიც ჰააგის კონვენციის მონაწილე არ არის, შესაბამის ორგანოსთან ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება და საბრძოლო მოქმედებების შედეგად ობოლო, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვები, განსხვავებული საჭიროების მქონე არასრულწლოვნების საქართველოს სახელმწიფოს მიერ მინდობით აღზრდაში მიღება (იხ. „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 მუხლი).

ასეთ შემთხვევაში, არასრულწლოვნების ბედზე პასუხისმგებლობას იღებს სახელმწიფო, ხოლო მათ ზრუნვაში შემოდის კერძო ოჯახები. ამდენად, არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ უკრაინელი ბავშვების ზრუნვაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის გაზრდაც უზრუნველყოფილი გახდეს.

მიგვაჩნია, რომ საქართველომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა მინდობით აღზრდაში მიიღოს უკრაინის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების შედეგად ობოლო, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვები, რომელთა შესახებ ინფორმაციას ფლობს უკრაინის კომპეტენტური ორგანოები. აგრეთვე, შეთავაზება უნდა გაკეთდეს განსხვავებული საჭიროების მქონე არასრულწლოვნების მიმართ, რომლებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ან ჯანმრთელობის პრობლემების ან/და ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვები, რომლებსაც სპეციფიკური ზრუნვა ესაჭიროებათ. ასეთი ჯგუფი ოფიციალურად რეგისტრირებულია უკრაინის შესაბამისს ორგანოში და სახელმწიფოსთან ერთად, მინდობით აღზრდის პროცესში, მნიშვნელოვანია აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. **ცხადია, ასეთ ბავშვებთან უნდა განხორციელდეს ფსიქო-ემოციური მუშაობა და რეაბილიტაციის ღონისძიებები, რომლის რესურსი გააჩნია ჩვენს ეკლესიას.**

მიგვაჩნია, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს ჰუმანიტარული სამართლითა და ბავშვთა უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ვალდებულებები, განახორციელოს პოლიტიკური და სამართლებრივი ღონისძიებები, აიღოს პასუხისმგებლობა მინდობით აღზრდაში მიიღოს უკრაინის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების შედეგად ობოლო, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვები, განსხვავებული საჭიროების მქონე არასრულწლოვნები.

ცნობისთვის: ორგანიზაცია, საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის ფარგლებში, გააგრძელებს საკითხზე მუშაობას საქართველოს მთავრობასთან და მის სამინისტროსთან დიალოგის კუთხით. ორგანიზაციამ საკანონმდებლო წინადადებით საქართველოს პარლამენტს 2022 წლის 12 აპრილს მიმართა. საკითხის განმხილველ წამყვან კომიტეტად დასახელდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, რომელმაც შესაბამისი დასკვნა 2022 წლის 3 ოქტომბერს გამოაქვეყნა. პარლამენტმა „ახალგაზრდა ადვოკატების“ უკვე მეექვსე საკანონმდებლო წინადადებას განიხილა.

ცოტნე – არ არსებობს სხვა სიმართლე სიმართლის გარდა

ცოტნე ზედგინიძე – წლის მოვლენა და კიდევ ერთხელ აღმოჩენაა. მისი გამოსვლა, ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ, ჩვეულებრივი დღესასწაულია. სამწუხაროდ, ორგანიზაციას და მის გუნდს, უკვე წლებია, ცოტნეს და ნინიკოს, ასევე არასრულწლოვნების აღმზრდელი ბებიის – ნინო მამრაძის დაცვა სასამართლო წესით უხდება. 2022 წელს, 10 თვის განმავლობაში წარმოებული დავაც ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვით დასრულდა. ორი ინსტანციის სასამართლომ **არ დააკმაყოფილა არასრულწლოვნების კანონიერი წარმომადგენლის – მამა გიორგი ზედგინიძის მოთხოვნა ამღზრდელი ბებიის მიმართ დამცავი ორდერის გამოცემის, შვილების 9 თვის განმავლობაში ბებიის საცხოვრებელი სახლიდან განცალკევების, მოქმედი პროკურორ ზაზა კვირკველიას ოჯახში (რომელიც მამის დის ქმარია) განთავსებისა და ბავშვების ბებიასთან კომუნიკაციის შეზღუდვის მოთხოვნით.** სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ბავშვებთან გასაუბრებაზე, საიდანაც გამოიკვეთა, რომ ისინი თბილად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე საუბრობდნენ იმ გარემოზე (ბებიის ოჯახზე), სადაც ისინი ცხოვრობენ, განსაკუთრებული სიყვარულით მოიხსენიებენ ბებიას, კატეგორიულ უარს აცხადებენ მამასთან საცხოვრებლად წასვლაზე, მის მიმართ აქვთ წყენა და უნდობლობა. ბავშვები აღიქვამენ და აცნობიერებენ მამასა და ბებიას შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობას, **შესწევთ უნარი დამოუკიდებლად, ყოველგვარი ჩარევის, ზეგავლენის გარეშე შეაფასონ და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება უფროსებს შორი არსებულ უთანხმოებასთან დაკავშირებით, მკაფიოდ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია და სურვილი.** სასამართლო მიიჩნევს, რომ **არ არსებობს არცერთი საკმარისად მყარი და მკაფიო მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ნინო მამრაძის მხრიდან არასრულწლოვნების ნინო ზედგინიძის და ცოტნე ზედგინიძის მიმართ ფსიქოლოგიური ან/და ფიზიკური ძალადობის, იძულების, მათი ინტერესების უგულებელყოფის ფაქტის არსებობა ან მომავალში ასეთი ძალადობის განხორციელების რეალური საშიშროება, შესაბამისად არ არის გამოკვეთილი დამცავი ორდერის გამოცემის უპირატესობა. სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, სოციალური სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედებები არასაკმარისი და არაეფექტური იყო.**

მისასალმებელია, რომ სასამართლომ ზუსტად შეაფასა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები და არ მიიღო ბავშვების ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. აღნიშნული პროცესი წარმოადგენდა ყოფილი სიძის შურისძიებას ბავშვების დაბრუნების საბაბით. სწორედ მამის ნების შეზღუდვის პირობებში, ორგანიზაციის გუნდმა, წელს, ორგზის უზრუნველყო ცოტნეს გამგზავრება საერთაშორისო კონკურსებში, რადგანაც გიორგი ზედგინიძემ შესაბამისი თანხმობა არ გასცა ასეთ გადაადგილებებზე. ჩვენ გავაგრძელებთ ცოტნეს და ნინიკოს ინტერესების დაცვას, რადგანაც კიდევ ერთი სამართალწარმოება, რაც მამის მხრიდან იქნა დაწყებული, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გრძელდება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მოზარდებს ჰქონდეთ დაცული სამართლებრივი გარემო..

GEORGIAN PHILHARMONIC ORCHESTRA
საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი
და ნიკოლოზ რაჭველი წარმოგიდგენთ
კონსერვატორიის დიდი დარბაზი
28.12.2022 20:00
ცოტნე ზედგინიძე
ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის
ევგენი მიქელაძის სახელობის
საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი
ნიკოლოზ რაჭველი დირიჟორი
აღექსანდრე ქორიძის ფილმი
ATONAL GLOW
CONCEPT ART
BADAGONI
106.9 FM FORTUNA
08.ge
TKT.GE

პროექტი ჰააგის ბავშვთა კონვენციის ფარგლებში – ცნობიერების ამაღლება, ადვოკატირება, დაცული უფლებები

ორგანიზაცია, 2022 წელს წარმატებით დაასრულა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამით გამარჯვებული პროექტი: „ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში ჰააგის კონვენციის მიხედვით“. გუნდი განსაკუთრებული პასუხისმგებელობით მიუდგა პროექტის განხორციელებას, ვინაიდან საქართველო, „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებიდან პირველი აღმოჩნდა, რომელმაც კონვენციიდან წარმოქმნილი უფლებების ადვოკატირება გადაწყვიტა. წარმოდგენილი პროექტი, სახელმწიფოსა და მესამე სექტორს შორის, იქცა კარგი ინსტიტუციური თანამშრომლობის მაგალითად. შესაბამისად, პროექტი ეროვნულ დონეზე წარმოადგენდა პირველ შესაძლებლობას და მექანიზმს, რომელიც ორიენტირებული იქნა იურიდიულად მოწესრიგებული გარემოს შექმნასა და ცნობიერების ამაღლებაზე, რამაც საქართველოს, როგორც რეფორმატორ ქვეყანას, მნიშვნელოვანი ღირსება შესძინა. არჩილ კაიკაციშვილმა მადლობა გადაუხადა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოცხადებული ნდობისთვის და შესაძლებლობისთვის. ასევე, იმედი გამოთქვა, რომ სახელმწიფო გააგრძელებს მსგავსი ინიციატივების განხორციელებას და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის მიმართულებით ინსტიტუციურ მიდგომებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის, მანანა ბეგიაშვილის შეფასებით, სამინისტრომ საგრანტო პროგრამის ფარგლებში 14 პროექტი შეარჩია და დააფინანსა, რაც მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური როლის შესრულებას. მათ შორის, „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ შესრულებული პროექტი მოიცავდა არამხოლოდ უფლებების დაცვას, არამედ სამოქალაქო ცნობიერების კამპანიებს. მანანა ბეგიაშვილმა ისაუბრა სამინისტროსა და ორგანიზაციას შორის პროექტის განხორციელების ფარგლებში არსებულ კომუნიკაციაზე და აღნიშნა, რომ პროექტი შესრულდა პასუხისმგებლობით და მაღალი ჩართულობით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის, თამთა დევდარიანის შეფასებით, პროექტი დაეხამარა იურიდიულ საზოგადოებას, ადვოკატებს, რომლებიც გადამზადნენ „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ფარგლებში წარმოქმნილი სასამართლო დავების ტექნიკაში. თამთა დევდარიანის განცხადებით, პრაქტიკოსი ადვოკატებისა და იურისტებისთვის არსებითი მნიშვნელობის საკითხია საგანმანათლებლო და პროფესიული ტრენინგ-კურსები, რათა სათანადო უნარ-ჩვევებით აღჭურვილნი შეძლონ კონკრეტული საქმეების სათანადო ადვოკატირება. მისი თქმით, პროექტმა ამ კუთხით სრულად უპასუხა არსებულ საჭიროებებს.

პროექტის ერთ-ერთმა ბენეფიციარმა, ნანა ეჯიბიამ მადლობა გადაუხადა ორგანიზაციას და სამინისტროს იმ შესაძლებლობებისთვის, რომელმაც მის წინაშე არსებული საკითხების სათანადო დაცვა და მოწესრიგებილი იურიდიული შედეგი განაპირობა. ნანა ეჯიბიამ აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში, მას სრულად დაუფინანსდა საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, რასაც დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა. პროექტის ღირსებებზე ისაუბრეს სიტყვით გამომსვლელმა ადვოკატებმა: ნიკა სადრაძემ, თეიმურაზ ქავშბაიამ, ნანა ნანსყანმა და გულო ბიბილაშვილმა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საგრანტო პროგრამის („საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, ინოვაციური სერვისების დანერგვა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია“) ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში წარდგენილი პროექტის: „ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში ჰააგის კონვენციის მიხედვით“ გამარჯვებული 2021 წლის დეკემბერში გახდა. პროექტი 2022 წლის ივნისის ბოლომდე მიმდინარეობდა, რომლიც სამი მიმართულებისგან შედგა: 1. ბენეფიციარების უფასო იურიდიული მომსახურება, 2. პროექტის ფარგლებში სამოქალაქო ცნობიერების კამპანიის მომზადება და 3. იურიდიული სფეროს წარმომადგენლების გადამზადება სა-

ქართველოში კონვენციით გათვალისწინებული დავების წარმართვის დროს.

პროექტის განხორციელების მანძილზე, იურიდიული კონსულტაცია გაეწია სამ ბენეფიციარს, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება საერთო სასამართლოებში განხორციელდა 2 ბენეფიციარის შემთხვევაში. ამასთან, პროფესიული გადამზადების ტრენინგში, წინასწარ ხელისწავდომი რეგისტრაციის ფორმით, მონაწილეობა მიიღო 19-მა იურისტმა. აქედან 12 გახლდათ პრაქტიკოსი ადვოკატი. ტრენინგის თემას წარმოადგენდა: „როგორ წარვმართოთ საქართველოს სასამართლოში კონვენციის ფარგლებში არსებული დავები: ტექნიკა და პრაქტიკა". შეხვედრაზე გაზიარებული იქნა გამოცდილება, რომელიც არსებობს კონვენციის დავების წარმართვასთან საქართველოში, ასევე გაცნობილი იქნა საკანონმდებლო ჩარჩო და კონვენციის მოქმედების ფარგლები, საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ევროსასამართლოს პრაქტიკა. გაიცა სერთიფიკატი და ტრენინგში მონაწილე პირების შესახებ სია გადაიგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, როგორც კონვენციის განსაზღვრულ ცენტრალურ ორგანოსთან საქართველოში, რათა ხელი შეეწყოს საქართველოში კონვენციიდან წარმოშობილი დავებში გადამზადებული ადვოკატების/იურისტების ბაზის ფორმირებას.

ორგანიზაციამ „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის პოპულარიზაციისა და ეროვნულ დონეზე არსებული ადვოკატირების შესაძლებლობების გაცნობის მიზნით, ქ. თბილისში, ცნობიერების ამაღლების სამოქალაქო კამპანია ჩაატარეს. ორგანიზაციის აღმასრულებელმა გუნდმა, საქართველოს და სხვა ქვეყნის მოქალაქეებს სპეციალური საინფორმაციო ცნობარი გადასცეს, სადაც დეტალურად იქნა აღწერილი კონვენციის მიზნები და ამოცანები, ამასთან კონვენციის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე სასამართლო დავების წარმოების შემთხვევაში, უფასო იურიდიული მომსახურების პირობები, საკონტაქტო ინფორმაცია და პროექტის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაცია.

ორგანიზაციამ ცნობარი ქართულ და ინგლისურ ენაზე მოამზადა და გამოსცა, სამოქალაქო კამპანიის ფარგლებშიც, ძირითადად, სამიზ-

ნე ჯგუფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, ვინაიდან „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ფარგლებში, საქართველოს სასამართლოში, ძირითადად მათ შორის მიმდინარეობს დავა ბავშვის ჩვეული საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით. ორგანიზაციის წევრებმა 700-ზე მეტ მოქალაქეს გადასცეს საინფორმაციო ცნობარი. გუნდის წევრები მოქალაქეებს განუმარტავდნენ, თუ რა ინფორმაციის მატარებელი იყო საინფორმაციო ბუკლეტი და რა პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია. მოქალაქეებიც ყურადღებით და ინტერესით ეცნობოდნენ მიღებულ ინფორმციას.

ორგანიზაციამ შექმნა პროექტის ფარგლებში საინფორმაციო რგოლი, რომელიც კონვენციის ფარგლებში შესაძლო მხარეებს დეტალურ ინფორმაციას აწვდის დავების საქართველოში წარმოების პროცესუალურ და პროცედურულ საკითხებზე. ამასთან, გამოიცა პროექტის შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც იურიდიული სფეროს წარმომადგენლებს დახმარებას გაუწევს, მათთვის ხელმისწავდომი გახდეს კონვენციის ოფიციალური ტექსტი მშობლიურ ენაზე, 2019 წლიდან საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოკლე შინაარსი, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში კონვენციის ძირითადი მოთხოვნების იმპლემენტაცია, კონვენციის ფარგლებში მხარეთა შორის მორიგების აქტის პროექტი მისი მომზადების ტექნიკის თვალსაზრისით. ამასთან, ანგარიშში ასახულია ქვეყნები, რომლებიც დღესდღეობით წარმოადგენენ „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს. მათ შორისაა - საქართველო.

„ბავშვთა უფლებების დაცვა საქართელოში ჰაგის კონვენციის მიხედვით“ მეორე პროექტი გახდა, რომელიც ორგანიზაციის აღმასრულებელმა გუნდმა სახელმწიფოსთან თანამშრომლობით განახორციელა. 2017-2015 წლებში, ორგანიზაციამ წარმატებით დაასრულა საქართველოს მთავრობის „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, სახელწოდებით პროექტი: „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა უფასო იურიდიული დახმარება“. ორგანიზაცია მადლობას უხდის ყველა ბენეფიციარს, პროექტში ჩართულ პარტნიორებსა

თბილისში, 62 სოციალური მუშაკიდან, 26 სოციალურ მუშაკს აკადემიური ხარისხი არ გააჩნია, სააგენტო კი ბიოგრაფიებს მალავს

ორგანიზაცია მონიტორინგის შედეგებს აქვეყნებს, რომელიც სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს საქმიანობას, კანონშესაბამისს მოქმედებებსა და სოციალური მუშაობის სფეროში გამჭვირვალობის დადგენას შეეხება. შედეგად, ორგანიზაციამ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, „სოციალური მუშაობის შესახებ" კანონის აღსრულებისა და მოთხოვნების შესაბამისი გადაწყვეტილებების შეფასების მიზნით, 22 შეკითხვით მიმართა, რომელიც შეეხებოდა სოციალური მუშაკის სამსახურში მიღების, დაწინაურებისა თუ პასუხისმგებლობის საკითხების დადგენას, კვალიფიკაციის ხარისხს, კონკურსების გამჭვირვალობას, თვითშეფასების პოლიტიკას, სტრატეგიული დოკუმენტების შინაარს, საჩივრების მიმღებლობის ხარისხს, სოციალური დაცვის გარანტიებსა და სააგენტოს ბიუჯეტის მიზნობრიობას. ორგანიზაციის შეფასების ინტერესი ქ. თბილისის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული მდგომარეობის შემოწმება წარმოადგენდა.

მონიტორინგის შედეგები შემაშფოთებელია, ვინაიდან სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს საქმიანობაში კანონით დადგენილი მოთხოვნები დარღვევა ან უგულვებელყოფა იკითხება. დგიდნება, რომ 2022 წლის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო ცენტრში ფაქტობრივად დასაქმებულია 62 სოციალური მუშაკი. აქედან ა) ბავშვზე ზრუნვის და დაცვის განყოფილებაში – 36, ბ) მხარდაჭერის, სასამართლო/სამოქალაქო დავების და აღსრულების განყოფილებაში – 26. სააგენტოს განმარტებით დგინდება, რომ დასაქმებულთაგან, სოციალური მუშაობის სფეროში, ბაკალავრის, მაგისტრატურის/მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი გააჩნია 36 პირს, ხოლო კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერტიფიკატი – 26 პირს. სოციალური მუშაკების დასაქმება ხდება სააგენტოს დირექტორის მიერ კონკურსის გზით/შრომითი ხელშეკრულებით, სააგენტო კი განმარტავს, რომ ყველა დასაქმებული სოციალური მუშაკი ფლობენ შესაბამის ცოდნას და აქვთ პროფესიული უნარები ბავშვთა დაცვის მიმართულებით.

შესწავლამ აჩვენა, რომ სააგენტო სერტიფიკატის გაცემის წესთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებლობას იხსნის და სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირებისათვის აუცილებელი გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ უწყებად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასახელებს, მაგრამ სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირების დასრულებამდე, არც სააგენტოს არ შეუჩერებია სოციალურ მუშაკად იმ პირთა მიღების პროცესი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ კომპეტენციათა ერთობლიობას, თუმცა მიიჩნევა, რომ არასათაანდო განათლების მიუხედავად, გააჩნია სოციალური მუშაობის გამოცდილება.

ასეთ ვითარებაში, ცხადი ხდება, რომ სოციალური მუშაკის შეფასების სისტემა მოშლილია და არ ეფუძნება არავითარ მყარად დადგენილ კრიტერიუმებს. „სოციალური მუშაობის ეთიკის კოდექსი" ან „სოციალური მუშაობის პროფესიული სტანდარტები" არ წარმოადგენს სოციალური მუშაკის შეფასებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტებს და მათი დანიშნულება, სოციალური მუშაობის სფეროში, მხოლოდ სოციალურ მუშაკის საქმიანობის მიმართულებებს განსაზღრავს. შესაბამისად, არ მუშაობს დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმი, როდესაც სახეზეა სოციალური მუშაკის გადაცდომები.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სააგენტო არ ახდენს საერთო სასამართლოებში სოციალური მუშაკების აცილებისა და თვითაცილების სტატისტიკის შექმნას. ამასთან, სააგენტო მფარველობს და ხელს აფარებს კანონდამრღვევ ადმინისტარციულ მოხელეებს, რომლებიც საქმიანობენ სხვადასხვა განყოფილებებსა ან/და საქმებული არიან ამავე განყოფილების სხვადასხვა პოზიციებზე. სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, რაც კოლოსარულ თანხებს შეადგენს. 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენდა – 69,830,000 ლარს. სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდიც კი ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების ჯეროვან ინფორმირებას ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე.

ბიზნესმენი ამხელს – ე.წ ზრუნვის სააგენტომ სასამართლოს გადაწყვეტილება გააყალბა

ორგანიზაციამ საჯარო გახადა დაუჯერებელი შემთხვევა, რა დროსაც ე.წ. ზრუნვის სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, **გიორგი კუპრეიშვილის მონაწილეობით, გაყალბდა სასამართლოს სააღსრულებლო ფურცლის ოფიციალური ტექსტი და ე.წ. ზრუნვის სააგენტომ მხარეს მოსთხოვა იმ მოქმედებების შესრულება, რომელიც მხოლოდ დავის მონაწილე ერთი მხარის ინტერესებს ერგებოდა.**

არასრულწლოვნის მამა, გადაწყვეტილების აღსრულებლობის შეუსრულებლობის საფუძვლით, სისხლის სამართლის მოსალოდნელ პასუხისმგებლობას - დაპატიმრებას მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 31 იანვრის განჩინებამ გადაარჩინა. საქმე შეეხება ბიზნესმენ სტანისლავ საჟინის საოჯახო საქმეს, რომელიც 2021 წლის მარტიდან საცხოვრებელ ადგილად აირჩია საქართველო. ბიზნესმენის მეუღლე ქართულ სასამართლოში წარდგენილი სარჩელით საერთო შვილის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას - რუსეთის ფედერაციაში დაბრუნებას მოითხოვს და ასაბუთებს, რომ ბავშვი არამართლზომიერად გადაადგილებულია.

დასახელებულ საქმეზე ე.წ. ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლებმა ცალსახად მეორე მშობლის პოზიცია დაიჭირეს და ისე, რომ საქმეზე არ არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, სახელმწიფოს მიერ დანიშნულმა ადვოკატმა კი მამა არასრულწლოვანთან მიმართებით მოძალადედ დაასახელა.

სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, **გიორგი კუპრეიშვილის მონაწილეობით, გაყალბდა სასამართლოს სააღსრულებლო ფურცლის ოფიციალური ტექსტი და ე.წ. ზრუნვის სააგენტომ მხარეს მოსთხოვა იმ მოქმედებების შესრულება, რომელიც მხოლოდ დავის მონაწილე ერთი მხარის ინტერესებს ერგებოდა.** სინამდვილეში, სასამართლოს გადაწყვეტილება და სააღსრულეფო ფურცელი, სტასანისლავ საჟინს არ ავალდებულებდა იმ ქმედებათა განხორციელებას, რომლიც ე.წ. ზრუნვის სააგენტომ და სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტმა მოითხოვეს.

ამდენად, ორგანიზაცია, სტასანისლავ საჟინი და მისი ადვოკატები ილია მახარაძე და გულო დილავერიძე ფიქრობენ, რომ ე.წ. ზრუნვის სააგენტომ და სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, გიორგი კუპრეიშვილმა კრიმინალური აქტი ჩაიდინეს.

საზოგადოების საყურადღებოდ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2022 წლის 31 იანვარს მიიღო განჩინება, რითაც შეჩერდა აღსრულების პროცესი, როგორც უკანონო მმართველობითი ღონისძიება. სასამართლო აღშფოთებულია ე.წ. ზრუნვის სააგენტოს დანაშაულებრივი ქმედებით. კერძოდ, სასამართლოს განჩინებაში ვკითხულობთ: „პალატა განმარტავს, რომ საერთო სასამართლოები გადაწყვეტილებას იღებენ საქართველოს სახელით და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განუხრელად დაცვისა და შესრულების ვალდებულება, საქართველოს მთელს ტერიტორიაზეა უზრუნველყოფილი. სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს“ (სტილი დაცულია, განჩინება №ას-70-2022, გვ. 8).

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აღნიშნავს, რომ ე.წ. ზრუნვის სააგენტოსა და უშუალოდ სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, **გიორგი კუპრეიშვილის მონაწილეობით, სასამართლოს გადაწყვეტილებების შეცვლის შემთხვევები, პირველი არ არის. გიორგი კუპრეიშვილი, თავისი მანერული განმარტებებით, აღნიშნულს უკავშირებდა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებით. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 31 იანვრის განჩინება არის ერთადერთი, პირველი და პრეცედენტული შემთხვევა, როდესაც სასამართლო ხელისუფლებამ ამხილა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული რგოლის კონკრეტული ადმინისტრაციული მოხელის თვითნებობა და სავარაუდო დანაშაული.**

პარლამენტმა იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრად წარდგენილ კანდიდატებს მოუსმინა

საქართველოს პარლამენტმა ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად არჩევისთვის წარდგენილ კანდიდატებს მოუსმინა. დეპუტატის შეკითხვებს ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილმა სამმა კანდიდატმა უპასუხა. სამივე მათგანი იურისტი და მდიდარი გამოცდილების მქონე პირები არიან: ცნობილი უფლებადამცველი და ევროსასამართლოს ექსპერტი, ქალბატონი **ლია მუხაშავრია**, იუსტიციის სფეროში პრაქტიკოსი სპეციალისტი ქალბატონი **რუსუდან კვინიკაძე** და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი, სისხლის სამართლის სპეციალისტი ბატონი **გიორგი გზობავა**.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატები სრულად აკმაყოფილებენ გამოცხადებული კონკურსისთვის დადგენილ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს - განათლებას, პროფესიულ შედეგებსა და რეპუტაციას. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ დასახელებული კანდიდატების გამოცდილება, სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ხედვა მართლმსაჯულების რეფორმის მიმართ, ობიექტური და დაბალანსებული არგუმენტების ერთობლიობა, მათი არჩევის შემთხვევაში, შესაძლებელს ხდის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა ეფექტიანი, ღია და ინკლუზიური გახადონ. ამდენად, კონკურენტული გარემოს პირობებში, განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ლია მუხაშავრიას, რუსუდან კვინიკაძისა და გიორგი გზობავას მოტივაცია, არსებული გამოცდილებით, წვლილი შეიტანონ მართლმსაჯულებისა განვითარებასა და გამჭვირვალე სისტემის ფუნქციონირებისათვის.

მთლიანობაში, პროცესმა აჩვენა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია ვერ შეთანხმდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის საერთო კანდიდატებზე. ხუთი წევრის პოზიციაზე, მთლიანობაში, პარლამენტში განაცხადი შეტანილი 32 კანდიდატს აქვს. ოფიციალური განცხადებით, მმართველი პარტია მზად იყო 32-დან 16 კანდიდატურიდან შეერჩია მისაღები კანდიდატი, თუმცა ოპოზიცია ამ 16 კანდიდატიდან არცერთის მიმართ მხარდაჭერას არ გამოთქვამდა. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად არჩევის პროცესი 2023 წლისთვის გადაიდო.

ცნობისთვის: ორგანიზაციის სამოქალაქო პოზიციისა და ჩართულობის მაგალითს წარმოადგენდა 2017 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ დავით ასათიანის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრის შესარჩევ კონკურსში ქეთევან ბექაურის წარდგენა და მხარდაჭერა, 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად თემო ჭეიშვილის წარდგენა და მხარდაჭერა, 2015 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველად ლია მუხაშავრიას კანდიდატურის წარდგენა და მხარდაჭერა.

სახელმწიფო 43 მოსამართლის საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის, წელიწადში, 313,620 ლარს ხარჯავს

ორგანიზაციამ მოსამართლეთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მდგომარეობაზე შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მოსამართლეთა საცხოვრებელი ფართებით დაქირავების პროცესში, მეტი ხარჯთეფექტურობა მართებს. ამასთან, საჭიროა მოსამართლის სოციალური დაცვა შეფასდეს ხარისხიანი მართლმსაჯულების მიზნებით და გაუმჯობესდეს სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოხდეს ახალი მოსამართლეების მიღება, გაიზარდოს მოსამართლის შრომითი ანაზღაურება, რაც პირდაპირ კავშირშია მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხთან და სასამართლოს ანტიკორუფციულ გარემოსთან.

შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მოსამართლეთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს მიერ 43 მოსამართლის მიმართ დაქირავებულია საცხოვრებელი ფართი. საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის მიზნით გაწეული ყოველთვიური ხარჯი შეადგენს 26,135 ლარს. ყოველწლიურად, სახელმწიფოს მოსამართლეებისთვის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა 313,620 ლარი უჯდება. ცნობილია ის გეოგრაფიული არეალი, სადაც მოსამართლეები საჭიროებენ სახელმწიფოსგან სოციალურ დაცვას. კერძოდ, ეს ქალაქებია: **ამბროლაური** (1 მოსამართლის მიმართ) **ახალქალაქი** (1 მოსამართლის მიმართ), **ახალციხე** (1 მოსამართლის მიმართ), **ბათუმი** (5 მოსამართლის მიმართ), **ბორჯომი** (1 მოსამართლის მიმართ), **გორი** (3 მოსამართლის მიმართ), **გურჯაანი** (1 მოსამართლის მიმართ), **ზუგდიდი** (2 მოსამართლის მიმართ), **თბილისი** (5 მოსამართლის მიმართ), **თელავი** (3 მოსამართლის მიმართ), **ოზურგეთი** (2 მოსამართლის მიმართ), **სენაკი** (1 მოსამართლის მიმართ), **სიღნაღი** (3 მოსამართლის მიმართ), **ფოთი** (2 მოსამართლის მიმართ), **ქუთაისი** (10 მოსამართლის მიმართ) და **ცაგერი** (1 მოსამართლის მიმართ). ამასთან, დგინდება, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ საერთო სასამართლოებში სახელმწიფოს მიერ მოსამართლეთა მიმართ ღირსეული ცხოვრების პირობებით უზრუნველყოფის მიზნით საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემის ფაქტი არ დაფიქსირებულა. ამ ეტაპზე, დაგეგმილი არც მოსამართლეთათვის საცხოვრებელი კამპუსების მშენებლობაა.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მოსამართლეთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა, რაც მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას საჭიროებს, საზოგადოების მხრიდან ნეგატიურად ან კრიტიკულად არ უნდა იქნეს გაზიარებული. მოსამართლეთა საცხოვრებელი ფართით დროებით დაკმაყოფილება წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას და სასამართლოს ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის თანახმად, **მოსამართლეს, რომელსაც სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტში) არა აქვს საცხოვრებელი ბინა, სახელმწიფო უზრუნველყოფს აუცილებელი საცხოვრებელი ფართობით ან უნაზღაურებს საამისოდ საჭირო ხარჯებს.**

მნიშვნელოვანია, სახელმწიფო აღმოჩნდეს ხარჯთეფექტური და ინსტიტუციურად მიუდგეს მოსამართლეთა სოციალური დაცვის - საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მიზანს რეგიონებსა და ქ. თბილისში მოსამართლეთა საცხოვრებელი კამპუსის მშენებლობის კუთხით. ამასთან, სახელმწიფოს შეუძლია უკვე აშენებულ საცხოვრებელ ფართში შეიძინოს საცხოვრებელი ბინები, რაც ყოველწლიურად, დღევანდელი მონაცემის მიხედვით, მინუმამ 313,620 ლარის დანახარჯს შეამცირებდა. გაურკვეველია, რატომ არ ხდება საკითხის ამ კუთხით განხილვა და მომზადება. ყოველთვიური თუ ჯამურად, ყოველწლიური დანახარჯი სახეზეა, რაც საერთო შეხდულებით, მისი მდგრადობის არარსებობის გამო, გრძელვადიანი ხედვით, არაეფექტურადაც შეიძლება შეფასდეს.

მოსამართლეთა რეალური სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებისა და სასამართლოს რეფორმის, მისი კრიტიკის მიუხედავად, მოუწოდებს საქართველოს მთავრობას: 1. გაიზარდოს მოსამართლეთა რაოდენობა, რათა დატვირთვა ინდივიდუალურ მოსამართლეზე შემცირდეს, 2. შემუშავდეს მოსამართლეთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გრძელვადიან ხედვაში, რეგიონებსა და ქ. თბილისში გადაჭრის იმ მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიებს, ვინც საჭიროებს საცხოვრებლით მომსახურებას, 3. გაიზარდოს ყველა დონის სასამართლო ინსტანციის მოსამართლის შრომითი ანაზღაურება, რათა გაიზარდოს მართლმსაჯულების ხარისხი და გაიზარდოს კერძო სექტორში მოღვაწე კვალიფიციური იურისტების დაინტერესება მონაწილეობდნენ მოსამართლის შესარჩევ კონკურსში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ სასამართლო გადაწყვეტილებების საზოგადოებრივი კონტროლის ახალ ფორმატს შექმნის

ორგანიზაცია ახალი ინიციატივით გამოდის და სასამართლო გადაწყვეტილებების საზოგადოებრივი კონტროლის სადისკუსიო ფორმატს შექმნის. მიზანი - გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის, სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდის, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესში არსებული მიდგომების, მართლმსაჯულებაზე შესაძლო გავლენების კვლევისა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოკიდებულებების შეფასებაა.

სასამართლო გადაწყვეტილებების საზოგადოებრივი კონტროლის სადისკუსიო ფორმატის ფარგლებში მოწვეულნი იქნებიან იურიდიული სფეროს წარმომადგენლები, ადვოკატები, ექსპერტები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება ერთგვროვანი სასამართლო პრაქტიკისთვის დასრულებული ან მიმდინარე გადაწყვეტილებების განხილვა. ფორმატი და სადისკუსიო პროცესი გადაიცემა პირდაპირი ტრანსლირებით და განსახილველი გადაწყვეტილების ირგვლივ წარმოდგენილი მოსაზრებები რეკომენდაციების სახით მიეწოდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესს საბჭოს, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაზე პასუხიმგებელ კონსტიტუციური ორგანოს, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში დიპლომატიურ კორპუსს.

ორგანიზაცია განმარტავს, რომ ბოლო წლებში, სულ უფრო მეტი კრიტიკა ისმის სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებებისა და მოსამართლეთა საქმიანობის მიმართ. სასამართლოს უპირველელის ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან. მართლმსაჯულების მიზანია დარღვეულ უფლებებში მოქალაქეების თუ იურიდიული პირების აღგენა. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს „საქართველოს სახელით“, რაც გულისხმობს მის მიმართ ინსტიტუციური, ხოლო მართლმსაჯულების განმახორციელებელი მოსამართლის მიმართ - ინდივიდუალური ნდობის საჭიროებას. ამგვარი ნდობის ჩამოყალიბების ეფექტური საშუალება მიღებული გადაწყეტილებების კანონიერება, დასაბუთებულობა და პროცესის გამჭირვალობაა, ვინაიდან პროცესში წარმოშობილი ნებისმიერი პასუხგაუცემელი კითხვა ბადებს საფუძვლიან ეჭვს, როგორც ინტიტუტის, ასევე მოსამართლის მიუკერძებლობისა და დამოუკიდებლობის მიმართ. სწორედ ამ მნიშვნელობის წარმოჩენას, კრიტიკას თუ აუცილებლობას მოემსახურება ორგანიზაციის ახალი ფორმატი.

სწორედ სასამართლოს საზოგადოებრივი კონტროლი არის ის მთავარი ბერკეტი და მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხალხს შეუძლია მიღებული გადაწყვეტილებების გამჭირვალობისა და შეფასების უზრუნველყოფა. ცნობილი გახდება საზოგადოებისთვის, თუ რა წინაპირობების დაცვის შედეგად მოახდენს ორგანიზაცია სადისკუსიო გადაწყვეტილების შერჩევას და წარმოდგენას.

არსებობს რეალური საშიშროება, რომ ომბუდსმენის მომავალი ინსტიტუტი პოლიტიკურ მხარედ იქცეს

ტენდენციები, რომელიც გამოიკვეთა და არსებობს, ობიექტურ შეფასებებს მოითხოვს, რათა საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე შერჩეული იქნეს დამოუკიდებელი კანდიდატი. სწორედ დამოუკიდებელი კანდიდატის შერჩევის შემთხვევაშია შესაძლებელი, სახალხო დამცველის ინსტიტუტი გახდეს ეფექტიანი და მას შესწევდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობაზე კონტროლი. ამ განცხადებით, ორგანიზაციამ საქართველოს დამცველის არჩევის მიმდინარეობა და გამოწვევები შეაჯამა.

ორგანზიაციამ განცხადება შერჩევის პროცესის ჩავარდნამდე გააკეთა და აღნიშნავდა, რომ არსებული ვითარება, საიმედო დასკვნების შესაძლებლობას არ იძლევა. საქართველოს სახალხო დამცველის შერჩევა ხდება პოლიტიკური პარტიების შეთანხმებების და განწყობების შესაბამისად. შერჩევის პროცესის ფორმალურად ღია და საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული გამჭვირვალე წესების მიუხედავად, საქართველოს ახალი სახალხო დამცველი მმართველ პოლიტიკურ ძალასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის ძალთა გადანაწილების შედეგი იქნებოდა. ევროკავშირის მიერ დამოუკიდებელი კანდიდატის შერჩევის მითითების ქვეშ მთლიანად მოხდა ომბუდსმენის ინსტიტუტის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენება, რამაც არსებითად ზიანი მიაყენა საზოგადოების ნდობას კონსტიტუციური ორგანოს სამომავლო საქმიანობის მიმართ და გაურკვეველი რჩება ვის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული საქართველოს სახალხო დამცველი 2022 წლის დეკემბრიდან - წარმდგენი პარტიების, ხელისუფლების თუ სამოქალაქო საზოგადოების წინაშე.

საქართველოს სახალხო დამცველის შერჩევის პროცესი უნდა დარჩენილიყო საზოგადოებრივი და სამართლებრივი პროცესის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ საქართველოს პარლამენტში წარმოებულმა პროცესმა, მათ შორის ევროკავშირის 12-პუნქტიან პირობათა შორის ომბუდსმენის აპარატის დამოუკიდებლობის საკითხზე ხაზგასმამ პროცესი პოლიტიკური მოვლენების შემადგენელ ნაწილად აქცია. ის ფაქტი, რომ მმართველი პოლიტიკური პარტია არ მოახდენდა კანდიდატების ნომინირებას, არ გამორიცხავს საპარლამენტო პარტიების აქტიურ მოქმედებას, მმართველ პარტიასთან შეთანხმებით, სასურველი კანდიდატურის ლობირება განახორციელონ. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ ვერც ერთი პოლიტიკუსი პარტია ამ კონსესუსამდე ვერ მივიდა.

ამასთან, კანდიდატების შემფასებელი კომისია დაკომპლექტებული იქნა საპარლამენტო უმცირესობასთან კონსულტაციების შედეგად. პოლიტიკური დღის წესრიგის პირობებში, პარტიებს მიეცათ დასახელებული კანდიდატების განსახილველად წარდგენის უფლება. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის შერჩევის პროცესი მთლიანად პოლიტიკური მიზანშეწონილობის ქვეშ აღმოჩნდა, როდესაც შეიძლებოდა ომბუდსმენის შერჩევის წესი და მოდელი სხვა ფორმას დაფუძნებოდა. პარტიებს კი არ მოეხდინათ რომელიმე კანდიდატის ნომინირება, არამედ რეგისტრირებული ყველა კანდიდატების მიმართ წარმოებულიყო სახელობითი კენჭისყრა. სახალხო დამცველის რეგისტრირებული კანდიდატების მიმართ თავად საპარლამენტო ოპოზიციის დამოკიდებულებები აღმოჩნდა უპატივცემულო და გაუგებარი. სწორედ თავდაპირველი პოლიტიკური შეთანხმება, რომ ერთი პოლიტიკური სუბიექტი არანაკლებ 7 კანდიდატის ნომინირებას მოახდენდა, უარგუმენტოდ უარყოფილი იქნა. ასეთმა **მიდგომამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა სხვა კანდიდატების ხედვის უგულვებელყოფა და ხელისუფლებაზე გავლენის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებთან პირდაპირი ალიანსი. ამ პროცესში, კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეიძინა პარტიების აღქმებმა, თუ ვინ მიაჩნიათ პოლიტიკური პროცესებში მოკავშირე ჯგუფებად, რაც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს თუ ადამიანებს მკვეთრად ყოფსა და განასხვავებს. ასეთ ვითარებაში შერჩეულ და ნომინირებულ კანდიდატებს, სამწუხაროდ, დამოუკდიებლობის ხარისხი და საზოგადოებრივი, საყოველთაო ნდობა არ გააჩნიათ და ომბუდმენის ინსტიტუტს ისევ პოლიტიკური სუბიექტების გარიგებების შემადგენელ ნაწილად აქცევს.**

პრეზიდენტის უფლებამოსილებაზე სამართლებრივი პროცესი პოლიტიკური პროცესის ნაწილი გახდა, რაც საქართველოს აზიანებს

საქართველოს პრეზიდენტის ევროპული ქვეყნის მეთაურებთან და ევროპული გაერთიანების უფლებამოსილ პირებთან შეხვედრები საქართველოს კონსტიტუციის დარღვევად ვერ შეფასდება. პრეზიდენტის ინსტიტუტი კონსტიტუციური ორგანოა, საქართველოში ყველა კონსტიტუციურ ორგანოს კი აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება მათი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროკავშირსა და ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. პრეზიდენტი იმყოფებოდა პარიზსა და ბრიუსელში, საჯარო განცხადებები კი, შეეხებოდა უკრაინასთან და მოლოდვასთან ერთად, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მნიშვნელობას. ამდენად, სამწუხაროა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებაზე სამართლებრივი პროცესი პოლიტიკური პროცესის ნაწილი გახდა, რაც საქართველოს აზიანებს. აღნიშნულის შესახებ ორგანიზაცია საჯარო განცხადება გააკეთა.

სამართლებრივი და კონსტიტუციით მოცული რეალობა სხვაგვარია, რასაც დაკვირვება და სათანადო განმარტებები სჭირდება. ჩვენი კონსტიტუციის 52-ე მუხლი განსაზღვრავს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს. დასახელებული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს. წელინადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გამოიყენა მისი უფლებამოსილება და 14 მარტს წარსდგა საქართველოს პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით. მოხსენებისას პრეზიდენტმა განმარტა: „2022 წლის 26 თებერვალს წერილობით მეთქვა უარი პარიზში, ბრიუსელში, ბერლინსა და ვარშავაში სამუშაო ვიზიტების გამართვაზე. არსებული ვითარების გათვალისწინებით, გავაუქმე ყველა ოფიციალური ფორმატი. ასეთ დროს საჭიროდ მივიჩნიე ჩემი პირადი კონტაქტების გამოყენება და სამუშაო ვიზიტების პირად შეხვედრებად გადაქცევა." პრეზიდენტის საჯარო განცხადების საპირწონედ, 2022 წლის 15 მარტს მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ განცხადება გააკეთა, რომ აპირებს მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რათა კომპეტენციების ფარგლებში, ვლინდება თუ არა პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევის ფაქტი.

ცხადია, დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებებს სჭირდება სამართლებრივი შეფასება. მიზანია კონსტიტუცია განვმარტოთ კუმულაციურად და რელევანტური მუხლების ტელეოლოგიური ანალიზით პასუხი გაეცეს შეკითხვას - დაარღვია თუ არა საქართველო პრეზიდენტმა კონსტიტუცია და გადააჭარბა თუ არა დადგენილ თავის უფლებამოსილებას.

საქართველო არის საპარლამენტო მმართველობის სახელმწიფო, სადაც პრეზიდენტის უფლებამოსილება ნომინალურია. კონსტიტუციის მე-5 თავი ეძღვნება პრეზიდენტს, რომლის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: „საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში." დასახელებული ჩანაწერი პრეზიდენტის ძალაუფლების ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რის გამოც ის ცალკე აღებული არ უნდა განიმარტოს. დასახელებულ მუხლთან ერთად, მხედველობაში უნდა მივიღოთ 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც: „საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იღებს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას; მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს".

მსჯელობა სწორედ ამ კონტექსტში უნდა წარიმართოს, ცალსახაა, რომ პრეზიდენტი საერთაშორისო ასპარეზზე შეზღუდული უფლებამოსილებებით არის წარმოდგენილი, როდესაც ოფიციალურ შეხვედრებს ეხება საქმე, მაგრამ მოქმედი პრეზიდენტის განცხადებით, მას შემდეგ, რაც მას უარი ეთქვა ოფიციალური ვიზიტების განხორციელებაზე, პირადი კონტაქტები გამოყენა და სამუშაო ვიზიტები პირად შეხვედრებად გადააქცია. ცალსახაა, რომ ამ ტიპის ქმედება დასახელებული მუხლების კუმულაციურად წაკითხვის შემთხვევაში კონსტიტუციურია და არ ეწინააღმდეგება ქვეყნის უზენაესს კანონს. ამავდროულად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად." პრეზიდენტის ვიზიტები სწორედ ამ მიზნის რეალიზებას ემსახურებოდა.

სახელმწიფომ სამოქალაქო თავდაცვისუნარიანობაზე მეტი თანხები უნდა გამოყოს

ორგანიზაციამ სამოქალაქო თავდაცვის სფეროში არსებულ სტრატეგია შეაფასა და საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით სამოქალაქო თავდაცვის განვითარებისთვის ცალკე დაფინანების გამოყოფის რეკომენდაციით მიმართა.

ორგანიზაციამ რეგიონული კონფლიქტებისა და შეიარაღებული, საბრძოლო მოქმედებების განახლების პროცესში, საქართველოს წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების მხედველობაში მიღებით, სამოქალაქო თავდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა და სამართლებრივი შესაძლებლობები შეაფასა. შესწავლის შედეგად, მთლიანობაში, ორგანიზაცია დადებით შეფასებას აძლევს სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული საკანონმდებლო და ნორამტიული ბაზის საფუძვლებს და დამატებით ყურადღებით დაუთმობს იმ აუცილებელ საჭიროებებს, რომელიც მზარდი საფრთხეების პროცესში, სამოქალაქო თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და მოქალაქეების ინფორმირების გაზრდას შეეხება. კერძოდ, საუბარია დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზებისა და სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო თავდაცვის სფეროს სტრუქტურირებად კატეგორიად ჩამოყალიბებაზე, რათა გაიზარდოს უსაფრთხოების საკითხებზე ცოდნის გაზიარების, საზოგადოების გადამზადებისა და სამართლებრივი ინფორმირების ხარისხი.

სახელმწიფოსთან თანამშრომლობით, რაც შეიძლება მეტ პროფესიულ ჯგუფს მიეცეს პროგრამული აქტიურობების განხორციელების შესაძლებლობა. ამასთან, დასრულებული სახე მიეცეს საქართველოს თავდაცვის კოდექსის დოკუმენტს, რომელიც წლების განმავლობაში, არაერთი განხილვის შედეგად, საკანონმდებლო აქტად ვერ იქცა, ხოლო „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მოქალაქეთა მომზადების ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობამ დააჩქაროს დადგენილების მიღება, რაც 2023 წლის 1 იანვრამდე შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს.

ორგანიზაცია დაინტერესდა, სახელმწიფოს მონაწილეობით ან/და მხარდაჭერით, რა ღონისძიებები იქნა გატარებული სამოქალაქო თავდაცვის განვითარების მიმართულებით, საკონტრაქტო (პროფესიული) და სავალდებულო სამხედრო სამსახურის გარდა, არსებობს თუ არა სახელმწიფოს კონტროლქვეშ მოქცეული სხვა პლატფორმა (აკადემიური თუ პროფესიული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფდეს შესაბამისი სწავლების კურსს), რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობაში სამოქალაქო თავდაცვის უნარების გამომუშავებასა და განვითარებას, თავდაცვის ბიუჯეტი ითვალისწინებს თუ არა სამოქალაქო თავდაცვის მიმართულებით ღონისძიებების მომზადებას, რა თანხა დაიხარჯა ამ მიმართულებით, 2018, 2019, 2020, 2021 და 2022 წლის პარამეტრების მიმართულებით. განხორციელებული აქტიურობების შესახებ სრული ჩამონათვალით, რომელიც სამოქალაქო თავდაცვის კუთხით განხორციელდა ან იგეგმება.

შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით და სამოქალაქო თავდაცვის განვითარებისთვის ცალკე კოდი გამოყოფილი არ არის. შესაბამისად, სამოქალაქო თავდაცვასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ მონაცემები დამუშავებული არ არის. ამასთან, საქართველოს თავდაცვის ძალების საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების საკითხებში სახელმწიფოს, კერძოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაფორმებული აქვს ორი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მესამე სექტორთან. კერძოდ, ა(ა)იპ „გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდულ ლეგიონსა“ და ა(ა)იპ „აისი“თან (www.legione-rebi.com). აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა მოსწავლეების, სტუდენტების, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების საკითხებში ცოდნის გაზიარება, თავდაცვის ძალების სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დაგეგმილი წვრთნებისა და სწავლებების საჩვენებელ ღონისძიებებში ჩართულობა, სხვადასხვა პრაქტიკული ღონისძიების მომზადება.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ აღნიშნული, კრიტიკულად აუცილებელია სამოქალაქო თავდაცვიუნარანობის ამაღლებისთვის და სახელმწიფოს მხრიდან, არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, პრაქტიკული გამოცდილების მხედველობაში მიღებით, უნდა გაგრძელდეს სამოქალაქო სექტორიდან არსებული ჯგუფების ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერაც. აუცილებელია, სახელმწიფომ გამოყოს შესაბამისი ფინანსური რესურსი, რომელიც წაახალისებს სამოქალაქო თავდაცვის სფეროში ორგანიზაციული ჯგუფების პროექტებს, ხედვებსა და წინადადებებს. სამოქალაქო თავდაცვისუნარიანობაზე სახელმწიფოს ხედვა გახდება პროგრამული და სტრუქტურული მიმართულების ნაწილი.

საქართველომ რეგისტრირებული 4472 მოთხოვნიდან 3978 ბინადრობის ნებართვა გასცა

ორგანიზაციამ მუდმივი, დროებითი, უვადო და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვების გაცემის / გაცემაზე უარის თქმის, ბინადრობის ნებართვების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებისა და მისი შედეგების თაობაზე შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა.

ინტერესს წარმოადგენდა, რამდენი განცხადება დარეგისტრირდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მოპოვების თაობაზე და სააგენტოს მხრიდან რამდენ შემთხვევაში იქნა მიღებული გადაწყვეტილება მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმისა და დაკმაყოფილების შესახებ, რამდენი განცხადება დარეგისტრირდა დროებითი ბინადრობის ნებართვის მოპოვების თაობაზე, რამდენი განცხადება დარეგისტრირდა უვადო ბინადრობის ნებართვის მოპოვების თაობაზე, რამდენი განცხადება დარეგისტრირდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოპოვების თაობაზე, არსებული საქმეებიდან, რომელიც შეეხებოდა ზემოთ მითითებული ბინადრობის ნებართვების მინიჭებას, რამდენ მათგანი გასაჩივრდა საქართველოს საერთო სასამართლოების წესით და რამდენ შემთხვევაში დასრულდა საქმე სააგენტოს სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ. ორგანიზაციის მიერ შესწავლილი ინფორმაცია შეეხება 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შესწავლის შედეგების მიხედვით დგინდება, რომ დროის მითითებულ პერიოდში, მთლიანობაში, სხვადასხვა სახის ბინადრობის მოთხოვნისთვის სულ დარეგისტრირდა 4472 განცხადება. აქედან, სახელმწიფომ საფუძვლიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა 3978 მოთხოვნა, ხოლო 439 განცხადებას უარი ეთქვა. შესწავლილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დგინდება შემდეგი:

1. **ბინადრობის ნებართვა საქართველოს ყოფილი მოქალაქისათვის** – სულ დარეგისტრირდა 17 განცხადება, დაკმაყოფილდა 16, არ დაკმაყოფილდა – 1;
2. **მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა** – სულ დარეგისტრირდა 970 განცხადება, დაკმაყოფილდა 628, არ დაკმაყოფილდა – 303;
3. **მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვის გაგრძელება** – სულ დარეგისტრირდა 13 განცხადება, დაკმაყოფილდა 13, არ დაკმაყოფილდა – 0;
4. **ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვა** – სულ დარეგისტრირდა 415 განცხადება, დაკმაყოფილდა 324, არ დაკმაყოფილდა -16;
5. **საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა** – სულ დარეგისტრირდა 36 განცხადება, დაკმაყოფილდა 13, არ დაკმაყოფილდა – 14;
6. **სასწავლო ბინადრობის ნებართვა** – სულ დარეგისტრირდა 1 598 განცხადება, დაკმაყოფილდა 1 263, არ დაკმაყოფილდა – 35;
7. **სპეციალური ბინადრობის ნებართვა** – სულ დარეგისტრირდა 114 განცხადება, დაკმაყოფილდა 105, არ დაკმაყოფილდა 2;
8. **შრომითი ბინადრობის ნებართვა** – სულ დარეგისტრირდა 1 309 განცხადება, დაკმაყოფილდა 597, არ დაკმაყოფილდა – 123.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ შეისწავლა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბინადრობის მოწმობის გაცემასთან განცხადებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოებში არსებული წარმოებაც. დგინდება, რომ ბოლო, 15 თვის განმავლობაში, მოკლევადიანი ბინადრობის მინიჭების გადაწყვეტილება საქართველოს საერთო სასამართლოების წესით გასაჩივრდა 81 შემთხვევაში. მუდმივი ბინადრობის ნებართვა 22 შემთხვევაში, ხოლო დროებით და უვადო ბინადრობის ნებართვა არ გასაჩივრებულა. შედეგად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ დავა დასრულდა 29 შემთხვევაში, ხოლო განმცხადებელთა სასარგებლოდ, მოთხოვნა დაკმაყოფილდა 47 საქმესთან დაკავშირებით.

ბინადრობის ნებართვების გაცემის სამართლებრივ რეჟიმს განსაზღვარს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის მიზნებიდან გამომდინარე, 2014 წლის 1 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“.

კანონის ამოქმედებიდან 1 თვეში, თამაშდამოკიდებულთა ბაზაში 518 მოქალაქე დარეგისტრირდა

ორგანიზაციამ შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შემდეგ, ზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებზე დამოკიდებულ პირთა შესახებ მონაცემთა ბაზაში მონაცემების მდგომარეობას, კანონის ეფექტიანობას და არსებული ხარვეზებს შეეხებოდა. ორგანიზაციის შეფასებით, კანონი ფუნქციური აღმოჩნდა, დამოკიდებულ პირთა შესახებ მონაცემთა ბაზა, 1 თვის მონაცემის გათვალისწინებით – საგანგაშოა.

შესწავლამ აჩვენა, რომ დამოკიდებულ პირთა შესახებ მონაცემთა ბაზაში, სულ რეგისტრირებული იქნა 518 მოქალაქე. აქედან, პირის მიმართვის საფუძველზე – 506, ხოლო მოსამართლის ბრძანების საფუძველზე – 10. ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა დადგენილიყო, საერთო ჯამში, საქართველოს რამდენი მოქალაქეა იქნა რეგისტრირებული ბაზაში, რამდენი პირადი განაცხადი იქნა წარმოდგენილი, რამდენი პირადი განცხადება არ დაკმაყოფილდა, თავად სასამართლოს მხრიდან წარმოებული დავების შემთხვევაში, რა სტატისტიკა იქნა გამოკვეთილი. დგინდება, რომ ბაზაში მარეგისტრირებელი უფლებამოსილი დაწესებულების – სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 1 პირის მიმართვა გაუქმებულია, 1 პირის მიმართვა კი – უარყოფილი, მაგრამ ორგანიზაციისთვის უცნობი დარჩა, თუ რა საფუძვლები დაედო დასახელებულ შემთხვევებში მიღებულ გადაწყვეტილებებს. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ერთი თვის რეგისტრირებული მონაცემების მხედველობაში მიღებით, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება საზოგადოების კვლავ დიდ გამოწვევად და პრობლემად რჩება, მონაცემები კი მუდმივად მზარდია.

ორგანიზაციის განმარტებით, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება 2022 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა, კანონით კი, ამ პერიოდამდე, არ იყო განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომელსაც აკრძალული უნდა ჰქონოდა აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში მონაწილეობის მიღების უფლება. ცვლილებით გაიზარდა თამაშებში მონაწილეობისთვის მინიმალური ასაკი და გახდა – 25 წელი (ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის/მოქალაქეობის არ მქონე პირებისთვის – 18 წელი). ამასთან, სავალდებულო გახდა აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებზე დამოკიდებულ პირთა სიის შედგენა, რომლის წარმოებაც სსიპ შემოსავლების სამსახურსა და საქართველოს საქალაქო/რაიონულ სასამართლოების უფლებამოსილებად განისაზღვრა.

საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დამოკიდებულია აზარტულ თამაშობებზე, განხორციელებული ცვლილებებით მიეცა შესაძლებლობა მიმართოს სსიპ შემოსავლების სამსახურს და პირადი განცხადების საფუძველზე მოითხოვოს მისი მონაცემების დამოკიდებულ პირთა სიაში შეყვანა, რის შემდეგაც მას აეკრძალება აზარტულ და/ან მომგებიან თამაშობებში მონაწილეობა. დამოკიდებულ პირთა სიაში პირის შეყვანა შესაძლებელია აზარტულ თამაშზე დამოკიდებული პირის ოჯახის წევრის განცხადების საფუძველზეც, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს სასამართლო წესით. სასამართლო, განცხადების წარდგენიდან არაუადრეს 3 და არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, განიხილავს მას და გამოსცემს ბრძანებას პირის შესახებ მონაცემების დამოკიდებულ პირთა სიაში შეტანის თაობაზე ან ბრძანებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, შესაძლებელია გერთჯერადად გასაჩივრდეს სააპელაციო წესით. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო დამოკიდებული პირის მონაცემებს გადაუგზავნის სსიპ შემოსავლების სამსახურს, რომელიც ახორციელებს ამ მონაცემების აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებზე დამოკიდებულ პირთა სიაში შეყვანას.

შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საერთო სასამართლო სისტემაში შემავალი ყველაზე მსხვილი სასამართლო ინსტანცია – თბილისის საქალაქო სასამართლო, კანონის ამოქმედების შემდეგ, ოჯახის წევრის განცხადების საფუძელზე, პირის აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებზე დამოკიდებულ პირთა სიაში შეყვანის შესახებ სტატისტიკური აღრიცხვას/დამუშავებას და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსებას, არ ხორციელებს. ორგანიზაციამ საკითხზე ინფორმაცია გამოითხოვა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებიდანაც. დგინდება, რომ როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2288-ე მუხთან დაკავშირებული საქმე არ განხილულა. **ეს ნიშნავს, რომ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, ბაზაში რეგისტრირებული 10 თამაშდამოკიდებული პირის საქმე განხილული იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ და არც ერთი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა სააპელაციო წესით.**

საქართველოში განათლების ხელმისწავდომობის საგანგაშო მაჩვენებელია - ბოლო 4 წელში, ერთხელ მაინც 97,048 სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი

ორგანიზაციამ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც პანდემიამდე, პანდემიის პერიოდსა და ამჟამად არსებული მდგომარეობის ანალიზსს, მათ შორის საქართველოს უკრაინასთან მიმართებით გატარებული ღონისძიებების მნიშვნელობას შეეხებოდა.

ორგანიზაციის ინტერესის საგანს წარმოადგენდა დაედგინა, 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის მდგომარეობით, რა ობიექტური რეალობის წინაშე დადგა საქართველოს განათლების სისტემა, რამდენმა სტუდენტმა შეძლო განათლების მიღება და რამდენ სტუდენტს მოუწია უარი ეთქვა სწავლის გაგრძელებაზე. შესაბამისად, შეეჩერებინა სტუდენტის სტატუსი, რა მიზეზები იქნა დასახელებული განათლების მიღების ხელმისწავდომობაზე ნებსით და უნებლიეთ უარის თქმის შემთხვევებში, რა პრევენციული ღონისძიებები დაგეგმა და განახორციელა განათლების სისტემამ პანდემიის პერიოდში უწყვეტი განათლების უფლების რეალიზებისთვის, რა როლი შეასრულა სახელმწიფომ სწავლის საფასურის შემცირების ან გადავადების კუთხით. ამასთან, ორგანიზაციის ცალკე ინტერესს წარმოადგენდა სახელმწიფოს ჩართულობის იდენტიფიცირება, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს, უკრაინიდან იძულებით გადაადგილებული პირების საქართველოს განათლების სისტემაში მიღებასა და სასწავლო პროცესში ინტეგრაციის უზრუნველყოფას შეეხებოდა.

შესწავლის შედეგების მიხედვით, დგინდება, რომ 2019-2022 წლის აპრილის თვის მდგომარეობით, საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტთა რაოდენობა, რომელთაც ოთხი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი არის 97,048 ათასი. მაგალითად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზაში 2019 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით (პანდემიამდე არსებული პერიოდი) ფიქსირდებოდა 225,178 ათასი სტუდენტი, სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა - 53,628 ათასს სტუდენტს, აქედან ფინანსური დავალიანების გამო - 17,878 ათასს სტუდენტს. 2020 წლის 1 ნოემბრის მდგომარებით (პანდემიის პერიოდში) ფიქსირდებოდა 237,017 ათასი სტუდენტი, სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა - 55, 121 ათასს სტუდენტს, აქედან ფინანსური დავალიანების გამო - 17,654 ათასს სტუდენტს. 2021 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით (პანდემიის მილევად პერიოდში) ფიქსირდებოდა 247,777 ათასი სტუდენტი, სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა - 54,417 ათასს სტუდენტს, აქედან ფინანსური დავალიანების გამო - 20 797 ათასს სტუდენტს.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სხვადასხვა დროის მონაკვეთში არსებული სტატისტიკური მონაცემის მიუხედავად, სტატსუსშეჩერებული სტუდენტების მდგომარეობა კვლავ გამოკვეთილად პრობლემური და თავისი გამომწვევი მიზეზებით

- უცვლელია, ხოლო სახელმწიფოს პოლიტიკა სხვადასხვა სოციალური ღონისძიებებით მოხდეს სტუდენტთა სწავლების დაფინანსება - საჭირო მიდგომა, მაგრამ არა პრობლემის სისტემურად დაძლევისთვის გადამჭრელი.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კოვიდპანდემიის გამო, სოციალური დახმარების ფარგლებში, სწავლა დაუფინანსდა 2020-2021 წლის სემესტრში 15 015 სტუდენტს 15 812 630, 00 ლარით, ხოლო 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დავალიანება აუნაზღაურდა 1 588 სტუდენტს 1 033 465,00 ლარით. უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში, პირველი და მეორე საფეხური სტუდენტთა სწავლა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება ყოველწლიურად 100 მილიონის ფარგლებში (სახელმწიფო სასწავლო გრანტი, სახელმწიფო სამაგისტრო გრანტი, სოცილაური პროგრამები, პრიორიტეტული პროგრამები და ა.შ). აგრეთვე, სახელმწიფო სტიპენდია ყოველ სემესტრულად გაიცემა საშუალოდ 3000 სტუდენტზე, რაც ერთმნიშვნელოვნად დადებითია, თუმცა საჭიროა პრობლემისა და განათლების ხელიმისწავდომობაზე კომპლექსური მიდგომის შემუშავება, უმაღლესი განათლების დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესების ხელშეწყობა. კერძოდ, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერით, უკვე შემუშავებულია პროფესიული განათლების ახალი სტრატეგიის პროექტი, რომელიც მოიცავს 2022-2027 წლებს. სტრატეგია ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფებისათვის სხვადასხვა მხარდამჭერი სერვისების შემოტანას, მათ შორის სოციალურ ვაუჩერს. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ აღნიშნული სტრატეგიის ამოქმედება სწრაფად უნდა დაიწყოს, რათა პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა არ შეფერხდეს.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ჩართულობის მიუხედავად, არაეფექტური აღმოჩნდა, კოვიდპანდემიის დროს მოეხდინა სწავლის გადასახადის რეგულირების უზრუნველყოფა. ორგანიზაციის შეკითხვები შეეხებოდა კოვიდ პანდემიის დროს დისტანციური სწავლების პირობებში სწავლის გადასახადის შემცირებაზე უარის თქმის მიზეზებს, რაზედაც სახელმწიფის პასუხისმგებლობა მთლიანად გადატანილი იქნა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მიმართ და აღინიშნა, რომ სამინისტრო ვერ ჩაერეოდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიაში, ვინაიდან სწავლის საფასურის განსაზღვრა უნივერსიტეტების დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა. სწორედ საგანმანატლებლო დაწესებულებების ავტონომიაში ჩარევაზე უარის თქმის შედეგად, 2020-2022 წლებში, არანაკლებ 50,000 და მინიმუმ 17,000 სტუდენტს წაერთვა განათლების მიღების კონსტიტუციური უფლება.

ორგანიზაციამ ყურადღებით შეისწავლა საქართველოს უკრაინასთან მიმართებით გატარებული ღონისძიებების მნიშვნელობა. ორგანიზაცია დადებითად აფასებს სახელმწიფოს მიერ იმ სწრაფი მოქმედებების შედეგებს, რომელმაც უზრუნველყო უკრაინელი იძულებით ადგილნაცვალი პირების საქართველოს განათლების სისტემაში მიღება. დგინდება, რომ უკრაინელი მოსწავლეების საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვასთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება. კერძოდ, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცვედურა არ შეეხება უკრაინიდან საომარი მოქმედებების გამო წამოსულ მოსწავლეებს და მათი ჩარიცხვა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გამარტივებული წესით განხორციელდება იმ კლასებში, რომლებიც ისინი სწავლობდნენ უკრაინის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2022 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით. ენობრივი ბარიერისა და ინტეგრაციიდან გამომდინარე, სკოლებმა დაიწყეს მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შემუშავება. უკრაინიდან ჩამოსულ მოსწავლეებს აქვთ უფლება სხვადასხვა ენაზე გააგრძელონ სწავლა. სსიპ ქალაქ თბილისის მიხეილ გრუშევსკის სახელობის №41 საჯარო სკოლას დაემატა უკრაინული სექტორი, სადაც სწავლა ხორციელდება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ამოქმედდა „უკრაინულ ენაზე ზოგადი განათლების მიღების ხელმისწავდომობის ქვეპროგრამა“. დაწყებითი საფეხურის მოსაწვლეებს გადაეცათ ბუკები. სამინისტროსა და მობილურ ოპერატორებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, უკრაინელი მოსწავლეები სარგებლობენ მობილური ინტერნეტ პაკეტის შეღავათიანი პირობით. უკრაინელი მოსწავლეების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისევე, როგორც უკრაინელ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მოიპოვონ სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე.

33,400 განქორწინება, 205 საქორწინო კონტრაქტი, 6000-ზე მეტი სარჩელი

საქართველოში ბოლო სამ წელიწადში, 33,400 წყვილი განქორწინდა, საერთო სასამართლოებში წარდგენილი საოჯახო კატეგორიის სარჩელების განხილვა კი, წლების განმავლობაში, მოსამართლეთა სიმცირის გამო, არ ხდება. დგინდება, რომ სასამართლო სისტემაში ყველაზე დიდ ინსტანციაში – თბილისის საქალაქო სასამართლოში, საოჯახო კატეგორიის დავებში, მხოლოდ 2021 წელს, 2341 სარჩელი იქნა წარდგენილი, 2020 წელს – 1761, 2019 წელს კი – 2057. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის ბრძანებით, საოჯახო-სამართლებრივი დავების კატეგორიაში გამწესებულია 6 მოსამართლე, რაც გაზრდილი საქმეთა ნაკადის პირობებში, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. საოჯახო დავების განხილვის პროცესში შექმნილია სრული კოლაფსი, რაც გამოიხატება დროში გახანგრძლივებული სამართალწარმოების პროცესითა და მეორეს მხრივ, მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებული ეგზემპლარის გადმოუცემლობით. ამდენად, ამ კუთხით არსებული მდგომარეობა სასამართლოსთვის ხელმისწავდომიბის იდეას მნიშვნელოვანად აზარალებს.

ორგანიზაციამ შეისწავლა 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის აპრილის მდგომარეობით არსებული მდგომარეობაც. დგინდება, რომ განქორწინების სტატისტიკა, ყოველწლიურად მზარდია. ბოლო 39 თვის მონაცემით, საქართველოში 33,400 განქორიწნების რეგისტრაცია განხორციელდა. 2019 წელს – 11,352, 2022 წელს – 7724, 2021 წელს – 10,788, ხოლო 2022 წლის პირველი სამთვენახევრიანი მონაკვეთით, 3536 განქორწინების განაცხადი იქნა მიღებული. მთლიანობაში, ეს მონაცემი აერთიანებს, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ასევე წყვილის მარეგისტრირებელი ორგანოს მიმარ წარდგენილი და განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილებული განცხადების მონაცემს.

ორგანიზაციას განქორწინების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია 2019 წლამდე არსებულ პერიოდზეც გააჩნია. კერძოდ, საუბარია 2015-2018 წლებში არსებულ მდგომარეობაზე. საქართველოში განქორწინების რიცხვი მითითებულ პერიოდში შეადგენდა 37,892-ს. კერძოდ, 2018 წელს – 8845, 2017 წელს – 10 452, 2016 წელს – 9 513, 2015 წელს – 9 082. 2019-2022 წლის პირველი ნახევრისა და 2018-2015 წლების სრული მონაცემი, თითქმის იდენტურია.

მზარდი განქორწინების მაჩვენებელი არაერთი სოციალური ფაქტორიდანაა გამოწვეული, თუმცა რაც ყველაზე თვალშისაცემია, განქორწინების მაჩვენებელი მაღალია ახალგაზრდა თაობაში. მიზეზები შეიძლება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ: ნაადრევი ქორწინება და პასუხისმგებლობის ნაკლებობა ოჯახის მმართვის პროცესში, თანაცხოვრების პროცესში მესამე პირების ჩარევა, ოჯახური ძალადობა, ეჭვიანობისა და ღალატის ფაქტები, პირადი შეუთავსებლობა. ორგანიზაციის წარმოებაში არსებული საქმეების მიხედვით, განქორწინების ინიციატორი, უმეტესობა ქალბატონია.

ამასთან, ორგანიზაციის ინტერესი გამოიწვია საქორწინო ხელშეკრულებების მიმართ დაქორწინებული პირების მენტალურმა, ინსტიტუციურმა და უფლებრივმა მიდგომამ. ორგანიზაციამ შეისწავლა, როგორც რეგისტრირებული საქორწინო კონტრაქტების, ასევე მათი გაუქმების მაჩვენებელიც. დგინდება, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის აპრილის მდგომარეობით, სულ დამოწმდა 205 საქორწინო კონტრაქტი. კერძოდ, 2019 წელს – 40 საქორწინო ხელშეკრულება, 2020 წელს – 39, 2021 წელს – 126. ამავე პერიოდში, გაუქმებული იქნა 3 საქორწინო ხელშეკრულება. ორგანიზაციას საქორწინო ხელშეკრულებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია 2019 წლამდე არსებულ პერიოდზეც გააჩნია. კერძოდ, საუბარია 2015-2018 წლებში არსებულ მდგომარეობაზე. დგინება, რომ ამ პერიოდში, საქართველოში სანოტარო წესით დამოწმებული იქნა 151 საქორწინო კონტრაქტი. ამასთან, დაცული მონაცემების მიხედვით, მხარეების მიერ ამავე პერიოდში გაუქმებული იქნა – 3 საქორწინო ხელშეკრულება. 2022 წლის პირველი ნახევრის მონაცემით, ადგილი არ ჰქონია არც ერთი საქორწინო კონტრაქტის დადებას ან გაუქმებას. ამდენად, დგინდება, რომ საქორწინო ხელშეკრულებების გაფორმება, სულ უფრო ფუნქციურ მნიშვნელობას იძენს. 2015-2022 წლის მდგომარეობით, დადებული და რეგისტრირებული იქნა 356 საქორწინო ხელშეკრულება, ხოლო გაუქმებული – 6.

ბოლო სამ წელიწადში, 543 ექიმის პასუხისმგებლობა დადგა, სამედიცინო დაწესებულებებმა კი 3,465.100 ლარის ჯარიმა გადაიხადეს

ორგანიზაციამ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სფეროში, პაციენტის უფლებების ინტერესიდან გამომდინარე, არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში, სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან გადაცდომის ფაქტებზე ბიუჯეტის სასარგებლოდ 3,465.100 ლარი იქნა გადახდილი, ხოლო პაციენტის მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა დაეკისრა – 543 ექიმს, რაც სფეროში არსებულ ვითარებას, თავისი გამოწვევებით, კრიტიკულს და საგანგაშოს ხდის.

შესწავლის შედეგად დგინდება, რომ 2022-2019 წლებში, სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან გადაცდომის ფაქტებზე მითითებით, სულ რეგისტრირებული იქნა 3764 განცხადება. აქედან, 800 საკითხი შეეხებოდა პაციენტისთვის გაწეული დახმარების ხარისხს. საქმის შესწავლა დასრულდა 1543 საკითხთან მიმართებით, 2221 საკითხთან დაკავშირებით კი – მოკვლევა ისევ გრძელდება. დგინდება, რომ სულ შედგა 2136 ადმინისტარციული სამართალდარღვევის ოქმი, რაც შესაბამისი განხილვისთვის გადაგზვანილი იქნა სასამართლო წესით. აქედან, 1496 ადმინისტრაციული ოქმი შეეხებოდა „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დარღვევას. დგინდება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სულ დაჯარიმებული იქნა 1281 პირი, ხოლო 437 პირს მიეცა შენიშნვა. დგინდება, რომ ბიუჯეტის სასარგებლოდ, ბოლო 3 წელიწადში, სასამართლოს მიერ ჯარიმის სახით დაკისრებულმა თანხამ 3,465 100 ლარი შეადგინა.

დგინდება, რომ ბოლო 3 წელიწადში, მოქალაქეების მხრიდან 595 ექიმის მიმართ რეგისტრირდა საჩივარი, 543 ექიმის მიმართ გამოტანილი იქნა პასუხისმგებლობის დაკისრების გადაწყვეტილება. აქედან – 439 ექიმს მიეცა „წერილობითი გაფრთხილება“, სახელმწიფო სერთიფიკატის მოქმედება სხვადასხვა ვადით შეუჩერდა – 94 ექიმს, სახელმწიფო სერთიფიკატი გაუუქმდა – 10 ექიმს, ხოლო 45 ექიმს არ დაკისრებია პასუხისმგებლობა.

ორგანიზაცია, აგრეთვე დაინტერესდა, სამედიცინო საქმინობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, თუ რამდენმა სამედიცინო დაწესებულებამ მომართა საქმიანობის განხორციელებისთვის ლიცენზიის მისაღებად, რამდენ კლინიკას ეთქვა უარი და რა მიზეზით. დგინდება, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის/საქმიანობის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად წარდგენილი იქნა 77 განაცხადი. აქედან 17 დაწესებულებას ეთქვა უარი. ყველა შემთხვევაში, უარის თქმის საფუძველი გახდა კანონდებლობით დადაგენილი სალიცენზიო პირობების დაუკმაყოფილებლობა. ამასთან, შესწავლის პროცესში დასმულ კითხვაზე: „სამედიცინო საქმინობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, ახორციელებს თუ არა ზედამხედველბას სამედიცინო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიმართულებით, 2022 წლის აპრილის მდგომარეობით, სააგენტოს გამოუვლენია თუ არა რაიმე ტიპის დარღვევა და რა რეაგირება მოჰყოლია აღნიშნულ ფაქტს“, აღინიშნა, რომ ასეთი ზედამხედველობა ხორციელდება, თუმცა გამოვლინდა თუ არა ან/და რა რეაგირება მოჰყვა სამედიცინო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის დარღვევას, პასუხგუცემელი დარჩა.

კვლევა საავტორო უფლებების ასოციაციებთან და აღრიცხვის სისტემაზე დამოკიდებულებების შესახებ

ორგანიზაციამ საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში არსებული გამოწვევების, არსებული რეალობის ანალიზისა და ტენდენციების საკითხებზე კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რაც საავტორო უფლებების ასოციაციებთან და აღრიცხვის სისტემასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების შესწავლას შეეხება.

კვლევის ინტერესი განაპირობა, ერთის მხრივ სამართლის სფეროში საკითხზე მიმდინარე დისკუსიამ, მეორეს მხრივ საერთო სასამართლოებში არსებული დავების სიმრავლემ და კანონმდებლობის ანალიზმა. დოკუმენტი მოიცავს აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციებით სარგებლობის პრაქტიკა და მომსახურებით კმაყოფილების შესწავლა, საავტორო უფლებების დაცვის მნიშვნელობა და დამოკიდებულებები, მონაცემთა შედარება. შესაბამისად, კვლევის მიზანია, წინასწარი განწყობების ნაცვლად, დემოკრატიულ საზოგადოებაში, საკითხთან მიმართებით, ხელი შეუწყოს ობიექტური შეხედულებების გაჩენას და ჯანსაღ დისკუსიას, რათა ავტორს და შემსრულებელს, ბიზნესს და მომსახურების სფეროს ჰქონდეს დაცულ სამართლებრივ გარემოსა და კონკურენტულ ურთიერთობებში განვითარების შესაძლებლობა.

კვლევის მეთოდოლოგია დაეფუძნა, ერთის მხრივ მუსიკალური ნაწარმოებების შემსრულებლებისა და ავტორების, მეორეს მხრივ კი საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებებით (მუსიკა, რეპერტუარი) მოსარგებლე ობიექტების მენეჯერებისა და მფლობელების აზრის შესწავლას. რესპოდენტები თანხმდებიან, რომ საავტორო უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია, როგორც ხელოვანი ადამიანების პატივისცემის, ასევე მათთვის შემოსავლის წყაროს უზრუნველყოფით. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ბიზნესის წარმომადგენელთა შორის არსებობს ინფორმაციის ნაკლებობა ქვეყანაში საავტორო უფლებების დაცვის და ამ სფეროში მოქმედი ორგანიზაციების შესახებ. კითხვაზე, თუ რა სახის პრობლემებია საქართველოში ამ კუთხით, რესპოდენტთა ნაწილს პასუხი არ გააჩნია. ნაწილი ფიქრობს, რომ პრობლემა კანონის არასათაანდოდ აღსრულება და კონტროლის არარსებობაა. არ ფიქსირდება ცალსახა პოზიცია იმასთან დაკავშირებითაც, თუ ვის უნდა ებაროს პროცესი: საავტორო უფლებების დაცვის ნებისმიერ ორგანიზაციას, სასამართლოს, ადვოკატს, სახელმწიფო უწყებებს თუ სხვას.

კვლევის შედეგების მიხედვით, ავტორ-შემსრულებელთა უმრავლესობა (46% ვ.ს. 39%) მიიჩნევს, რომ სფეროების, დარგების შესაბამისად, მასში ნებაყოფლობით გაერთიანების შესაძლებლობით, საავტორო უფლებების მმართველი რამდენიმე ასოციაცია შეიძლება არსებობდეს. უმრავლესობა მიესალმება ერთი



და იმავე ასოციაციის მიერ საავტორო უფლებების აღრიცხვისა და ჰონორარის განაწილებასაც (62% ვ.ს. 24%). რესპოდენტთა დიდი წილი (65% ვ.ს. 16%) მიიჩნევს, რომ ავტორ-შემსრულებლის ჰონორარის გადახდა უნდა ხდებოდეს ნაწარმოებების ფაქტობრივი გამოყენების, გაჟღერებული რეპერტუარის პროპორციულად, ნაცვლად რეიტინგებისა. იკვეთება ტენდენცია, რომლის თანახმადაც, ავტორ-შემსრულებლები სიღრისეულად არ იცნობენ ანაზღაურების აღრიცხვასა და ჰონორარის განაწილების შესაძლებლობებს. შედეგად, თვლიან, რომ საავტორო უფლებები სახელმწიფოს პრიორიტეტულ საკითხებს შორის უნდა არსებობდეს (88% ვ.ს. 5%).

ამასთან, კვლევა აჩვენებს, რომ მოცმეული მომენტისთვის საავტორო უფლებების დაცვის მიმართულებით მოქმედი ორი ასოციაციიდან (გერა და ჯისიეი) მომხმარებელთა კმაყოფილების ტონი განსხვავებულია. გერა-ს წევრი ავტორ შემსრულებლები კმაყოფილნი არიან მასთან თანამშრომლობით (8.38 ქულა) და რეკომენდაციასაც უწევენ (8.78 ქულა). მათი თქმით, კომპანიას პროფესიონალი თანამშრომლები ჰყავს, ასრულებენ დაპირებას და გვერდში უდგანან მათ, აქვთ ჰონორარის გამოთვლის მარტივი, გამჭვირვალე სქემა და თანხის მიღება ხდება ყოველთვიურად და პუნქტუალურად. საგულისხმოა, რომ დღეს გერა-ს მომხმარებლების თითქმის ნახევარს (46%) შეადგენენ წარსულში ალტერნატიულ კომპანიებში გაწევრიანებული ავტორ-სემსრულებლები, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით დატოვეს ძველი ორგანიზაცია. მათი თქმით, გერა-ში იღებენ ბევრად მაღალ ანაზღაურებას (3-6 ჯერ მეტს) და თავს დაფასებულად გრძნობენ.

კვლევა ცალკე პასუხობს საავტორო უფლებების სარგებლობის აღრიცხვიანობის საკითხსა და პრობლემას, სადაც მნიშვნელოვანი ხდება ბიზნესის წარმომადგენელთა აზრი. ისინი აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სეზონურობის, დატვირთვის დონის გათვალისწინება, რასაც სკამების დათვლის პრინციპი ვერ უზრუნველყოფს. სქემებს შორის მოსარგებლეებისთვის შედარებით მისაღებია კვადრატულობის მიხედვით აღრიცხვა. ასეთ შემთხვევაში, მოსარგებლეები ფიქრობენ, რომ საკითხის გამჭვირვალობას უზრუნველყოფდა კვადრატულობის დაფიქსირება იჯარის ხელშეკრულებებში.

ორგანიზაციამ საავტორო უფლებების პრობლემურ საკითხებზე წარმოდგენილი ანგარიში მოამზადა კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო გლობალურ კომპანია „Aჩთ“-თან („ეისითი“) თანამშრომლობითა და მონაწილეობით. საკითხის ექპერტიზა განახორციელეს პროფესიონალების გუნდმა, რომელთა მიზანს ზუსტი მონაცემების შეგროვება და საზოგადოებისთვის პრობლემის ფართოდ მიწოდება წარმოადგენდა და დოკუმენტზე მუშაობა 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. კვლევა წარმოადგენს პირველ სერიოზულ საქმიან დოკუმენტს, რომლიც შეთავაზებული იქნება საზოგადოებისთვის, საკითხით დაინტერესებული წევრებისთვის და სფეროში ჩართული ყველა რგოლის მომხმარებლისთვის.

ახალი იურიდიული ბრენდი

KAIKATSISHVILI & BARRISTERS
კაიკაციშვილი & ადვოკატები

ჩვენ თქვენთვის

ორგანიზაციამ საჯარო განცხადებები გააკეთა სამედიცინო შეცდომებიდან წარმოშობილ დავებზე და საზოგადოებისთვის ცნობილი გახადა ფაქტები, რომელიც შეეხება პლასტიკური, ესთეტიკური ქირურგიისა და დერმატო-კოსმეტოლოგიის საერთაშორისო კლინიკების ქსელის საქართველოს წარმომადგენლობის – „ტოტალ შარმისა“ და კლინიკის ექიმ კონსტანტინე სულამანიძის წინააღმდეგ პრეტენზიებს.

ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ სულ უფრო მეტი პაციენტი გამოთქვამს უკმაყოფილებას კლინიკისა და ამავე კლინიკის ექიმის მიმართ, მას შემდეგ, რაც ორგანიზაციამ საჯარო ადვოკატირების პროცესში საზოგადოებისთვის დაზარალებული მომხმარებლების ისტორიები და წარმოებული დავების თაობაზე განცხადება გააკეთა.

ორგანიზაციას არაერთი მომხმარებელი დაუკავშირდა, რომელმაც განმარტა, რომ სამედიცინო შეცდომების შემდგომ, კომპანიამ უზრუნველყო გადახდილი თანხების უკან დაბრუნება, რითაც სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაზე უარი იქნა ნათქვამი.

პირველი საქმის მასალების მიხედვით, როგორც კლინიკა, ასევე ექიმი სამართლებრივად და სოლიდარულად პასუხისმგებელია არაკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებაზე. თამარ ც.ს კლინიკისა და ექიმის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ნდობის პირობებში, სწორედ გააჩნდა მოლოდინი, რომ მიიღებდა აღიარებული და დანერგილი პროფესიული და მომსახურების სტანდარტების შესაბამისს მომსახურებას. შედეგად, ვერ მოხდა ხარისხიანი ქირურგიული მომსახურების გაწევა – არ დადგა პაციენტისთვის სასურველი შედეგი. კერძოდ, 2021 წლის 18 მაისს ჩატარებულმა ქირურგიულმა ჩარევამ განაპირობა 2022 წლის 5 სექტემბრის დამატებითი ქირურგიული ოპერაციის ჩატარება, ვინაიდან მოქალაქე აღმოჩნდა **სარძევე ჯირკვლის ასიმეტრიისა და სარძევე ჯირკვალზე, უხეში ნაწიბურების წინაშე. მეორე ოპერაცია დაიგეგმა პირველი ოპერაციის დროს დაშვებული უხეში დარღვევების აღმოსაფხვრელად, რაც არსებული შედეგებით, კვლავ მიღწევადი არ არის.**

მეორე საქმის მასალების მიხედვით, რომელიც თეონა გობაძეს ეხება, რომელსაც გაუკეთდა ცხვირის პლასტიკური ოპერაცია, მას განუვითარდა მძიმე სუნთქვითი პრობლემები, ჩამოუყალიბდა მეორადი კეხი. კლინიკამ დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზნით, პაციენტს ხელახალი ოპერაცია უსასყიდლოდ შესთავაზა, რამაც პირველი ოპერაციის დროს დაშვებული შედეგები ვერ აღმოფხვრა. საქმზე წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, **ხუთი კლინიკის დასკვნით, „ტოტალ შარმის“ და ექიმ კონსტანტინე სულამანიძის სამედიცინო შეცდომა დგინდება. ორივე საქმეს სასამართლო განიხილავს.**

ორგანიზაცია, მკაცრი და სავალალო ფაქტების მიუხედავად, კვლავ ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ პატივს სცემს კლინიკის საქმიანობას და ამ კლინიკაში დასაქმებულ თითოეულ ექიმს, გვაქვს რწმენა, რომ როგორც კლინიკას, ასევე კონსტანტინე სულამანიძეს ჰყავს მადლიერი პაციენტები, მაგრამ თითოეული შემთხვევა, რომელიც პრეტენზიის სახით იარსებებს, რომელიც დოკუმენტურად წარმოდგენილია, მოითხოვს სამართლებრივ შეფასებას და არა საზოგადოებრივი განხილვების ფორმატში დარჩენას.





სკოლა „იბერიამ“ ავტორიზაცია დაიბრუნა

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ სტრატეგიული სამართალწარმოების ფარგლებში, იოანე პეტრიწის სახელობის სკოლამ „იბერია“ ავტორიზაცია დაიბრუნა. განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სკოლას ავტორიზაცია აღუდგა და აღინიშნა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ხარვეზების აღმოფხვრის შედეგად იქნა მიღებული. ცენტრმა დაიტოვა უფლება, 2023 წლის პირველ ნახევარში სკოლაში განახორციელოს ხელახალი მონიტორინგი და შეაფასოს სკოლის საქმიანობა და მიღწევები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებამდე, **2022 წლის 3 ოქტომბრის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი ამავე ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ და ავტორიზაციის საბჭოს საკითხის ხელახლა განხილვა დაევალა.** ახალი სამართალწარმოების ფარგლებში, ცნობილი გახდა არამხოლოდ ხარვეზების გასწორების თაობაზე, არამედ სკოლის მენეჯმენტში დაგეგმილი საკადრო ცვლილებების თაობაზე, რომელიც სკოლის საქმიანობის ახალ მიდგომებზე იქნება პასუხისმგებელი.

ორგანიზაცია საქმის მასალებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ივლისის სხდომაზე დასმული საკითხები იმ ხარვეზების ირგვლივ არსებობდა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მხირიდან იქნა მითითებული, მაგრამ სკოლა აღნიშნავდა, რომ ყველა ხარვეზი, რაც დასკვნაში იქნა წარმოდგენილი, 2022 წლის 26 ივლისის მდგომარეობით, უკვე შესრულებული, გამოსწორებული იყო, ხოლო რამდენიმე საკითხზე მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა და ახალი სასწავლო წლისთვის, სრულად იქნებოდა შესრულებული. სკოლის პოზიციის მიუხედავად, მიღებული იქნა ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება, რაც გასაჩივრებული იქნა ცენტრის სააპელაციო საბჭოს მეშვეობით.

სკოლის სააპელაციო საჩივარში აღინიშნა, რომ ექსპერტთა საბჭოს დასკვნაში არსებული ხარვეზები სადავო გადაწყვეტილების მიღების მდგომარეობით, სკოლის მიერ იქნა აღმოფხვრილი. სკოლაში გამოვლენილი ხარვეზები, შესაძლებელია, საყურადღებო ყოფილიყო დოკუმენტური სისრულის თვალსაზრისით, მაგრამ ხარვეზები არ იყო მრავლობით, იყო კონკრეტული და გადაწყვეტილების მიღების პროცესში - აღმოფხვრილი / გამოსწორებული. ამასთან, ხარვეზების ხასიათიდან გამომდინარე, არ მომხდარა მისი გავლენის უარყოფითი შედეგების ჩვენება მთლიან სასწავლო პროცესზე და სკოლას გააჩნდა არაერთი ძლიერი მხარე. ამ ხარვეზებს არ მოუხდენია სკოლის მდგრად განვითარებასა და მოსწავლეზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის დაზიანება. **ამასთან, 2022 წლის 3 ოქტომბრის სხდომაზე, სკოლამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა სრული ღიაობა და მზაობა გამოთქმული მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მითითებების სრულყოფასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ სკოლა ცენტრის ავტორიზაციის საბჭოსთან შემდგომი მუშაობის შედეგად, სისტემურ შედეგებს აჩვენებდა.**

ცნობისთვის: სკოლა „იბერია“ 1995 წლიდან საქმიანობს საგანმანათლებლო სფეროში და აქვს წარმატებული ბიოგრაფია. „ახალგაზრდა ადვოკატები“, სკოლის წინაშე მდგარი სამართლებრივი პრობლემის ადვოკატირების პროცესში, 2022 წლის ივლისიდან ჩაერთო. **ორგანიზაციის სამართლის ჯგუფი არამხოლოდ განახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, არამედ სკოლას დაეხმარება მოწესრიგებული და დაცული სამართლებრივი გარემოს უზრუნველყოფაში.**

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრმა 4 პრინციპული დავა წააგო

ორგანიზაციამ 2022 წელს, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის წინააღმდეგ, სხვადასხვა ინსტანციაში წარმოებული 4 სხვადასხვა საქმე წარმატებით დაასრულა. ორგანიზაციის მრავალწლიანი ჩართულობა აპლიკანტთა უფლებების დაცვის მიმართულებით, ცენტრის ყოფილი დირექტორის, ნინო ჭელიძის თანამდებობიდან გადაყენების შედეგით დასრულდა. ერთ-ერთ საქმეზე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თქვა, რომ სწორედ ნინო ჭელიძის არამართლზომიერი ქმედებების გამო დაიჩაგრა კონკურსში მონაწილე. კიდევ ერთ დავაში, სასამართლომ ცენტრის კურსდამთავრებულის მიმართ სახელმწიფო გრანტის სახით გაცემული 53,379,36 ლარის უკან დაბრუნების მოთხოვნა, უკანონოდ მიიჩნია. აპლიკანტის მდგომარეობა გადავადებულიყო სამშობლოში დაბრუნება – ჩაითვალა საპატიოდ და სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრს დაევალა კურსდამთავრებულის საკითხზე ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნინო ც.-მა „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2016-2017“-ის ფარგლებში მოიპოვა სახელმწიფო გრანტი იაპონიაში, იაპონიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად გამოცხადებულ საჯარო მმართველობის მიმართულების საჯარო მართვისა და პოლიტიკის ანალიზის პროგრამაზე 2016-2017 და 2017-2018 სასწავლო წლებისთვის სწავლის საფასურისა და სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად. ნინო ც.-მ წარმატებით დაასრულა იაპონიის საერთაშორისო უნივერსიტეტი შესაბამისი სპეციალიზაციით და იაპონიაში ერთ-ერთ წარმატებულ კომპანიაში დასაქმდა.

2018 წლის 16 ოქტომბერს, ნინო ც.-მა განცხადებით მიმართა ცენტრს და მოითხოვა საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით 1 წლით დარჩენა. 2018 წლის 9 ნოემბერს, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, ცენტრმა არ დააკმაყოფილა მოთხოვნა. კომისიის აზრით, ნინო ც.-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ იკვეთებოდა სამსახურეობრივი პოზიცია და ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისობა დაფინანსებული სამაგისტრო პროგრამის მიმართულებასთან, რაც საზღვარგარეთ სამუშაო გამოცდილების დაგროვების მიზნით დარჩენის უფლების მინიჭების წინაპირობას წარმოადგენდა.

ორგანიზაცია განმარტავს, რომ სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება პრეცედენტულია, ვინაიდან აპლიკანტებს, რომელსაც საქართველო ვერ ასაქმებს, ასაქმებს სხვა ქვეყნები და სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი მისი ყოფილი დირექტორის ნ. ჭელიძის მავნებლური პოლიტიკის შედეგად, დაკავებული გახლდათ აპლიკანტების ცოდნის შეძენისთვის გადახდილი თანხების უკან დაბრუნებით. ნ. ჭელიძის პოლიტიკა პირდაპირ არყევდა კურსდამთავრებულებსა და სახელმწიფოს შორის ნდობას.

გერმანიაში ქართველმა ქალმა შვილზე დაკარგული მეურვეობა დაიბრუნა

ორგანიზაციის სამართლებრივი წარმომადგენლობის ფარგლებში, გერმანიის სააპელაციო სასამართლოს ინსტანციამ საქართველოს მოქალაქე ქალბატონის მოთხოვნა დააკმაყოფილა და შვილზე დაკარგული მეურვეობა სრულად დაიბრუნა. 2022 წლის 18 ნოემბრის კობლენცის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს მე-11 სამოქალაქო სენატმა გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, შესაბამისად გააუქმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე მამის შვილზე მოპოვებული სრული მეურვეობა და გაიზიარა საქართველოდან წარდგენილი მტკიცებულებები მეურვეობის უფლების შეცვლის მტკიცების თაობაზე. მეტიც, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა ქვეყნის საკასაციო ინსტანციამაც. ორგანიზაცია გერმანულ სასამართლოში, ბოლო 10 თვის განმავლობაში აწარმოებდა კომუნიკაციას.

სასამართლოს მიერ შეცვლილი გადაწყვეტილება და ქართველი ქალის სასარგებლო პოზიცია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვით დასაბუთდა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მშობლები 2015 წლიდან იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში. მათ 2016 წელს შეეძინათ ქალიშვილი. მამამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში ჩაიდინა ქმედება - შვილის მიმართ ადგილი ჰქონდა არაერთგზის ძალმომრეობის აქტს. ამასთან, 2019 წლის 30 დეკემბერს, მამაკაცი სასტიკად გაუსწორდა დედას. ბავშვის თანდასწრებით, სახეში სცემდა ქალბატონს, რამაც გამოიწვია მსხვერპლის დაზიანებები. 2020 წლის 3 იანვარს ინგელჰაიმის საპოლიციო ინსპექციამ მამაკაცის მიმართ მიიღო შემაკავებელი ორდერი, რითაც 6 თვის ვადით აეკრძალა მას ქალბატონთან არათუ ნებისმიერი ფორმით კომუნიკაცია, არამედ მიახლოებაც კი. მშობელმა ბავშვზე ძალადობის ფაქტებზე 2020 წლის 7 იანვარს განცხადებით მიმართა „ვილდვასერ ვისბადენს", ძალადობის წინააღმდეგ დარგობრივი კონსულტაციების დაწესებულებას გერმანიაში, რომელმაც საკითხზე კვლევა მთელი 4 თვის განმავლობაში განახორციელა, რომლის დასკვნითაც დგინდება, რომ ბავშვმა მამის მხრიდან ძალადობა განიცადა.

ბავშვის და პირადი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, დედამ გერმანია დატოვა და 2020 წლის სექტემბერში საქართველოში დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცი და მისი გარემოცვა ინფორმირებული იყო საქართველოში გამგზავრების შესახებ, მამამ განცხადებით მიმართა გერმანიის იუსტიციის სამინისტროს და ბავშვის უნებართოდ გადაადგილების საფუძვლით, საქმისწარმოების დაწყება მოითხოვა. დედის არასრულწლოვანთან ერთად საქართველოში გამომგზავრება დაემთხვა იმ პროცესს, რა დროსაც გერმანიის სასამართლო განიხილავდა ბავშვზე მეურვეობის საკითხს. მამამ გერმანიის სასამართლოს პირველი ინსტანცია დაარწმუნა, რომ ბავშვის ჩვეული საცოხვრებელი ადგილიდან გადაადგილება არ ემსახურებოდა ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს და გამოიწვევდა მისი მომავლისთვის ნეგატიურ შედეგებს. სასამართლომ მეურვეობის უფლება ჩამოართვა დედას და სრულად გადასცა არასრულწლოვანის მამას, რაც უკვე გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

რაც შეეხება მამის მიერ საქართველოში წარმოებულ საქმეს. **მამაკაცმა არამართლზომიერად გადაადგილებული და დაკავებული არასრულწლოვანის გერმანიის ფედრაციულ რესპუბლიკაში დაბრუნების მოთხოვნით განცხადების მომართა ქართულ სასამართლოს, მაგრამ ორი ინსტანციის სასამართლომ, მას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. საქმეს ამჟამად საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს.**

პრეცედენტი სამშენებლო ინდუსტრიაში – კომპანია ნახევარ მილიონზე მეტს გადახიდის

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა სამშენებლო ინდუსტრიაში სამართლებრივად ერთ-ერთი რთული დავა მოიგო. წაგებული კომპანია მოგებულ მხარეს 215 220 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს აუნაზღაურებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 6 დეკემბრის შემაჯამებელი განჩინებით, საერთო სასამართლოებში, საბოლოოდ დასრულდა მრავალწლიანი დავა, რომლის თანახმადაც, დაკმაყოფილდა მოთხოვნა, რომლითაც **სამშენებლო კომპანიას, ამხანაგობას და ამხანაგობის ცხრა წევრს პარტნიორი სამშენებლო კომპანიისთვის** მოთხოვნილი 338,250 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ანაზღაურებიდან 215 220 აშშ დოლარის გადახდა დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ **სრულად გაიზიარა თანხის დაკისრების დასაბუთება და არ გაიზიარა წაგებული კომპანიის მტკიცება მოთხოვნის უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო.**

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე კომპანის მიზანს წარმოადგენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. ბათუმში. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, შეიქმნა ამხანაგობა, რომლის დამფუძნებლებიც, მოსარჩელე კომპანიასთან ერთად, ამხანაგობის წევრები იყვნენ. ამხანაგობაში ფიზიკური პირების შენატანს წარმოადგენდა მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო მოსარჩელე კომპანიის შენატანს - ვალდებულებები, რაც გამოიხატებოდა: საცხოვრებელი კორპუსის საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება-დამტკიცებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებაში (მშენებლობის ნებართვის ჩათვლით), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის თავისი რესურსით აშენებაში და ექსპლუატაციაში მიღების ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური და ფინანსური საკითხის გადაწყვეტაში, ასევე საკომპენსაციო თანხის გადაცემაში.

2013 წლის 20 მაისს, მოსარჩელე კომპანიამ ფინანსური პრობლემების მიზეზით, ამხანაგობასთან დადო გასვლის ხელშეკრულება. ამ დროისთვის, მას უკვე შესრულებული ჰქონდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. კერძოდ, მობინადრეების დაკმაყოფილებისა და მათი საჭირობების უზრუნველყოფის მიზნით, სადაც დაიხარჯა 123,050 აშშ დოლარი, ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტისსთვის - 215,220 აშშ დოლარი. მასვე მოპოვებული ჰქონდა სამშენებლო ნებართვა ქალაქ ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურში. სამშენებლო საქმიანობა გადაიბარა ახალმა კომპანიამ, მაგრამ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდგომ, ადგილი არ ჰქონია რესტიტუციას, რაც ხელშეკრულებიდან გასვლის თანმდევი პროცესია. ჯამში, მოსარჩელე კომპანიის მიერ დახარჯულმა თანხამ შეადგინა სადავო 338,250 აშშ დოლარი.

წარმოებული დავის სირთულეს წარმოადგენდა 2013 წლის 20 მაისს მოსარჩელე კომპანიასა და ამხანაგობას შორის გასვლის ხელშეკრულებაში აღნიშნული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, **„მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულების ან/და ერთმანეთის მიმართ ფინანსური, ქონებრივი ან სხვა რაიმე პრეტენზიები არ გააჩნიათ“. ამავე ხელშეკრულების თანახმად, „წევრის გასვლისას, მას უკან უბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი შენატანები, იმ ხარჯების გამოკლებით, რაც აუცილებელია გასვლის რეგისტრაციისთვის. ამხანაგობა უფლებამოსილია დააყოვნოს დასაბრუნებელი თანხის გაცემა ამხანაგობის ყოფილ წევრზე, თუ თანხის გაცემით საფრთხე ემუქრება ამხანაგობის ნორმალურ საქმიანობას. დაყოვნების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ კალენდარულ წელს წევრის ამხანაგობიდან გასვლის დღიდან. გადახდა შეიძლება განხორციელდეს ნაწილ-ნაწილ.“**

მოსარჩელე კომპანია ამტკიცებდა, რომ **„ფინანსური პრეტენზიები არ გააჩნიათ**” არ უნდა გაიგივებულიყო ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნაზე უარის თქმასთან. ამ ჩანაწერით, კომპანიამ მხოლოდ ხაზი გაუსვა იმას, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით და კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის გარდა, სხვა რაიმე დამატებითი პრეტენზია არ გააჩნდა მხარის მიმართ. ის გარემოება, რომ კომპანიას სწორედ ერთი წლის შემდეგ წარმოეშობოდა ასეთი მოთხოვნის უფლება, **აღნიშნული პირდაპირ იქნა შეთანხმებული მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის შესახებ დადებულ 2008 წლის ხელშეკრულებით.** შესაბამისად, მხარე სასამართლოს წინაშე სვამდა საკითხს, რომ გაზიარებულიყო დასაბუთება იმის შესახებ, რომ რესტიტუციის დადგომისას კუმულაციურად უნდა შემოწმებულიყო მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის დაწყების შესახებ და ამხანაგობიდან გასვლის შესახებ ხელშეკრულების პირობები. სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე კომპანიას რესტიტუციის მოთხოვნის უფლება გაუჩნდა არა 2013 წლის 20 მაისიდან, არამედ 2014 წლის 20 მაისიდან.

სასამართლომ „ნიუ ვიჟენ დაზღვევას“ გენერალური დირექტორის ასისტენტის გათავისუფლება უკანონოდ ცნო

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი კომპანია „ნიუ ვიჟენ დაზღვევის” გენერალური დირექტორის ასისტენტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და კომპანიას იძულებითი განაცდურისა და კომპენსაციის სახით, გათავისუფლებული პირის მიმართ 8000 ათასს ლარზე მეტის გადახდა დაეკისრა.

საქმის მასალებით დგინდება, რომ 2021 წლის 1 აპრილს, კომპანიასა და დასაქმებულს შორის, გენერალური დირექტორის თანაშემწის პოზიციაზე, დაიდო შრომითი ხელშეკრულება. მხარეებმა, გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები, ახალი ხელშეკრულების გარეშე, გააგრძელეს. 2021 წლის 18 დეკემბერს, დასაქმებულმა დაწესებულებიდან მიიღო წერილი, სადაც აღინიშნა, რომ კომპანიაში შეიცვალა დირექტორი, ახალ დირექტორს კი თანამდებობრივი შტატის შენარჩუნება ან დასაქმებულის სხვა პოზიციაზე გადაყვანა არ სურდა. წერილში აღნიშნულის მიზეზად დასახელებული იქნა კომპანიის წინაშე ფინანსური გამოწვევები, რესურსების დაზოგვისა და ოპტიმიზაციის საჭიროებები. ამასთან, პროფესიული საქმიანობის გაგრძელება საფუძველს მოკლებულად იქნა მიჩნეული იმის გამო, რომ დასაქმებული ყოფილ დირექტორთან თითქოსდა პირადი სიახლოვის შედეგად იქნა დასაქმებული. დასახელებულ მიზეზთან ერთად, კომპანიის წერილში საუბარი შეეხო, როგორც თანამშრომლების, ასევე მომხმარებლების ნეგატიურ უკუკავშირებს ასისტენტთან მიმართებით. კომპანია დასაქმებულს სთავაზობდა, რომ შრომითი ურთიერთობები ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დასრულებულიყო.

2021 წლის 23 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც ასისტენტი წერილობითი ფორმით არ დაეთანხმა კომპანიის მხრიდან წარმოდგენილ არგუმენტებსა და პრეტენზიებს, საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა) მიღებული იქნა დასაქმებულის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება. დგინდება, რომ კომპანიამ დასაქმებულის გათავისუფლების საფუძველი შეცვალა. **თუ სადავო ბრძანების მიღებამდე მუშაკის სამსახურიდან წასვლა მოთხოვნილი იქნა საშტატო პოზიციის გაუქმებით, გათავისუფლების ბრძანებაში მიეთითა დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა.** არც ერთ ეტაპზე, კომპანიამ მუშაკს არ მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია საქმიანობის ე.წ. ნეგატიურ უკუკავშირებზე და მხოლოდ სასამართლოში წარმოდგენილი არგუმენტების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ასისტენტის მიმართ პრეტენზია მდგომარეობდა სამცხე-ჯავახეთში ერთ-ერთ დაზღვეულ არაქართულენოვან ფერმერთან არასწორი კომუნიკაცია და კომპანიის ერთ-ერთ თანამშრომელთან კონფლიქტის გამომწვევი გარემოს ჩამოყალიბება.

სასამართლოში წარდგენილი იქნა მტკიცებულებები, მათ შორის მოწმის სახით გამოიკითხა კომპანიის ყოფილი დირექტორი, რეგიონის კოორდინატორი, თანამშრომელი. მთლიანობაში, აღმოჩნდა, რომ სამცხე-ჯავახეთში ერთ-ერთ დაზღვეულ ფერმერთან უთანხმოება გამოიწვია შემთხვევამ, როდესაც ფერმერის მიერ მითითებული მიწის ნაკვეთი, კოორდინატებით, არ აღმოჩნდა დაზღვეულ ნაკვეთებს შორის. საბოლოოდ, ფერმერი და კომპანიის წარმომადგენლები დაზღვეულ მიწის ნაკვეთზე მივიდნენ და ენის ბარიერის დაძლევის შემდგომაც, ფერმერმა კომპანიის მესვეურებს უმასპინძლა რესტორანში. რაც შეეხება ასისტენტსა და ერთ-ერთ თანამშრომელს შორის კონფლიქტურ ურთიერთობას, გამოიკვეთა, რომ უთანხმოება არსებობდა რეგიონში მივლინების დროს, ყოფითი საკითხების გამო, რაც კომპანიის სადავო პერიოდში მოქმედი გენერალური დირექტორის ჩართულობის შედეგად, მოგვარდა. მთლიანობაში, არც ერთ ინციდენტს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ინტერესების დაცვასთან და არ ქმნიდა ობიექტურ საფუძველს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღებისათვის.



სასამართლომ ხანგრძლივი შრომისუუნარობა არ დაადგინა და ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროდან გათავისუფლება უკანონოდ ცნო

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება თანამდებობიდან ამავე ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის სპეციალისტის (II კატეგორია) ელენე კაპანაძის გათავისუფლების თაობაზე. **საქმეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა მუშაკის ხანგრძლივი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს. სასამართლომ უარყო დასაქმებულის ხანგრძლივი შრომისუუნარობის არსებობა და გაიზიარა მომჩივანის პოზიცია, რომ კანონის ჩანაწერი - შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ნორმის არსიდან გამომდინარე, უნდა განიმარტებულიყო არა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ, გაგებულ იქნას, როგორც სამუშაო დღეები.**

ელენე კაპანაძემ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით და საქმის დეტალური შესწავლის შედეგად, უარყო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მტკიცება. საქმის მასალებით დგინდება, რომ **შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში, ყველა საჭირო დღე ელენე კაპანაძემ საკუთარი სოცოცხლის გადასარჩენად და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო გამოიყენა. დასაქმებულმა გულზე რამდენიმე მძიმე ოპერაცია გაიკეთა. ამას დაემატა პანდემია და მისგან გამომდინარე გართულებული ჯანმრთელობა. სამსახურეობრივი უფლებამოსილების შეუძლებლობის ყველა შემთხვევა, მათ შორის კანონით არსებული შვებულებით სარგებლობა, სრულად იყო დოკუმენტურად შეთანხმებული დამსაქმებელ ორგანიზაციასთან.**

მიუხედავად იმისა, რომ ელენე კაპანაძე ირიცხებოდა სოციალურად დაუცველთა ბაზაში, გააჩნდა მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისგან გამოწვეული სირთულეები, სახელმწიფოს ხარჯზე სარგებლობდა დაქირავებული საცხოვრებლით, გახლდათ მარტოხელა მშობელი, სახეზე იყო სხვადასხვა საბანკო მიმდინარე ვალდებულება, მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო გახლდათ ხელფასი, მისი სიცოცხლის გადასარჩენად ბიუროს თანამშრომლებმა არაერთხელ გამოხატეს სოლიდარობა და ფინანსური მხარდაჭერა, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ამჟამად უკანონოდ ცნობილმა გათავისუფლების ბრძანებამ არსებითად წარმოაჩინა სამსახურის არაკოლეგიალობა, სიხისტე და კოროპრატიული პასუხისმგებლობის იდეის უგულვებელყოფა. კვალიფიციური თანამშრომლის ქუჩაში გაგდებით, იურიდიულად დაუსაბუთებელმა, დასაქმებულის თავიდან მოშორების სურვილით განზრახ მიღებულმა გათავისუფლების გადაწყვეტილებამ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საზოგადოებრივი ნდობა მნიშვნელოვნად შეარყია, რაც ელენე კაპანაძის საქმეზე წარმოებული სასამართლო განხილვების პროცესში, კიდევ უფრო მეტად გახდა თვალსაჩინო.

ორგანიზაცია განმარტავს, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს იურიდიულმა სამმართველომ ყველაფერი გააკეთა ელენე კაპანაძის გათავისუფლებულ თანამდებობასა და ტოლფასს თანამდებობაზე აღდგენის შესაძლებლობის სამართლებრივი მოსპობით. კერძოდ, ერთის მხრივ, სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილების სპეციალისტის (II კატეგორია) თანამდებობაზე დანიშნა მაია ჯალაღანია, მეორეს მხრივ კი, მას შემდეგ, რაც სასამართლოში დაზუსტდა ტოლფასი თანამდებობა და მიეთითა სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილების სპეციალისტის ***(III კატეგორია)*** პოზიცია, ბიუროს უფროსის ბრძანებით, ამ თანამდებობაზე, 2022 წლის 29 აგვისტოდან, 6 თვის გამოსაცდელი ვადით, დაინიშნა ხატია ბუგიანიშვილი.

„მრეწვრკინიგზას“ წართმეულ ქონებაზე სახელმწიფო უკანონო მფლობელად სააპელაციო სასამართლომაც აღიარა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სააქციო საზოგადოება „მრეწვრკინიგზა“ 2012 წლამდე მოქმედი ხელისუფლების პირობებში წართმეულ 6448.00 კვ.მ, 10705.00 კვ.მ, 46621.00 კვ.მ უძრავ ქონებებზე ერთადერთ მესაკუთრედ ცნო და სახელმწიფო დასახელებული ქონებების უკანონო მფლობელად აღიარა. სასამართლომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უძრავი ქონებების ნამდვილი მესაკუთრისთვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში დაუბრუნება დაავალა, რითაც პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოში სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრები.

სააქციო საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონებების ნაწილი თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ქვეშ ექცეოდა. შესაბამისად, სახელმწიფომ კერძო მესაკუთრის უფლებების ხელყოფა ძალმომრეობით და უკანონო ჩარევის შედეგად გადაწყვიტა და არა - კანონის საფუძველზე. კომპანიას ქონებები ნების საწინააღმდეგოდ დაათმობინეს, სასამართლოს გადაწყვეტილებით კი დადგინდა, რომ მიღებული გადაწყვეტილებები კანონსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების ქვეშ ექცეოდა. შედეგად, ბათილად იქნა ცნობილი გადაწყვეტილებები, აღიარებული იქნა კომპანიის საკუთრების უფლება უძრავ ქონებებზე და აღნიშნული ქონებები გამოთხოვილი იქნა უკანონო მფლობელობიდან, რომელიც დღემდე ირიცხებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბალანსზე. მათი დღევანდელი საბაზრო ღირებულება 778,515,00 ლარს აღემატება.

ორგანიზაცია საქმის წარმოებაში 2019 წლიდან ჩაერთო. ორგანიზაციის სამართლის გუნდმა შეძლო გარდამტეხი ცვლილების შეტანა და წართმეული ქონების დაბრუნება ნამდვილი მესაკუთრისთვის. **სასამართლოს მეშვეობით, უკვე დადგენილია, რომ სახეზეა ნამდვილი მესაკუთრის სასარგებლოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-312 მუხლების საწინააღმდეგო მტკიცება, როდესაც რეესტრის ჩანაწერის უზუსტობამ, დღევანდელი მდგომარეობით, სახელმწიფოს გამოაცალა დასახელებული საკუთრებების ფლობისა და განკარგვის კეთილსინდისიერი, ლეგალური და ობიექტური საფუძველი, რითაც აღიარებით სარჩელს გაუჩნდა წარმატების პერსპექტივა და ვერ იქნა შემოსაზღვრული ხანდაზმულობის ვადებით.**

ორგანიზაციის სასამართლო გზით პრობლემის გადაწყვეტას წინ უსწრებდა წართმეული საკუთრების შესახებ მომზადებული სამართლებრივი კვლევა და რეკომენდაციები, რომელიც 2021 წლის მარტში გამოქვეყნდა.

ლისის ტბის წილების საქმეზე პოლიტიკური მართლმსაჯულება განხორციელდა

ლისის ტბის წართმევისა და წილების საქმეზე, სამართალწარმოება ქართულ სასამართლოში, ისევ გრძელდება. ამ კუთხით, ლისის ტბის მართვაზე პასუხისმგებელ კომპანიებს შორის წილების დაბრუნების საქმე უშუალოდ ეხება მამუკა ხაზარაძეს და დაზარალებულ ბიზნეს-პარტნიორ რამაზ ახვლედიანთან ერთად, ერთობლივი საქმიანობით დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას, რომელიც ამ დრომდე, სრულიად უსაფუძვლოდ, არ ახდენს რამაზ ახვლედიანს დაუბრუნოს კუთვნილი 2/3 წილი.

ს.ს. „ლისის ტბას“ საწსდებო კაპიტალის შესავსებად, რამაზ ახვლედიანი იღებდა ვალდებულებას, რომ იგი განახორციელებდა ქონებრივ შენატანს ქ. თბილისში, ლისის ტბის გარშემო არსებული მიწის ნაკვეთის (საერთო ფართით 63,5 ჰა) და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების სახით აღნიშნული ქონების მის საკუთრებაში გადმოფორმებისთანავე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ს.ს. „ლისის ტბას“ შექმნის დღეს რამაზ ახვლედიანი შპს „თბილისის უძრავ ქონებას“ დაუთმობდა შპს „ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ლისის ტბის“ წილის 2/3-ს (66.66%-ს). იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ობიექტური მიზეზის გამო რამაზ ახვლედიანი ვერ შეძლებდა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვას და ს.ს. „ლისის ტბას“ საწესდებო კაპიტალის შევსებას, შპს „თბილისის უძრავი ქონება რამაზ ახვლედიანს დაუბრუნებდა შპს „ტურისტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ლისის ტბის“ წილს – 2/3-ს (66.66%-ს).

რამაზ ახვლედიანმა ვერ შეძლო განზრახულობათა ოქმით გათვალისწინებული პირობის შესრულება, რადგანაც მას ქონება ნების საწინააღმდეგოდ დაათმობინეს, ხოლო შპს „თბილისის უძრავმა ქონებამ" არ მოახდინა წილის დაბრუნება. სასამართლომ მოწმის სახით გამოკითხა მამუკა ხაზარაძე, რომელმაც ისაუბრა რამაზ ახვლედიანის მიმართ განხორციელებულ სახელმწიფოს არამართლზომიერ მოპყრობაზე. საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებების მიუხედავად, სასამართლომ სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო - აღიარა რამაზ ახვლედიანის მოთხოვნის უფლება, მაგრამ სარჩელი არ დაკმაყოფილა ხანდაზმულობის გამო. სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება კრიტიკას ვერ უძლებს, რადგანაც გადაწყვეტილება არ იძლევა დასაბუთებულ განმარტებებს მთავარ სადავო საკითხებზე. ასევე, სრულად არ არის ასახული მოწმეთა ჩვენებების მნიშვნელობა სადავო გარემოებების მიმართ. მთლიანობაში, არ ჩანს სასამართლოს მზაობა დარღვეული უფლებების აღდგენის მიმართულებით და იგრძნობა პოლიტიკური მართლმსაჯულების განხორციელების სურვილი.

ლისის ტბის წართმევისა და წილების საქმეზე, მამუკა ხაზარაძემ მრავალწლიანი დუმილი დაარღვია. მამუკა ხაზარაძის მოწმის სახით გამოკითხვა 2 საათის განმავლობაში გრძელდებოდა. რამაზ ახვლედიანის არაერთი მცდელობის მიუხედავად, მამუკა ხაზარაძე მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა და განმარტებების გაკეთება მოუწია მისთვის უსიამოვნო შეკითხვებსა და გარემოებებზე. არ დარჩენილა არც ერთი ეპიზოდი, რომელიც ლისის ტბის ირგვლივ არსებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ მდგომარეობას, მიღებულ გადაწყვეტილებებს შეეხებოდა, რომელზედაც პასუხი არ ყოფილიყო.

მამუკა ხაზარაძის ჩვენება ლისის ტბის საქმეზე აქამდე არსებულ იმ სადავო საკითხებზე ზუსტ წარმოდგენას ქმნის, თუ როგორ მოხდა ხელისუფლების ზეწოლა რამაზ ახვლედიანის მიმართ, რატომ აირჩია პარტნიორის დაჩაგვრის დროს მამუკა ხაზარაძემ დისტანცირებული ურთიერთობები, რა მოლაპარაკებები აწამოა მამუკა ხაზარაძის კომპანიებმა მთავრობის მაშინდელ უფლებამოსილ პირებთან, რეალურად, რა ფასად იყიდა მამუკა ხაზარაძის კომპანიებმა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია და რამდენად კეთილსინდისიერი შემძენი აღმოჩნდა მამუკა ხაზარაძის ჯერ „ლისი 2007“, შემდეგ „ფროფერთი დეველოპმენტ ჰოლდინგი“ და ბოლოს, „ლისი ლეიქ დეველოპმენტი“ იმ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შეძენის დროს, რომლის ფარგლებშიც მოექცეა რამაზ ახვლედიანის ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ 63,5 ჰა მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით და ამ დროისთვის, შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ჩემი სათქმელი მინდა დავუთმო ადამიანებს, რომლებმაც გადადგეს ნაბიჯი, გადაწყვიტეს და მიეცათ მოტივაცია, რომ წინა პლანზე წამოეწიათ მათი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი – შრომის უფლება.

ეს, ჩვენს დღევანდელობაში, არ არის მარტივი საქმე. შრომითი უფლებების დაცვისთვის, საჭიროა სათანადო ძალისხმევა და გამბედაობა, რადგანაც ჩვენი მოქალაქეებისთვის, ეს უფლება ირღვევა, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში. ირღვევა ყოველდღე, და ისინი რჩებიან ან კვალიფიციური ადვოკატის, ან სამართლიანი სასამართლოს უფლების იმედად.

არაფერია იმაზე დიდი კმაყოფილების შეგრძნება, როდესაც საკუთარი შრომაც სხვათა ბედის გადასაწყვეტად ფასდება, როდესაც დარბაზში შემაჯამებელი ვერდიქტის შინაარსია სიტყვები: ბათილად იქნეს ცნობილი გათავისუფლების ბრძანება, აღდგეს თანამდებობაზე, აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური.

კალე ურიდია,
იურისტი, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი

ჩემი სათქმელი მინდა დავუთმო ბავშვებს, რომლებმა, რომლებიც ომმა უკრაინიდან საქართველოში ჩამოიყვანა.

ბავშვებს, რომლებიც საქართველოში არამართლზომიერად გადაადგილებული და არამართლზომიერად დაკავებული პირები აღმოჩდნენ.

ბავშვებს, რომლებიც მზარდი განქორწინებების ფონზე, ყველაზე მეტად იქცნენ ჩვენს ქვეყანაში გარემოებისა და ვითარების მსხვერპლებად

ბავშვებს, რომლებსაც არასათანადო სახელმწიფო სერვისების გამო ან სულაც მათზე ზრუნვის, კანონის საფუძველზე შექმნილი სააგენტოს ხშირად გაუგებარი მოპყრობისა და პოზიციის გამო, საუკეთესო ინტერესების დაცვის გარეშე არიან.

ბავშვთა უფლებებისთვის შრომა და ბრძოლა არის ყველაზე დიდი ემოცია, რაც შეიძლება მათი მომავლისთვის ჩვენ გავაკეთოთ.

ლიზი ზუხბაია,
იურისტი, პროექტის PR მენეჯერი

ჩემი სათქმელი შეეხება განათლებას, განათლების უფლებას, ამ პროცესში მდგომ სისტემას და მოდელს, რომელიც ვერ ან არ უზრუნველყოფს იმ ხარისხის სერვისებს, რომელიც დროის მოთხოვნებსა და საჭიროებებს უნდა პასუხობდეს.

ბოლონიის პროცესი კარგია, მაგრამ იქნებ ყურადღება მიგვექცია ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებსაც. კარგია ევროპული პერსპექტივაც, თუმცა თუკი რეფორმისტული დოკუმენტები კვლავ თაროზე შემორჩება ან ჩვენი რეგიონებიდან დედაქალაქში სწავლისთვის ჩამოსულ სტუდენტებს ისევ საერთო საცხოვრებლის პრობლემები ექნებათ, რომ აღარ ვთქვათ სხვა სახის პრობლემებზეც, განათლების ხელმისაწვდომობაზე ფიქრები კვლავ იდეად დარჩება.

სწავლა, სწავლა და სწავლა ... არა, ალბათ უფრო განათლება, მეტი განათლება და უფრო მეტი განათლება. უფრო სწორედ, უფრო მეტი ფული და ინვესტიცია განათლებაში, რაც შესაძლებელს გახდის შეიქმნას მდგრადი და სამართლიანი განათლების სისტემა.

გიორგი ტარტარაშვილი, ***იურისტი***

ჩემი სათქმელი ჩემი თაობის და არამხოლოდ ჩემი თაობის სატკივარს შეეხება. ნელსაც, გამოქვეყნებული კვლევების თანახმად, ჩვენი მოქალაქეებისთვის უმთავრესს ეროვნული ხასიათის პრობლემად ისევ ტერიტორიული მთლიანობა რღვევა და რუსეთის მხრიდან საქართველოს მიწის უკვე 22 პროცენტის მითვისება რჩება.
გუშინ, ჩემი თანატოლი სტუდენტები, ქართველმა მესაკუთრემ საცხოვრებელი სახლიდან აიძულა, რომ გასულიყო, რადგანაც ბინის ქირა გააძვირა და მეორე დღეს ამავე სახლში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გადმოსახლდნენ, რუსეთიდან.
სულ ახლახან კაფე-ბარში ბევრი ვიზიტორის გამოც მომსახურების ენად რუსულის გამოყენებაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.
ქართული ტაძრის კარზე რუსული ჩექმის ბრახუნიც, ასევე ჩვენი რეალობის შემადგენელი ნაწილია და არა – ჟურნალისტების მორიგი ახალი ამბავი.
ვფიქრობ, არაფერია იმაზე რთული შეგრძნება, როგორიცაა დაუცველობა, რაც არა ზოგადად, რომელიმე პარტიის, მთავრობის თუ პოლიტიკოსის ბრალია, არამედ ჩვენი ბრალიცაა – მთლიანად საზოგადოების.

ქეთი თანდაშვილი, ***იურისტი***

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აჯილდოვებს „ნომინანტები და ნომინაციები - 2022“

1. **„ღია სასამართლო ინსტანცია“** – ადიგენის მაგისტრატი სასამართლო
2. **„ყველაზე ღია საჯარო უწყება“** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
3. **„საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“** – საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა;
4. **„ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“** – სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი;
5. **„წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“** – ქართული ღვინის ბრენდი: „Etiquette“;
6. **„ახალგაზრდული იდეების ქომაგი“** – ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო (ELSA Georgia);
7. **„დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“** – საინფორმაციო გამოშვება: „სტრიმი“, ტელეკომპანია „GeorgiaTimes“;
8. **„საზოგადოების ხმა“** – გადაცემა: „დღის არხი“, რადიო: „იმედი“;
9. **„ღია საზოგადოების მხარდამჭერი“** – გადაცემა: „ღია სტუდია“, საქართველოს საზოგადოებრივი რადიო.

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2022“

1. **ნუცა მამულაშვილი**, ტელეკომპანია „იმედი“, ჟურნალისტი;
2. **ლელა ვაშაკიძე**, საქართველოს საზოგადოებრივი რადიო, პროდიუსერი;
3. **ნინი გოგიშვილი**, ტელეკომპანია „პალიტრანიუსი“, ჟურნალისტი;
4. **მარიამ ჩიქოვანი**, ტელეკომპანია „ფორმულა“, საინფორმაციო გამოშვება: „formulaNews“, ჟურნალისტი;
5. **სოფიო ვარდიაშვილი**, ტელეკომპანია „ფორმულა“, საინფორმაციო გამოშვება: „formulaNews“, ჟურნალისტი;
6. **მარიამ მაკასარაშვილი**, ტელეკომპანია „პირველი“, ახალი ამბების ჟურნალისტი;
7. **ლანა ახმეტელი**, ტელეკომპანია „ობიექტივი“, საინფორმაციო გამოშვება: „ნამდვილი ამბები“, ჟურნალისტი;
8. **გვანცა წულაია**, გაზეთი „რეზონანსი“, ჟურნალისტი;
9. **სოფიო მურთაზაშვილი**, დამოუკიდებელი ჟურნალისტი;

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“**
   ქეთი ხოსიტაშვილი, ჟურნალისტი, მედია-მენეჯერი

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2014 წლიდან საფუძველი ჩაუყარა ტრადიციას, როდესაც წლის საქმიანობის ღონისძიებაზე აღინიშნება პროფესიული წრისა და იმ ინსტიტუციების დამსახურებული როლი, რომლებმაც ორგანიზაციასთან თანამშრომლობის პროცესში ან საზოგადოებრივი მაღალი ნდობის პირობებში, საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, კეთილსინდისიერად შეასრულეს. ორგანიზაცია, ტრადიციულად, წლის ბოლოს, უცვლელი დასახელების ნომინაციებს გადასცემს უწყებებს, ინსტიტუციებს, საქმიანი სფეროს წარმომადგენლებსა და ჟურნალისტური კორპუსს. წინა წლების დამსახურებული გამარჯვებულები ასე გამოიყურება:

2021 წელი

1. **„ღია სასამართლო ინსტანცია“** – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
2. **„ყველაზე ღია საჯარო უწყება“** – სსიპ შემოსავლების სამსახური
3. **„საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“** – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
4. **„ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“** – სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
5. **„წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“** – სასტუმრო: „Shota Rustaveli Boutique Hotel“
6. **„ახალგაზრდული იდეების ქომაგი“** – გადაცემა: „ტელესკოლა“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
7. **„დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“** – გადაცემა „საქმიანი დილა“, ტელეკომპანია „პირველი“
8. **„საზოგადოების ხმა“** – გადაცემა: „თავისუფალი ხედვა“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
9. **„ღია საზოგადოების მხარდამჭერი“** – რადიო „კომერსანტი“

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2021“

1. **გიორგი კობერიძე**, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „მოამბე“
2. **სალომე უერთაშვილი**, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“
3. **ლიზა ციციშვილი**, ტელეკომპანია „ფორმულა“, საინფორმაციო გამოშვება: „ფორმულა News“
4. **თათია არაბიძე**, ტელეკომპანია „ობიექტივი“, საინფორმაციო გამოშვება: „ნამდვილი ამბები“
5. **ნინი კიკალიშვილი**, სამაუწყებლო კომპანია „ჯორჯიან თაიმსი“
6. **მარიამ ურუშაძე**, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი
7. **ჯაბა ანანიძე**, გაზეთი „ბათუმელები“
8. **თამთა ასანიძე**, დამოუკიდებელი ჟურნალისტი
9. **სოფო რატიშვილი**, მედია-ჰოლდინგი „კვირა“

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“**

- **მაია თორდია**, სამართლისმცოდნე, სდასუ-ს ადმინისტრაციის უფროსი

2020 წელი

1. **„ღია სასამართლო ინსტანცია“ –** სიღნაღის რაიონული სასამართლო
2. **„ყველაზე ღია საჯარო უწყება“ –** სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
3. **„საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ –** სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური
4. **„ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ –** სსიპ „112“
5. **„წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ –** გამომცემლობა „უნივერსალი“
6. **„ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ –** ახალგაზრდული ლიტერატურული გადაცემა: „წიგნების თარო“;
7. **„დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“** – გადაცემა „საქმე“, ტელეკომპანია „პალიტრანიუსი“
8. **„საზოგადოების ხმა“** – გადაცემა: „ღამის კურიერი“, ტელეკომპანია „რუსთავი 2“
9. **„ღია საზოგადოების მხარდამჭერი“** – ახალი ამბების სააგენტო iPress.ge

„თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2020“

1. **რეზი ხუციშვილი,** საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „მოამბე“
2. **ლიკა ალელიშვილი,** საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „მოამბე
3. **დავით ყურაშვილი,** ტელეკომპანია „იმედი“, საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“
4. **ელიტა ანდღულაძე,** ტელეკომპანია „რუსთავი 2“, საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“
5. **ირაკლი მაისურაძე,** ტელეკომპანია „მაესტრო“
6. **ირაკლი ყურაშვილი,** აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი
7. **ალეკო გვეტაძე, „Euronews Georgia“**
8. **სანდრო ვეფხვაძე,** ტელეკომპანია „POSTV“
9. **მირანდა ჭარხალაშვილი,** ტელეკომპანია „ობიექტივი“
10. **ბელა გელაშვილი,** ახალი ამბების სააგენტო: „Report.ge“
11. **ნინო გოლოშვილი,** მედია-ჰოლდინგი „კვირა“
12. **მიშა ვარძელაშვილი,** ახალი ამბების სააგენტო „პირWელი“
13. **გიორგი გირკელიძე,** მედიასახლი „გურიანიუსი“

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“**

- **ნიკა სადრაძე,** ადვოკატი

2019 წელი

1. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – თბილისის სააპელაციო სასამართლო
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
3. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;
4. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – სსიპ – აწარმოე საქართველოში
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – სასტუმრო „Wyndham Grand Tbilisi“
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – საკონსულტაციო ჯგუფი „ჯეპრა“
7. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – გაზეთი „ბანკები და ფინანსები“
8. „საზოგადოების ხმა“ – გადაცემა „NEWSROOM“, ტელევიზია „პალიტრანიუსი“
9. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – ახალი ამბების სააგენტო „Report.ge“

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2019“

1. ბელა ზაქაიძე, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „ახალი კვირა“
2. ლევან კვატაშიძე, ტელეკომპანია „იმედი“, საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“
3. თამთა ჩიტიშვილი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“
4. ლევან წუწუნავა, ტელეკომპანია „მაესტრო“
5. ნინო ხოზრევანიძე, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი
6. გოგი ჩოკოშვილი, საქართველოს რადიო FM 102.3
7. ილია ჩაჩიბაია, ტელეკომპანია „ობიექტივი“
8. სულხან მესხიძე, ტელეკომპანია “25 არხი”
9. თეონა აბესაძე, ახალი ამბების სააგენტო „პრაიმთაიმი“
10. ინგა ქვარცხავა, მედია-ჰოლდინგი „კვირა“
11. ბექა ვარდოსანიძე, დამოუკიდებელი ჟურნალისტი და ბლოგერი

„ორგანიზაციის მეგობარი“

1. ანა ბოკუჩავა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ბრენდის მენეჯერი;
2. საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციის სტუდენტები – ციცი ჭელიძე, მარიამ ბარსონიძე, სოფიო ჯიჭონაია, ანა გაგუა, მარიამ შათირიშვილი, სოფიო თვალაბეიშვილი და თამარ სტეფანიშვლი.

2018 წელი

1. *„ღია სასამართლო ინსტანცია“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო*
2. *„ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია*
3. *„საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი*
4. *„ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო*
5. *„წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*
6. *„ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – „ორბელიანი – საქართველო“*
7. *„ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – „On Ge“*
8. *„დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – გადაცემა: „დილა ობიექტივზე“*
9. *„საზოგადოების ხმა“ – გადაცემა „დღის თემა“, ახალი ამბების ტელევიზია „პალიტრანიუსი“*

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2018“

1. *აკაკი გოგიჩაიშვილი, ტელეკომპანია „იბერია“*
2. *იმედა დარსალია, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი*
3. *ლუკა ხაჩიძე, ტელეკომპანია „პირველი“*
4. *მარიამ ქართველიშვილი, ტელეკომპანია „იმედი“*
5. *ნინო გელაშვილი, რადიო „თავისუფლება“*
6. *გიორგი აბაზაძე, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი*
7. *ანა კიკნაძე, ტელეკომპანია „ობიექტივი“*
8. *ირაკლი მანგაძე, ახალი ამბების სააგენტო „ექსპრესნიუსი“*
9. *ნელი ვარდიაშვილი, ახალი ამბების სააგენტო „ევრონიუსი“*
10. *გვანცა ფიფია, ახალი ამბების სააგენტო „აქცენტი“*
11. *თეონა ნოზაძე, ახალი ამბების სააგენტო „პირWელი“*
12. *ნინო ექვთიმიშვილი, ახალი ამბების სააგენტო „მედიანიუსი“*
13. *თამარ შეყილაძე, მედია-ჰოლდინგი „კვირა“*

1. „ორგანიზაციის მეგობარი“ – ტარიელ კაკაბაძე, ადვოკატი

2017 წელი

10. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – **მცხეთის რაიონული სასამართლო**;
11. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;**
12. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;**
13. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – **სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;**
14. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – **გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“;**
15. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – **„CsoGeorgia.org“;**
16. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – **ახალი ამბების სააგენტო „მედიანიუსი“;**
17. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – **აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი,**
18. „საზოგადოების ხმა“ – **გადაცემა „რეაქცია“, ტელეკომპანია „პირველი“;**

„თავისუფალი სიტყვის დამცველი 2017“

1. **ირაკლი ჩიხლაძე,** ტელეკომპანია „იმედი“;
2. **მაია მიშელაძე,** გაზეთი „ვერსია“;
3. **ნინო მიქიაშვილი,** დამოუკიდებელი ჟურნალისტი;
4. **ბელა გელაშვილი,** ტელეკომპანია “იბერია“;
5. **გურამ როგავა,** საზოგადოებრივი მაუწყებელი
6. **სოფიო ნიაური ,** ტელე/რადიო „ობიექტივი“;
7. **ვიქტორია ქათამაძე,** სააგენტო „პირWელი“;
8. **რუსუდან ოქრუაშვილი,** „გურიანიუსი“
9. **ალეკო ჩუბინიძე,** სააგენტო „ნიუსპრესი“;
10. **ბაჩანა ჯინჭარაძე,** გაზეთი „ბანკები და ფინანსები“;
11. **იზა შაქარაშვილი, ახალი ამბების სააგენტო „კვირა“**

1. „ორგანიზაციის მეგობარი“ – გია ტაბლიაშვილი, ადვოკატი

2016 წელი

1. **„ღია სასამართლო ინსტანცია“** – ბათუმის საქალაქო სასამართლო;
2. **„ყველაზე ღია საჯარო უწყება“** – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
3. **„ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“** – სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტო;
4. **„საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“** – საქართველოს პარლა-

მენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;

5. **„წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“** – „საქართველოს რკინიგზა“;
6. **„ახალგაზრდული იდეების ქომაგი“** – „ქალთა ფონდი საქართველოში“;
7. **„ღია საზოგადოების მხარდამჭერი“** – ახალი ამბების სააგენტო „კვირა“ და „კვირას“ მედიაკლუბი;
8. **„დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“** – ტელეკომპანია „იბერია“, გადაცემა „ბიზნეს კოდი“;
9. **„საზოგადოების ხმა“** – რადიო პალიტრა, გადაცემა: „360“;

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2016“

1. **მაცაცო გახოკიძე,** ტელე/რადიო „ობიექტივი“;
2. **თამთა კაკაურიძე,** სააგენტო „გურიანიუსი“;
3. **ნათია კოპალიანი,** აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი;
4. **ჯაბა ხუბუა,** გაზეთი „ასავალ დასავალი“;
5. **მანანა ცუხიშვილი,** „მთავარი გაზეთი“;
6. **ნენე სტეფანიშვილი,** სააგენტო „რეპორტიორი“;
7. **გენო ოსიყმაშვილი,** ტელეკომპანია „GDS“;
8. **სალომე გოგოხია,** ტელეკომპანია „მაესტრო“.

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“ – ლია მუხაშავრია,** ევროსასამართლოს ექსპერტი, უფლებადამცველი;
2. **ირაკლი ყანდაშვილი,** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი.

2015 წელი

1. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – **თბილისის საქალაქო სასამართლო;**
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;**
3. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის**

აპარატი;

4. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;**
5. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – **„ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი – ACICC”**;
6. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – **სააგენტო „პირWელი“;**
7. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – **ტელეკომპანია „მაესტრო“, გადაცემა „ბიზნეს-კონტაქტი“;**
8. „საზოგადოების ხმა“ – **რადიო „იმედი“**

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2015“

1. **ზურაბ კუკულაძე,** გაზეთი „ბანკები და ფინანსები“,
2. **ლელა გოგოლაძე,** აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი,
3. **დიანა ლიპარტელიანი,** გაზეთი „ალია“;
4. **მერაბ მეტრეველი,** დამოუკიდებელი ჟურნალისტი
5. **ლევან ჯავახიშვილი,** გაზეთი „კვირის ქრონიკა“,
6. **დარინა დავითაძე,** დამოუკიდებელი ჟურნალისტი

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“** – ზაზა ხატიაშვილი, უფლებადამცველი, ადვოკატი
2. ლია ელიავა, ეკონომიკის ექსპერტი

2014 წელი

1. „საუკეთესო სასამართლო ინსტანცია ოპერატიული საჯარო ინფორმაციისთვის“ – **თბილისის საქალაქო სასამართლო;**
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;**
3. „ყველაზე კომუნიკაბელური სამინისტრო“ – **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;**
4. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – **დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი**;
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – **შპს „საქართველოს ფოსტა“**;
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – **ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი;**
7. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – **პრეს-კლუბი „რეპორტიორი“.**
8. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – **საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“;**
9. „საზოგადოების ხმა“ – **საზოგადოებრივი რადიო 1, რადიო პალიტრა, გადაცემა „შუადღის ამბები განო და კოტე“;**

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2014“

1 **მარიამ ზედგინიძე,** ახალი ამბების სააგენტო „კვირა“;
3. **თამარ ბატიაშვილი,** გაზეთი „ქრონიკა+“;
4. **ნათია გოგიტიძე,** გაზეთი „ქართული სიტყვა“;
5. **თამარ ლეფსვერიძე,** დამოუკიდებელი ჟურნალისტი

1. **„ორგანიზაციის მეგობარი“ – სოფიო აზარიაშვილი** (ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი 2013-2014 წლებში)

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
მისამართი: თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;
იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი
ვებ–გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი“,
ანგარიშის ნომერი: GE31BG0000000161544925GEL

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდა სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას.

ორგანიზაცია მონაწილეობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, სამართლებრივი, პოლიტიკური საკითხების განხილვაში, წარადგენს შეფასებებსა და განცხადებებს, შეიმუშავებს ინიციატივებს, მიმართვებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და ახორციელებს მათ ლობირებას. ამზადებს კვლევებს, დასკვნებს, პროექტებს, ანგარიშებს. ახორციელებს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესწავლას და მონიტორინგს. უზრუნველყოფს მოქალაქეების ინტერესების დაცვას და წარმომადგენლობას ყველა დონეზე, მათ შორის საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოებთან, სასამართლო ინსტანციებში, კერძო და საერთაშორისო არბიტრაჟში. ხელს უწყობს სამოქალაქო კამპანიების ჩატარებას, სამართლისა და ადამიანის უფლებების მიმართ მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას, დაცვის ინსტიტუტის პოპულარიზაციას. ორგანიზებას უწევს კონფერენციების, სემინარების, მრგვალი მაგიდების ჩატარებას, თანამშრომლობს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ჯგუფებთან და გაერთიანებებთან.

2022 წელს, ორგანიზაცია გახდა არასამთავრობო ორგანიზაციების მსოფლიო ასოციაციის (WANGO) სრულუფლებიანი წევრი, ხოლო საქართველოში მინიმალური ხელფასის საკითხზე წარდგენილი ხედვის გამო, „პასუხისმგებლიანი ბიზნესი 2022“-ის ფარგლებში, დეკემბრის თვეში დაჯილდოვდა სპეციალური სიგელით.

2020 წელს ბავშვთა უფლებების საუკეთესო ადვოკატირებისთვის ორგანიზაციას გადაეცა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის – იუნისეფის კეთილი ნების ელჩის ნიკა რაჭველის სპეციალური სამადლობელო ჯილდო.

2017 წელს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ორგანიზაცია ადამიანის უფლებების დაცვისა და პროფესიული ერთგულებისთვის, სპეციალური სიგელით დააჯილდოვა.

2016-2014 წლებში, ორგანიზაცია წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრს.

2016 წელს, მიწვეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უმაღლესი სკოლის შექმნის სამუშაო ჯგუფში.

2015 წლიდან მიწვეულ იქნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან მიწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლის აპრილში, მიწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად. 2015-2018 წლებში, წარმოადგენდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს წევრს. 2015 წელს დააფუძნა სამოქალაქო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“. 2015 წელს ჩაერთო „Peace Corps“-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებში, 6 თვის მანძილზე, ორგანიზაცია გაძლიერდა სტრატეგიული პროექტების მომზადების, საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციის, ადამიანური რესურსის მართვისა და ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვის საკითხებზე.

2014 წელს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადაწყვეტილებით, ორგანიზაცია საქართველოში დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი.

2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრს. 2012 წელს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრს.

2012 წლიდან არის არასამთავრობოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის'' თანადამფუძნებელი და წევრი.

ორგანიზაციის სამოქალაქო პოზიციისა და ჩართულობის მაგალითს წარმოადგენს 2017 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ დავით ასათიანის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრის შესარჩევ კონკურსში ქეთევან ბექაურის წარდგენა და მხარდაჭერა, 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად თემო ჭეიშვილის წარდგენა და მხარდაჭერა, 2015 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველად ლია მუხაშავრიას კანდიდატურის წარდგენა და მხარდაჭერა.

ორგანიზაცია თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. განხორციელებული პროექტებიდან გამორჩეულად მნიშვნელოვანია 2017-2015 წლებში, საქართველოს მთავრობის „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, გამარჯვებული პროექტი: „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა უფასო იურიდიული დახმარება“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა მიგრანტების წინაშე არსებული იურიდიული პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება, რეაგირება და გადაჭრა. მიგრანტების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზებზე. 2016 წელს, ორგანიზაციას პროექტის მაღალი პასუხისმგებლობით და წარმატებით განხორციელებისთვის, გადაეცა სახელმწიფოს მადლობის სიგელი.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დაასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონშეუსაბამო მოქმედებების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია დასახელებულ პერიოდში სისტემური დანაშაულის საქმეებზე, ცალკეული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომლიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოქმედებს წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც ამჟამად განახლებულია 2018-2020 წლების საქმიანობისთვის. ამასთან, 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გადავიდა კაბინეტურ მმართველობაზე. ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, ხელმძღვანელობს არჩეული ხელმძღვანელი, რომელიც აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. საერთო სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს იურიდიული კომპანია „კაიკაციშვილი და ადვოკატებთან“ პარტნიორობით და მეშვეობით. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები. ასევე, იურიდიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.